


ლიტერატურული გზეუტი

№84 19 თებერვალი - 1 ნოემბერი 2012

ბამონის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი



ცირა
ბარბაქაძე

როცა
მონყენილი
ხარ...

XI

თამარ იაშვილი
როგორ
შემიყვარდა
ჰენრი მილერი

II-III

ნინო სადღობელაშვილი
ცხოვრება
შემოქმედაბაში
და პირიქით

V

მიხო მოსულიშვილი
სულის
ცხენი
(A Film Treatment)

VI-VII

ზურაბ ლეჟავა
ქორიანი
კაცი

XII-XV

„როცა შენ ჩემთან ხარ, ჩემს ყოველ მოძრაობას აკვირდები, სადილობ ან მუშაობ, მაშინ ასეთი რამ არ შემართება, მაგრამ როცა შენგან შორს ვარ, გამუდმებით შენზე ვფიქრობ და ეს აფერადებს ყველაფერს, რასაც ვამბობ და ვაკეთებ.“

რომ იცოდე, როგორი ერთგული ვარ შენი! ...როგორც სხეულით, ისე სულითა და გონებით. აღარაფერი მიზიდავს, აბსოლუტურად ველარ აღვიქვამ ნიუ-იორკს, ძველ მეგობრებს, წარსულს... პირველად ჩემს ცხოვრებაში მთელი ჩემი არსება მოიცვა სხვა ადამიანმა. ეს შენ ხარ! დაუფიქრებლად შემიძლია გავილო ყველაფერი, უარი ვთქვა საკუთარ თავზე, თუნდაც ეს თვითგანადგურებას მიქადდეს...

როცა გუშინ ჩემს სტატიაში ვწერდი: „ევროპაში რომ არ წავსულიყავი და ა. შ.“, ევროპას კი არა, შენ გგულისხმობდი, მაგრამ ამის დაწერა ასე ღიად არ შემეძლო. ევროპა, ეს შენ ხარ. შენ წამომაციენე დაცემული და გადამარჩინე. ჩემი დაცემის საშიშროება აღარ არსებობს, პირიქით, ახლა ძლიერ მგრძობობიარე ვარ ყოველგვარი საფრთხის მიმართ, მის ყოველ ნიშანზე ვრეაგირებ...“ – მწერდა რაინერი. წერილი გერმანიიდან გამომიგზავნა. თუმცა ჩავთვალე, რომ მან ნიუ-იორკში იმოგზაურა და ჩემთან გამოსაგზავნ წერილსაც იქ წერდა. ამის საფუძველს მაძლევდა წერილში ნახსენები ქალაქის სახელი. ერთი თვე იყო გასული, რაც რაინერმა თბილისი დატოვა. მის შესახებ არაფერი ვიცოდი, რას გაუგებ ჟურნალისტებს?! დღეს აქ არიან და ხვალ – იქ. სტატია არ მქონდა ნაკითხული, რაზე წერდა, არ ვიცოდი, ამიტომ საპასუხო წერილში ვთხოვედი, გამოეგზავნა ჩემთვის გაზეთი. ვიმედოვნებდი, რომ სტატიიდან შევიტყობდი, რატომ მგულისხმობდა მე ევროპაში, როგორ ან რით გადავარჩინე და ა.შ. მაგრამ ეს ყველაფერი მეორეხარისხოვნად მივიჩნიე, მთავარი (და მოულოდნელი), რამაც საოცრად ამაფორიქა, რაინერის მიერ გრძობების გადმოფრქვევა გახლდათ.

საქმე ის გახლდათ, რომ რაინერი ბევრად უფროსი იყო ჩემზე, თანაც — ცოლიანი. მის ცოლსაც კარგად ვიცნობდი — ტიპური გერმანელი ქალი იყო, წითური. მათ ურთიერთობაში „ბზარი“ ან რაიმე მსგავსი არ შეიმჩნეოდა. თითქოს კარგადაც ეწყობოდნენ ერთმანეთს.

მე კი სრულიად ახალგაზრდა, 20 წლის ქარაფშუტა გოგო ვიყავი, უცხო ენების ინსტიტუტის სტუდენტი, ალაგ-ალაგ გიდავდაც ვმუშაობდი გერმანულ ტურისტებთან, ენის უკეთ ათვისების მიზნით (სწორედ ერთ-ერთი ასეთი ტურისტული ჯგუფის წევრები იყვნენ რაინერი და მისი ცოლი) და ვილაც გერმანულ კაცთან, რომელიც ლამის მამად მერგებოდა, სასიყვარულო ურთიერთობის გაბმა ფიქრადაც არ მქონია. და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ყურებამდე შეყვარებული ვიყავი ერთ თბილისელ ბიჭზე...

...1930 წელი იდგა. ამერიკელი მწერალი ჰენრი მილერი ევროპაში გაემგზავრა, სრულიად მარტო, ხელნაწერებით სავსე ჩემოდნით. სამგზავრო ხარჯები ჯუნიმ (მისი მეორე ცოლი იყო) გაიღო და დაპირდა, რომ ფულს კიდევ გაუგზავნიდა. დრო გადიოდა, ფული არ ჩანდა და ჰენრი სხვა ამერიკელებისაგან განსხვავებით (მათი უმრავლესობა ევროპაში ბოჰემურად ცხოვრობდა) ულუკმაპუროდ დარჩა. მილერისათვის დიდი იმედგაცრუების პერიოდი დაიწყო, და კაცმა არ იცის, რით დასრულდებოდა მისი ევროპული ცხოვრება, რომ არა რიჩარდ ოსბორნი (ამერიკელი მოსამართლე), რომელმაც შეიფარა ჰენრი და შიმშილისგან იხსნა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით.

1931 წელი. პარიზი. ოსბორნი სადილზე ინვეს ფრანგ მწერალ ქალს ანაის ნინს. ოსბორნი ცდილობს, ჰენრის კრიზისული პერიოდი შეუმსუბუქოს. საღამო ასეა დაგეგმილი: ორი მწერალი შეხვდება ერთმანეთს და ისაუბრებენ ლიტერატურაზე, კერძოდ კი, ანაისის ახალი წიგნის ირგვლივ... მათ იმავე საღამოს მოეწონათ ერთმანეთი. ანაისი ოცდარვა წლის იყო, ჰენრი — ორმოცის.

...იმ დღეს ანაისი თავის დღიურში ჩანერს: „მე ვმღერო! მე ვმღერო! და არა ჩემთვის, ჩუმად, არამედ ხმამაღლა! გავიცანი ჰენრი მილერი. შევხვდი მამაკაცს, რომელიც მომწონს... რომელიც იმსახურებს სიყვარულს. ის არ მორგუნავს, არამედ ძლიერ და ჰუმანურია, მგრძობობიარედ აღიქვამს ყველაფერს. ეს არის კაცი, რომელიც ცხოვრებით მთვრალია. ის ისეთივეა, როგორც მე... მისი ცივი, ლურჯი თვალები გაკვირდებიან, ხოლო



ჰენრი მილერი

თამარ იაშვილი როგორ შემიყვარდა ჰენრი მილერი



ანაის ნინი

მისი ბაგეები განსაცვიფრებლად მგრძობობიარეა, სიცილი კი გადამდები. მისი ხმა ისე გეფერება, ისეთი თბილია, როგორც ზანგური მელოდია...”

ანაისით მოხიბლულია ჰენრიც. ის მთელი საღამო იცინის და დაუფარავად იმეორებს: მე ზედმეტად ბედნიერი ვარ, უბრალოდ ბედნიერი ვარ ამ წამს, გარშემო არსებული ფერებით და ღვინით. და ეს წამი არის ისე ლამაზი, ისე მშვენიერი...

ანაისიც მთვრალია, თავბრუდახვეული და ბედნიერი...

1932 წელი. 4 მარტი. პარიზი. „სამი წუთი გავიდა, რაც ნახვედით. თავს ვერ ვიკავებ,

მად და საცეკვოდ წასვლას შევძლებდით. თქვენ ცეკვავთ — მე მუდამ ამაზე ვოცნებობდი — და მეც ვცეკვავ თქვენთან ერთად. ან თქვენ ცეკვავთ მარტო, თავგადასული და თვალბმული. თქვენ ასე უნდა იცეკვოთ ჩემთვის. ეს არის თქვენი ესპანური ბუნება, წმინდა ანდალუზიური სისხლი... აქამდე მე ვერ ვბედავდი თქმას, რასაც ვფიქრობდი. მაგრამ ახლა ველარაფერი შემაკავებ, — თქვენ მე ვაკუუმის აღვსებისაკენ მიბიძგეთ — უკან აღარაფერზე დავიხვე... მიუხედავად იმისა, რომ თქვენ ამას ვერ ამჩნევდით, მე მუდმივად თქვენით ვცხოვრობდი. მაგრამ მოვერიდე ამის თქმას, — ვიფიქრე ეს თქვენ შეგამინებდათ. დღეს მე განვიზრახე, წამომეყვანეთ ჩემს ოთახში და ნახატები მეჩვენებინა, მაგრამ ისე უღიმღამოდ მეჩვენა თქვენი სტუმრობა ჩემს უბადრუკ სასტუმროში, ამის გაკეთება ვერ შევძელი. თქვენ წამიყვანეთ სადმე — თქვენს ქონში, როგორც დამპირდით. წამიყვანეთ, რომ შევლო თქვენი მკლავებში მოქცევა... და მე გატყუებთ ანაის, როცა გიყვებით, რომ მე თქვენი გადმერთება არ მსურს. ელოდით, რომ ასე „შორს წავიდოდი?“ — წერდა ჰენრი ანაისს.

1932 წელი. 6 მარტი. სასტუმრო „ცენტრალი“. პარიზი. „ანაის, თქვენ გზა გაუხსენით გრძობათა მდინარეს. მე აღარ ვარ პასუხისმგებელი იმაზე, რასაც ვამბობ და ვაკეთებ. გესმით? თქვენ ნაიკითხავთ წერილს და ალბათ გაგიცრუდებით იმედი. ის იმ უმცირესსაც ვერ გადმოსცემს, რაც თქვენთვის მინდოდა მეთქვა. მე ჯერ კიდევ არ მყოფნის სითამამე... თქვენ ხომ მომეცით ამის უფლება. მაგრამ ელოდებით კი მართლა ყველაფერ იმას, რის თქმასაც ვაპირებ? თქვენ შენიშვნები წამიკითხეთ — მართალია, არის სხვაობა მათ შორის, რასაც ვწერ და რასაც ვამბობ ან ვაკეთებ...“

...ვათვალისწინებ ოთახს. ირგვლივ მხოლოდ ჩემი ნახატებია და ჩანაწერები — და ყოველი ფურცლის უკანა მხარეს თქვენი სახელია: ვაჩვენო ეს ანაისს, შევეკითხო ანაისს, წავიდე ანაისთან... ჰენრი”.

„...არ შემიძლია პრობლემებით შენუხებულმა ვიხეტილო ქუჩებში. ეს კარგს არაფერს მომიტანს. მე იმდენი რამ მაქვს გასაკეთებელი და არ მინდა, თავს რაიმე ვავნო. ყველაფერი, რაც ჩემშია, სულ უმცირესი ნაწილიც კი, ღირებულია და ვცდილობ, გაუფრთხილდე, რათა შენ მოგიძღვნა.“

ალარ დავხეტილო ქუჩებში, როგორც ამას ადრე ვაკეთებდი. ქუჩებს აღარაფერი შეუძლიათ მითხრან. ამით მე სამყაროს ვეძლევი, იმის ნაცვლად, რომ სამყარო შემოვუშვა შენთან... მთელი სამყარო შენშია მოქცეული, რატომ გავიდე გარეთ მის საძებნელად?

ადამიანებთან საუბრის დროს ვგრძობ, რომ რაღაც საოცარ სილამაზეს ვატარებ ჩემში. ვგრძობ სხვაობას ჩემსა და სხვა ადამიანებს შორის, ეს სხვაობა ძვირფასია ჩემთვის, რადგან ახლა ვიცი, ვინც ვარ, გაქრა ყოველგვარი დაეჭვება. როცა შენ ჩემგან მიდიხარ, მე სიბნელეში ვიძირები. ჩვენ უნდა მოვუფრთხილდეთ იმას, რაც ჩვენ შორის იშვა, რაც ჩვენ შევქმენით. ჩვენ ისეთ სიმაღლეებს შევწვდით, მხოლოდ ერთეულებს რომ ძალუძთ შეიმეცნონ. უნდა დავიცვათ ის საუკეთესო, რაც აღმოვაჩინეთ. შენ თუ ფეხი დაგიცდება, მე შეგეშველები, თუ მე წავიბორძიკებ, შენი იმედი უნდა მქონდეს, სხვაგვარად ფეხქვეშ მინა გამოგვეცლება და დავილუპებით...” — მწერდა რაინერი, არ ვიცი უკვე მერამდენე წერილში.

ვერ ვიტყვი, რომ მსგავსი სასიყვარულო ბარათების მიღება არ მსიამოვნებდა, პირიქით, თუ თავდაპირველად ვერთობოდი, მაგრამ დიდად არაფრად ვაგდებდი, თანდათან ისე მივეჩვიე, რომ უკვე გულისფანცქალით ველოდი ახალი ბარათის გამოჩენას. შემდეგ გერმანულიდან ქართულად ვთარგმნიდი (ამჟამადაც ჩემი ულთარგმანებს გთავაზობთ) და ჩემს მეგობრებს ვუკითხავდი... ამასობაში ჩემს შეყვარებულსაც ცოტა ცხვირი ავუბზუე, ის ხომ რაინერივით თვამბეჭდავად ვერ გამოხატავდა თავის გრძობებს...

1932 წელი. აპრილი. პარიზი. „ჰენრი, სანამ ჯუნი ჩამოვა, ჩვენ უნდა გავერკვეთ, რისი გაღება შეგვიძლია ერთმანეთისთვის.“ — წერს ანაისი.

„მე მიყვარს ჯუნი და მიყვარხარ შენც... ჯუნის არ მივატოვებ, მაგრამ ვერც შენ შეგვლევი!“ — პასუხობს ჰენრი. ანაისი უკმაყოფილოა, თუმცა თავადც დაქორწინებულია და ქმართან დაშორება მის გეგმებში არ შედის. ის ცვლის ტაქტიკას და სასიყვარულო ურთიერთობას აბამს ჯუნისთან. „ჯუნი ყველაზე მშვენიერი მდებრობითი სქესის არსებაა, რაც მე მინახ-

ავს", - აღიარებს ანაისი, და ვითომ თავადაც გაოგნებულია ამ მოულოდნელად მოვარდნილი სიყვარულით: ...„კაცივით მოქცევა ტკივილს მაყენებს, რადგან ვგრძნობ, მთელი არსებით ქალი ვარ!“ მიუხედავად ამისა, ანაისის და ჯუნიის ურთიერთობა კარგა ხანს გრძელდება.

ჰენრი ნერვიულობას იწყებს, ეჭვიანობს... „ანაის, მიიღე ჯუნი ისეთი, როგორიც არის, მაგრამ ნუ დააყენებ ჩვენს შორის“.

ანაისი გამარჯვებას ზეიმობს. მიზანი მიღწეულია! ახლა ჰენრის დამშვიდებაა საჭირო; „მე შენ გეკუთვნი ჰენრი. ყველაფერი, რაც ჩემსა და ჯუნიის შორის ხდება, მხოლოდ შენი სიყვარულია, რომ შენ გაჩუქო თავდადებული ჯუნი და მას კი - შენ, მისი დოსტოვესკი. მე არასოდეს მოგაყენებ ტკივილს ლალატი“.

...„არ გეგონოს, რომ შენ დაკარგვის შიშით სასონარკვეთილი ვლავრაკობ. ეს შიში კი არა, სურვილია - შეგინარჩუნო. ის შიში აღარ არსებობს, ადრე რომ მქონდა. მაშინ პასიური, უგულისყურო და დაბნეული ვიყავი, ახლა კი ფიზიკური და აქტიური კაცი ვარ, რომელიც იბრძვის, არ დუნდება. ხედავ განსხვავებას?“

ადრე ასეთ მდგომარეობაში, ალბათ, ლოგინად ჩავარდნილი დარდით მოკვდებოდნენ, ან დავეთვებოდნენ და ქუჩებში ვიხეტიალებდნენ, ძველ მეგობარს ვესტუმრებოდი. ასეთ უაზრობას აღარ გავაკეთებ. ეს ყველაფერი ილუზია იყო, საშუალებას მძლევდა ტკივილსა და დარდში ჩავძირულიყავი, ჭაობში ჩავვარდნილიყავი, რაც, ალბათ, მინდოდა კიდევ. აღარ მსურს საკუთარი თავის ასე ნამება. მინდა, ყოველთვის შემეძლოს შენი ნახვა, რომ ერთმანეთის პირისპირ ვიდგეთ, მხოლოდ ჩვენ, სხვების გარეშე...“ - მწერდა რაინერი.

ამდენის გაძლება უკვე აღარ შემეძლო. ვერც მივხვდი, ისე აღმოვჩნდი შეყვარებული. მგონი, მეც უკვე სასიყვარულო ბარათებს ვაგზავნიდი საპასუხოდ.

...1932 წელი. ოქტომბერი. პარიზი. „ჰენრი ფიქრობს ჩვენს დაქორწინებაზე, რაც, დარწმუნებული ვარ, არ მოხდება, მაგრამ ის არის ერთადერთი მამაკაცი, რომელზეც დაქორწინება მინდა“ - წერს ანაისი თავის დღიურში.

ანაისმა იცის, რომ ჰუგო (მისი ქმარი) მყარი, სანდო ადამიანია, ჰენრიმ კი ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება მიატყვეს კიდევ, რადგან ჰენრისთვის არსებობს მხოლოდ საკუთარი შემოქმედება.

...და როგორ ლაპარაკობდა ის ჯუნიზე?! ჯუნი გადააგდეს, რადგან აღმოჩნდა, რომ საჭირო აღარ იყო, ასევე აღმოვჩნდები მეც, როცა მას ვინმე ახალი დასჭირდება“.

მოგვიანებით, 1934 წელს, როცა ჰენრი და ჯუნი საბოლოოდ დაშორდნენ ერთმანეთს, ანაისისა და ჰენრის ურთიერთობაც დაიძაბა. ანაისი თავს იდანაშაულებდა, რომ მათ შორის ჩადგა. თან ჰენრის ჯუნიისთან დაშორებას არ პატიობდა.

ჰენრი კი ანაისს ერთგულებას ფიციბოდა: „ანაის, დაიჯერე, რომ პურიტანი გავხდი, შენს თავს ვერავის გავუყოფ! ჩემი ხარ და მე შენ შეგინარჩუნებ!“ (1934 წელი. დეკემბერი).

„შემიძლია ყველაფერი გაპატიო, ნუთუ არ შეგიძლია მცირედის პატიება? შენს გარდა არაფერია მნიშვნელოვანი... ჯუნიის შესახებ აღარ მინდა ლაპარაკი... გესმის, რომ წარსული მოკვდა? შენ რომ მიმატოვო კიდევ, მე ვეღარ დავბრუნდები ჯუნიისთან, ვერ დავბრუნდები ჩემს წარსულში. მე ვიცი, რომ ჩემი ცხოვრება სამუდამოდ არის დაკავშირებული შენთან, სხვა არაფერი მინდა ცხოვრებაში, შეგიძლია ამის დაჯერება?“ (1935 წელი. თებერვალი).

...„არ დაუშვებ, რომ რაღაც შეცდომის თუ შემთხვევითობის წყალობით ჩვენ შორის გაუგებრობამ დაისადგუროს. იმ ბაღში, რომელიც ჩვენ გავაშენეთ, ერთ სარეველასაც კი არ მივცემ აღმოცენების უფლებას. ცხოვრება ძალიან ხანმოკლეა იმისთვის, რომ მივიღოთ ყველაფერი, რაც გვინდა. ჩვენ დრო უნდა მოვიხელოთ და მას კისერი მოვუგრიხოთ. ჩვენ ერთმანეთში უნდა ვიცხოვროთ“ - მწერდა რაინერი.

1935 წელი. მარტი. ნიუ-იორკი... „როცა გირეკავდი, არ ვიყავი დარწმუნებული, რომ დაგელაპარაკებოდი. რადგან მანამდე უკვე ორჯერ მიპასუხეს, რომ სახლში არ იყავი. სიმწრის ოფი დასასამდა, შენს ქუჩაზე დავბორიალობდი, რესტორნებში ვიხედებოდი, მერე ისევ შენს კართან ვბრუნდებოდი და გელოდი. ტელეფონით რომ ვერ შეგხმინებოდი, გამოვიგზავნიდი ტელეგრამას, შემდეგ კი შინ წავიდოდი და სასწრაფოდ მოგწერდი წერილს. ამ საღამოსაც, ალბათ, ამაოდ უნდა დაგლოდე-ბოდი, მაგრამ მე მაინც ჯიუტად ვეძებდი

შენს ადგილ-სამყოფელს, ვცდილობდი, რაღაც არ უნდა დამჯდომოდა, გამეგო, სად იყავი. ვერ ვიჯერებდი, რომ შენ ისევ გაბრაზებული იყავი ჩემზე და არა მხოლოდ გაბრაზებული, არამედ ზურგი შემაქციე, ჩემში, ჩემს სიყვარულში იმედგაცრუებულმა. ასეთ დროს საზარელი მეჩვენება ნიუ-იორკის სიდიადე, რომელიც ცოფიანი ძაღლებით თავშესაფრის მძებნელ უამრავ მიუსაფარს მხოლოდ უიმედობას სთავაზობს. და ადამიანი ემსგავსება ქარის ქროლვას ადევნებულ ჩაღლის ღერს, რომელიც მოგონებებისგან დაღლილი, დაკარგული და განადგურებული ბედის ანაბარად დარჩენილა“, - წერდა ჰენრი ანაისს.

...„ამბობ, რომ იტირე. მეც ვტიროდი. ქუჩებში დავდიოდი და თვალთაგან ცრემლი მდიოდა. რატომ, რატომ? რისთვის უნდა ვიტანჯებოდე ასე? ნუთუ, ასეთი მგრძობიარენი ვართ, რომ ყველა ისარი გულს გვესობა? ეს მშვენიერია და ამავე დროს საშინელი. ეს ხომ იმას ჰგავს, ტყუპები ერთმანეთისგან განთავისუფლებას რომ ცდილობენ? გვეყოფა, ვიყო ერთად, აღმავეს, შემოდი ჩემში, დარჩი აქ სამუდამოდ, არასოდეს შემაქციო ზურგი, ფიქრადაც არ გაივლო“ - მწერდა რაინერი.



ერთად

...„მაპატიებ, რომ გწერ, ნაცვლად მუშაობისა? განა, ჩვენი ცხოვრება უფრო მნიშვნელოვანი არ არის, ვიდრე მუშაობა?... თავდაპირველად საშინლად გადაჭარბებული წარმოდგენა მქონდა საკუთარი თავზე, გავაფიქრებ ჩემი შემოქმედება და სხვადასხვა ტყუილითა თუ ილუზიით შევეცადე მობოდიშებას. გარდასულ დარდას ძეგლი დავუდგი. ამ ყველაფერმა ჩაიარა. ახლა, სიხარულით აღსავსე, მომავლისკენ ვიხედები. სამუშაო მხოლოდ ბუნებრივი რამ უნდა იყოს და არა მიზანი, როგორც ასეთი. ჩემს შემოქმედებაში უკომპრომისო ვიყავი, შენ გადაამარჩინე. ახლა ჩემთვის ნათელია, რომ სრულყოფილი ადამიანი ვარ და შენთვის უფრო ძვირფასი ვარ, როგორც ადამიანი, ვიდრე დიდი ხელოვანი. ამ გარდასახვით არაფერი დამიკარგავს, პირიქით, მოვიპოვე. საოცრად მძაფრად ვგრძნობ, თუ რა სასწაული მოახდინე და რომ იცოდე, როგორი მადლიერი ვარ ამისთვის. მე შენი მძინელები ვარ, დაუღალავი ბრძოლით მიღწეული. რაც შენ გააკეთე, გმირობის ტოლფასია. შენ რომ მხოლოდ ქალი ყოფილიყავი, დამარცხდებოდი! მაგრამ, შენ ხელოვანი ხარ. ამაზე დიდი კომპლიმენტი, რა შემიძლია გითხრა? მე ვიყავი სიტყვების ოსტატი, ხოლო ცხოვრებაში - დიდი ხელმოცარული. სიტყვები, სიტყვები... როგორ ხუთავენ ისინი სულს! მომეცით ქალი და სიტყვები უმნიშვნელონი გახდებიან. მე ვიყავი სიტყვების მსახური, ახლა კი მათ დავიმოხებ.“

ხანდახან ვფიქრობ, ჩემი სვლა ბოლოს და ბოლოს ჩემი, როგორც შემოქმედის, გამარჯვებით, აღიარებითა და დაფასებით უნდა დასრულდეს. ვფიქრობ, ყველაფერი, რასაც ვაკეთებ და ვამბობ, რასაც ვწერ, ჭეშმარიტად მხოლოდ ამ შემთხვევაში დაფასდება, თუ ადამიანებს ჩემს სრულყოფილებაში დავარწმუნებ. ისინი ვერ შეძლებენ ჩემს იგნორირებას, თუ ეცოდინებათ - ვინ ვარ, თუ ჩემს გულწრფელობას და სიღარბისღეს შეიცნობენ. აღარ მაქვს სურვილი, კვლავ ვითამაშო მასხარას როლი - შეურაცხმყოფელი და უსულგულო. ახლა მესმის, რომ ადამიანებს ხელი უნდა ჩავჭიდო, მათ წინაშე უნდა წარვსდგე, მათ ველაპარაკო, დავარწმუნო. ეს აღარ ეხება ლიტერატურას, ეს ეხება ჩემს ცხოვრებას, ცხოვრებას შენთან ერთად. ეს

შეგრძნება ისეთი მძაფრია, რომ შეუძლებელია, თავისი გამოხატულება არ ჰპოვოს. შეძლებისდაგვარად ბევრად უფრო უშუალო ვიქნები, ყოველ სიტყვას ავავლებარებ. სიტყვები სავსე იქნება ჩემი სისხლით, შენდამი ვნებით, მეტი ცხოვრების, მარადიული სიცოცხლის წყურვილით. შენ მე სიცოცხლე მაჩუქე, ანაის. შენ ხარ ცეცხლი, რომელიც ჩემში ანთია, მე კი - ამ ცეცხლის მცველი, ეს წმინდა მოვალეობაა.

აჰ, ნეტავ თუ გესმის და გჯერა, რასაც გწერ? არ გინდა, ჩემთან დარჩე? მუდამ ჩემი იყო? მე ქვესწელიდან ამოვედი შენს საპოვნელად. მხოლოდ მტკიცება იმისა, რომ მიყვარხარ, არ არის საკმარისი. ანაის, შემეხე, აიღე ყველაფერი, რაც ჩემშია. ვგრძნობ, რომ უსაზღვროდ მდიდარი ვარ. ჰენრი“.

რაინერის უკანასკნელი წერილი გერმანიიდან: „...ორივემ საშინელი გამოცდილება შევიძინეთ, გულსიმომკვლევი. შევძლებთ კი, ეს ყველაფერი ჩვენს სიყვარულში არ ჩავძიროთ? ახლა უკვე იცი, რომ არა მაქვს შენზე მცდარი წარმოდგენა. მე აღვიქვამ ქალად, ჩემს ქალად. ნუ დამსჯე იმისთვის, რომ ასეთი გაუბედავი ვარ. მადლობა ვარსკვლავებს, რომ ჩვენ გავიმარჯვეთ. ერთ წერილში გწერდი, რომ ბედი პირად გადაწყვეტილ-

როგორც ჩანს, მცირე იმედი მაინც მქონდა დარჩენილი რომ რაინერი გამოემხმარებოდა, და ეს მანის არ გავუშვი ხელიდან. ბარათები რაინერს გავუგზავნი გერმანიაში, თან ვწერდი, რომ უკვე ყველაფერი დამთავრდა, რომ აღარც დაველოდებოდი და შეეძლო აღარც ახსნა-განმარტებებით შეეწუხებინა თავი (არადა, გამოგიტყდებით, ქვეცნობიერად სწორედ ამას ველოდი), ამიტომ ვუგზავნიდი მის ბარათებს და თან მოვითხოვდი ჩემი ბარათებიც დაებრუნებინა უკან... (ღმერთო ჩემო, რა ბავშვური ფეხის ბაკუნია!)

ერთი თვის თავზე გერმანიიდან ამანათი მოვიდა - წერილი და ორი წიგნი. წერილი არც ეთქმოდა, სულ ერთი წინადადება ეწერა: „რაინერი ინფარქტით გარდაიცვალა. ელზა“.

იმედგაცრუება გლოვამ შეცვალა. თუმცა, უნდა ვაღიარო, ყოველთვის მქონდა წინათგრძნობა, რომ ჩვენი ურთიერთობა სწორედ ასე უნდა დამთავრებულიყო. ეს შეგრძნება კიდევ უფრო მიმძაფრდებოდა ხოლმე, როცა გერმანიიდან მიღებულ კონვერტზე სიტყვა „რაინერ“ ამოვიკითხავდი. მაშინვე, რატომღაც რაინერ მარია რილკესა და მარინა ცვეტაევას სიყვარულის ისტორია მასხენდებოდა და შიში მიპყრობდა, რომ ჩვენი ვირტუალური რომანიც „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკასავით“ განწირული იყო.

...კაცმა არ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა ეს გლოვა, რომ არა ერთი ჩემი მეგობრის სხვათაშორის წამოსროლილი შეკითხვა: „მაინც რა წიგნები გამოგიგზავნა რაინერის სულელმა ცოლმა?“ (რატომ იყო სულელი, არ ვიცი, პირიქით, ძალიან ჭკვიანურად გადამიხადა სამაგიერო).

მართალი რომ ვთქვა, წიგნები არც კი გადამიშლია, დავეხდე მხოლოდ, ერთი ანაის ნინის რომანი იყო „ჰენრი, ჯუნი და მე“ (მაშინ ანაისის სახელიც კი არ გამეგონა), მეორე კი - „ვენების ბარათები“ (ჰენრი მილერის და ანაის ნინის 21-წლიანი მიმონერა). იმდენად თავზარდაცემული ვიყავი რაინერის გარდაცვალების ამბით, რომ წიგნები თაროზე შევეყარე, ნაკითხვას ვინდა ჩიოდა, გადაუშლელად (ან კი, რა მენიგნებოდა?!). არადა სწორედ ამ წიგნებში იფარებოდა ელზას ქალური შურისძიების მზაკვრული ჩანაფიქრი.

წიგნი ხელში ავიღე თუ არა, თავისით გადაიშალა იქ, სადაც „საჭირო“ იყო, რადგან გვერდ ჩაკეცილი აღმოჩნდა. ეს იყო ჰენრი მილერის წერილი ანაისისადმი: „ანაის, როცა შენ უბრალოდ ჩემთან ხარ, ჩემს ყოველ მოძრაობას აკვირდები...“ თვალთ დამიბნელდა, ასოები ერთმანეთში ამერია, მეტის ნაკითხვა ვეღარ შევედოდი... ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, ყველა იმ სასიყვარულო ბარათის ავტორი, რომელთაც მე რაინერისგან ვიღებდი - ჰენრი მილერი გახლდათ! ...ადრესატიც, რაღა თქმა უნდა, მე არ ვიყავი. ის თავის საყვარელ ქალს სწერდა. დიდ გაუგებრობაში აღმოვჩნდი: მე რომ მეგონა, კაცი, რომელიც მიყვარდა, რაინერი იყო, სინამდვილეში ჰენრი მილერი აღმოჩნდა. სწორედ მისი ვნებანი ბარათებით მოვიხიბლე და მოვჯადოვდი, თორემ სხვა მხრივ რაინერთან არაფერი მქონდა საერთო. მილერიც უკვე გარდაცვლილი აღმოჩნდა (1980წ.), თითქმის საუკუნით იყო ჩემზე უფროსი, და, ასეც რომ არ ყოფილიყო, ჩემთან რა საერთო ჰქონდა?! ეს ხომ მისი ცხოვრება იყო, მისი და ანაისის. მათ სიყვარული აქციეს ლიტერატურად. ყველაზე წაყოფიერი შემოქმედებითი პერიოდი 1931-38 წლებში ჰქონდათ, სწორედ ამ დროს იქმნებოდა მილერის „კირჩხიბის ტროპიკი“ (თუმცა ეს ჯუნიის ეძღვნებოდა), „შავი გაზაფხული“... მხოლოდ 1932 წელს ანაისმა დღიურების 6 წიგნი დაწერა, ეს იყო მისი ექსპერიმენტი ეროტიკული ლიტერატურაში. შემდგომ ეს დღიურები დაედო საფუძვლად მის რომანს „ჰენრი, ჯუნი და მე“.

ჩემს ცხოვრებაში სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო - ჰენრი მილერისა და ანაის ნინის შემოქმედების გაცნობის... ვითიულობდი ყველაფერს, რაზეც ხელი მიმიწვდებოდა: მათ რომანებს, ნოველებს, დღიურებს, სასიყვარულო ბარათებს... (საბედნიეროდ გერმანელებს უკვე ყველაფერი ნათარგმნი ჰქონდათ).

...სხვათა შორის, იმ პერიოდში ჩემი ყოფილი შეყვარებულიც გამოჩნდა და კვლავ სცადა ურთიერთობის აღდგენა, მაგრამ, ის უკვე ჩემი წარსული იყო, ისევე როგორც რაინერი... და, ჰენრი მილერის არ იყოს - წარსულში ვეღარ დავბრუნდებოდი...

ბოლოს ლოდინისგან და გაურკვეველობისგან სასონარკვეთილმა გადავწყვიტე, ეს ბარათებიც მომეშორებინა თავიდან. რა თქმა უნდა, შემეძლო დამეხია, გადამეყარა ან სულაც დამენვა ისინი, მაგრამ,

გოჩა ხარანაული

თუ ბედი არ მომეცარა,
თოვლივით უნდა შეგადნე.
შენთან მოფრენა მენადა,
გული გამისკდა შენამდე!

შენი სურვილის ქაჯებმა
ცდუნების რაშზე შემსვეს,
მე თვალებიდან ვხტები და
მოველენები შენსკენ!

და როგორც ყანა უმკელი,
მზის რომ ახურავს ჯილა,
დამხვდები ხვად მგელს ძუ მგელი,
ამიყირავებ ჯივარს!

და თუ შემრისხეს ზემოდან...
დინებას მივყევ ალმა,
ვით ნოე, შენში შემოვალ,
მერე...
მოიდეს ნარღვნა!!!

ვიცი, უფალს ნიადაგ საყვედურებს უთვლი,
ჯავრი ნულარ გექნება ხარების და გუთნის.

სახნისი მაქვს ფოლადის, ნაცადია გარჯით,
ხნულს მივყვები ბოლომდი, უხვად ოფლის ხარჯვით,

გულს არ გავატეხინებ შენთვის ნაღველს შენსას,
შენი სევდის სასმურებს ერთიანად შევსვამ.

მიხმე, როცა გენებოს, მიმსახურე ყმურად,
შენი მკვახე შეხედვა მიჩანს საამურად.

გუთანი რომ მოშვივა მინას ყამირს, ქვიანს,
ავუყენებ ოხშივარს ბელტებს ბარაქიანს.

ხელებს დავიკაპინებ, ჩავუდგები კვალში,
შუბლზე ღრუბელს ნავიკრავ,
მზეს დავიმწყვდევ თვალში...

იჭორიკონ ბრიყვებმა, კეკემ, თებრომ, თათემ,
დაე ყველამ მიხედოს თავის სახნავ-სათესს!

მიმსახურე დილამდე, გაგილენო, ქალო,
ჟრუანტელის ეკლებით შენი გრძნობის კალო!

ვინმეს ხომ არ დაკარგვიხარ?!
ღმერთო ჩემო!
რა კარგი ხარ!

თვალებს ვუმზერ ნამიანებს,
შენ გამაადამიანე!

ერთხელ კიდე ამიარე,
ერთხელ კიდე ჩამიარე!

ერთხელ კიდე მომდე ბრჯვალაი,
შენეული იერიდან,
თორემ როგორც ნაპერწკალი
ვექრები თვალსაწიერიდან!

ლიკას დედა...
მოდის თეთრი ფეხებით და
ურცხვად თამაში მუხლისთავებით.
მალიზიანებს ლიკას დედის თავდაჯერება,
ასეთი თავდაჯერება
დანაყრებულ ირმებს სჩვევიათ.
ამიტომაც არაფრად აგდებს ჩემს ჩასაფრებას.
ლიკას დედა...
მოდის და მოაქვს ბარაქიანი...
იანვრის თოვლი, მე რომ ივლისის
ხანძარს მიკიდებს.
...ლიკუნას დედიკოს...
გაუმარჯოს, ვაჟებო!!!

ლამეს ისე ველოდები, ვით ბოჩოლა ჯიქანს,
როგორც გლეხი ყანის შემდეგ ცივი ღვინით ჭიქას!

ჰეი, ჩემო სიყმანვილე! საყელოთი ჭამდი,
შხამი წამლად შეგიგრივია,
შაქრად — ცივი მჭადი!

შენ თუ არა, სატრაბახო ვის რა უნდა ჰქონდეს,
ნიავევით ალაღებდი მინდვრებსა და კორდებს!

რა სინდისით მიმატოვე, ვისას დაჰყევ ნებას,
მე უშენოდ ველარა ვძლებ, შენ როგორ ხარ ნეტავ!

უხ, რა ნაღდი, რა მართალი, რა ალალი იყავ,
რა ნამუსით უნდა იქცე საფიალე თიხად!

მაინც ღამეს ველოდები,
ვით ყვავილებს ქარი,
ცალ რქას უნდა ვახვნივინო,
რქას ბებერი ხარის!!!

ნუ დამაყვედრი ღიმოლს,
ხერხს არ მიმართო ნაცადს,
ნაცრის ქვეშ ჩუმად ვლვივი,
ჩამოუქროლე ნაცარს.

ნუ დაინანებ მკლავებს
სიძუნე სულ არ გშვენის,
მე უნამუსოდ მკლავენ
მტრები ჩემი და შენი!

ნუ მომანატრებ ალერსს,
შენს გულს მართალს და ალალს,

ნუ მომარიდებ თვალებს
— ერთადერთ გამოსავალს! —

არ ამიმღვრიო წყალი,
უდაბნოს შინა მყოფელს,
გამიხანგრძლივე წამი,
გამაძლებინე სოფელს!!!

ოქტომბერი გავიდა, ნოემბერი მოვიდა...
მე ზამთარი არ მინდა! გაზაფხული მომინდა!
მაპატიე პოეტის უწყინარი ცოდვები,
მნიფე ლეღვის ტოტივით თუ გსურს მომენოდები.
შენი მზერის შეხების ზოგჯერ მტკიცე ატანა,
ნეტა თეთრი ფეხებით გულზე გადაგატარა!
მთვარე შეუბლალავი ღრუბლის ნავით მოცურდა,
ალარ ვიცი არავინ...
შენი სული მომწყურდა!

მზის შვილი ვარ და მზით ვარ ძლეული,
სიცოცხლე დატკბა შენი ტანივით,
სულ შენ გეკუთვნის ეს განძეული,
ჩემი ჯივრიდან ამოტანილი!

და დედამინა ხანმოდგომილი
ისევე გვაპურებს ნდომის წვენებით,
ფურივითა ხარ კარს მონდობილი,
და სადაცაა, მოინველები!


როცა გიპოვე, გრძნულ რაშვით
შემოვაჯერე მინდორ-ველები,
რომ მიმატოვო გრძნობით საშიშით,
ხომ ჰაერივით გამომეღვი!

სამყაროს ჯიბრზე მაგრად ვითვრები,
დავგმე სიცრუეც და სინამდვილეც,
გამოაფინე მარგალიტები,
გულის ტარება გამიადვილე!!!

თვალკამარა და კვირტისხელება,
გაზღაპრებული გრძნობით მამრუებ,
მომელანდები ელეთ-მელეთად
და პერანგივით გადმომამბრუნებ!

ზვავად მოვარდნილ ვნებით გამთელე,
დამმართე სიბრმე,
მერე სიყრუე!
ინახავ ჩემი სიყრმის ნაფლეთებს,
კუთვნილ სიცოცხლეს ალარ მიბრუნებ!

ნუ ამომგლიჯე გული მკერდიდან,
მოგონებების ნუ მსპობ ისრებით,
სიტყვა მომეცი!
ამიერიდან
რომ არასოდეს დამესიზმრები!!!



თავდაპირველად შიში და ნაღველი იყო და ისიც, უფრო მშობლებისგან გადმოღებული, ვიდრე თვითნაბადი. მერე კი, ჩვენც ვიპოვეთ ჩვენი სინათლის წერტილები და აღმოვაჩინეთ, რომ ნაცრისფერ, ნაომარ, უშუქო და ქრონიკულად დეპრესიულ თბილისში გაზაფხულს თავისთვის პატარა-პატარა ადგილები შეერჩია და ჩრჩილისგან ამოჭმული ძვირფასი ხალიჩასავით მაინც გაშლილიყო.

ეს სხვადასხვა ადგილები იყო: (და ახლა როცა ვისხუნებ მათ, გეგონება ათასი წელი გასულიყო „ვითარცა ერთი დღე“, მართლა მგონია, რომ ზუსტად ათასი წელი გავიდა და ამ უზარმაზარი მანძილიდან, ჩემი მეგობრების სახელითაც მადლობას ვწირავ ამ ადგილებს — შუქის წერტილებს), ზოგისთვის, ჩემი ტოლებითვის — მოსწავლე ახალგაზრდობის სახელი და ბევრ კარგ „წრესთან“ ერთად ერთი, ყველაზე გამორჩეული, ჩემთვის დღემდე აუხსნელი იდუმალებით მიმზიდველი და დღემდე პოპულარული — შემოქმედებითი სახელოსნო, თავისი მშვენიერი ცისანა მასწავლებლით; ზოგისთვის — ქალაქის ერთი-ორი ბაღი, ძირითადად, ეკლესიის ახლომხებო, სადაც არ იყო (ან სხვებთან შედარებით ცოტა იყო) მკვლევარობა-ქურდობების, კრიმინალური გარჩევების, გაუპატიურების და ათასი უკეთურობის ფაქტები, სადაც დედები ან ბებო-პაპები დილაობით ბავშვებსაც დაასეირნებდნენ და რაც არ უნდა იმეოთი ყოფილიყო, სიყვარულისგან გაცივსკროვებული წყვილების სახეებსაც ნააწყობდით, ისინიც, ძირითადად, პატარა გოგო-ბიჭები იყვნენ, პატარები ვიყავით ყველანი და ეს „პატარაობა“ გვაძლევდა ერთ უთქმელ სითამამეს, ვყოფილიყავით იმაზე კარგად, ვიდრე მთელი დანარჩენი ქალაქი, და ქვეყანაც, და კაცობრიობაც...

და იყო ყველაზე მთავარი — პატარა ნიგნის მალაზია რუსთაველის გამზირზე, გამომცემლობა „მერანის“ გვერდით, ამ მალაზიაში მხოლოდ ორი თარი ეკუთვნოდა ნიგნებს, დანარჩენებზე იყიდებოდა სამკაული, პარფიუმერია და ათასი სხვა რამ, თუმცა ეს „სხვა რამ“ ძალიან ზედმეტი იყო მაშინ, როცა პატარა მალაზიის ორი კედელი ერთმანეთს ახალი ნიგნებით უერთდებოდა და, კიდევ უფრო საინტერესო ხდებოდა ცხოვრება, როცა დახლებზე (სარეკლამო ადგილას!) ჩნდებოდა ლიტერატურულ ჟურნალ „XX საუკუნის“ ახალი ნომერი.

ჩვენ მას „თაბუკაშვილების ჟურნალს“ ვეძახდით (რედაქტორი კი იყო ზაალ სამადაშვილი), და ვიცოდით, რომ თუ არსებობს თავისუფლება, მისი ნაკითხვაც შესაძლებელია, და რატომღაც, ყველაზე მეტად, ამ მდგომარეობას ეს ჟურნალი ენათესავებოდა. თითქმის ყველა ახალი ავტორი, ვინც დღეს უკვე ცნობილი მწერალია, ამ ჟურნალიდან გავიცანით. ოდესმე იქნებ უფრო ბევრიც დავწერო ამ ჟურნალზე, თუმცა ახლა სულ სხვა რამის თქმა მინდა.

ჟურნალს ახალ ათასწლეულში „ახალი საუკუნე“ დაერქვა და, აი, მის ერთგულ მკითხველს ალბათ ახსოვს ერთი ნომერი (ყველა ნომრის დამახასიათებელი შეიძლება, უბრალოდ, ამას ისეთი განსაკუთრებული გარეკანი ჰქონდა!) — „ახალი საუკუნის“ 2005 წლის პირველი ნომერი, დაობებული პურის ფოტოთი გარეკანზე (გარეკანის დიზაინი — გურამ ნიბახაშვილის). სწორედ იმ „პურიან“ ნომერში წავიკითხე პირველად არჩილ ქიქოძის მოთხრობა. ჟურნალში დაბეჭდილი იყო მისი „ნასვლა“.

ეს ნაკითხვა იმ სიძლიერის შთაბეჭდილება აღმოჩნდა, რომელიც არასდროს დაგავინწყებს თავს.

ამხელა შესავალიც, ჩემი ბავშვობის 90-იანებზე და შუქის წერტილებზე, ალბათ იმიტომ გამოვივიდა, რომ თვითონ არჩილ ქიქოძის პროზაზე გამახსენა ყველაფერი, უფრო სწორედ — წამომამყრევი ტკივილების და სისხარულების ფოტო-ნეგატივები, და დამალაგებინა იმ სიზუსტით, რომ მათში სიკეთე მეპოვა.

სიკეთე, კეთილშობილება, სიზუსტე — ეს ის ცნებებია, რაც არჩილ ქიქოძის პროზას ყველასგან მკაფიოდ გამოარჩევს. მის მხატვრულ სამყაროში თითქოს გამოგონილიც არაფერია, არამედ ფოტოგრაფიული, გნებავთ კინო-კამერის სიზუსტით აღბეჭდილი და გამჟღავნებული, თუმცა ამ ოსტატურად შენიღბული სი-

ნამდვილის მიღმა სწორედ ის მთავარი და ნამდვილი, რისთვისაც ნებისმიერი ლიტერატურული ტექსტი დაწერილა აქამდე და რასაც, ზოგადად, შემოქმედების საიდუმლო ჰქვია.

საიდუმლოს, ფარულის, მიღმურის განცდა არ გტოვებს ამ მკაცრად „რეალური“ მოთხრობების კითხვისას, ამ ძალიან ტკივილებიანი, ხშირად ტრაგიკული, მარტოსული, ოღონდ რაღაცნაირად, სიცოცხლის ნიჭით მაინც მოზიემ პერსონაჟების გაცნობისას. არჩილ ქიქოძის მხატვრული სამყარო იმაზე გაცილებით ღრმა და ნამდვილია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს მკითხველს (მისივე ვალი და ბუნებრივი, ძალდაუტანე-

ნინო სადღობელაშვილი

ცხოვრება შემოქმედებაში და პირიქით

არჩილ ქიქოძე. მოთხრობების კრებული „ამანათი“



ბელი თხრობის სტილის, ნაცნობი ცხოვრებისეული მოვლენების თუ მრავალი სხვა მიზეზის გამო, რასაც ამ მოთხრობებში გადააწყდებით), და სწორედ ამითაა ეს მხატვრული სამყარო, ეს პროზა ძალიან ძლიერი და სრულიად თვითმყოფადი. ისეთი, როგორზეც უყვართ ხოლმე თქმა, რომ „ასე სხვა არავინ წერს“.

გურამ რჩეულიშვილმა შემოქმედებითი აფეთქებისათვის თავისი 26-წლიანი ცხოვრებიდან 4 წელი იკმარა და შექმნა სამყარო, რომელშიც ცხოვრებამ იპოვა თავისი ყველაზე იდუმალი გამოხატულება, და ეს დიდი და ღვაწლიანი ნაშრომია — ცხოვრებისა და შემოქმედების გადაკვეთის ნაშრომი, ალბათ იმ მზიური ენერჯის მატარებელია, რომელიც მარადისობაში ცოცხლობს და ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ეპოქაში წარუშლელი შთაბეჭდილებით ზემოქმედებს მკითხველზე. „შიგ შუა ცხოვრებაში ჩავარდნილს თავზე დამეხმო შემოქმედება“ — წერს გურამ რჩეულიშვილი და უყენებს საკუთარ თავს მოთხოვნას, გაიაროს ეს რთული და დრამატული გზა, შეიცნოს ცხოვრების და შემოქმედების საიდუმლო, აქციოს ცხოვრება შემოქმედებად. ალბათ ამიტომაცაა, რომ მის მოთხრობებ-

სა და ნოველებში თითქმის ნაშლილია ზღვარი რეალურ და გამოგონილ გურამს, ავტობიოგრაფიულ და შეთხზულ ეპიზოდებს შორის. ალბათ ამიტომაცაა, რომ ცხოვრებაში გაუცემელი კითხვების პირამიდები მის შემოქმედებაში წამომართულან, რაღაც დიადის, იდუმალის ცოდნადაუნჯებულნი და, ხშირად ცხოვრების ლიანდაგიდან ელვის სისწრაფით მქროლავი მატარებელი პირდაპირ მხატვრულ სამყაროში შეზანზარდება, რადგან ეს გზებიც — ეს სამყაროსდროინდელი ლიანდაგებიც, უხილავი კავშირით სწორედ იმ მიღმურში მიეჭანებიან, იქ განახლებიან... ასე იყო მუდამ და ასე იქნება, ვიდრე ადამიანში იცოცხლებს შემო-

ნა. მე ამოვბრუნდები აქ თქვენ მაგივრად, ქალ თუ არ ვითხოვე, შვილებ თუ არ ვიყოლიე, მარტო ვასოფლებ სოფელს... მარტო დავხნავ და დავთესავ, საქონსაც მარტო მოვუვლი, იმად რო, აქაურობის მეტ მე სახლი არა მაქვს...“ — ღრიალებს არცთუ გაბრუებული, მთიდან ნანადირევნათრევი, ნახევრად ბრმა ხევსური, უღრიალებს თავის ძმა-ბიძაშვილებს, ეზოში რომ გამოფენილან და ბარში ჩასვლის წინ გამოსამშვიდობებელ სუფრაზე ღრეობენ, მაგრამ არავინ აჩუქებს მას, არც არავინ ეწინააღმდეგება, იმიტომ კი არა რომ ისედაც იცინა, არსად ამომსვლელი არც ეს რომ არაა, იმიტომ რომ, სინამდვილეში, ხმაც კი ვერ ამოუღია ნახევრად ბრმა ხევსურს და ეს სიტყვებიც, ღრიალივით რომ მოესმა თვითონვე, სადღაც მის შიგნით ჩახრიალდა და ჩაიკარგა კლდიდან დაგორებული ქვებივით...

და რა ტკივილითაც ეს „ნასვლა“ აღწერილი, ეს შინიდან აყრა და მასთან დაკავშირებული ადამიანური ვნებები, იმავე სიმძაფრით ეჭიდებიან თავის „შინ“-ს, თავის ალაგს, მოთხრობა „ამანათი“. ეს ამანათიც ძველქართული სიტყვაა და მოსულს, არააქაურს ნიშნავს, პატრიარქალურ ყოფას შეჩვენული ადამიანების საზოგადოებაში კი ძნელია ამანათად ყოფნა, ძნელია დიდი ოცნებების, იდეალების მსახურება იქ, სადაც შენაინად არ გცნობენ, მაგრამ მით უფრო საინტერესოა — საცხოვრებლად და, უკანდაუხვეული — საბრძოლველად. ეს მოთხრობა ამ წინააღმდეგობებზეა, ამ ფარული კანონ-ზომიერების რღვევა-აღდგენაზე („ამანათი“ ჰქვია არჩილ ქიქოძის მოთხრობების ჯერჯერობით ბოლო კრებულსაც). 18 წლის ბიჭი უცხო სოფელში ბავშვთა სახლის ამენებას აპირებს, ააშენა კიდევ, თუმცა სულ შიში ჰქონდა, სოფლებს არ გადაენვათ, თავი ვერავის შეაყვარა, შეაყვარა კი არადა, ვერც კი მოაზნა, ამანათად მიჩნის და ჯერ ძალიან შორსა ჩანს მათ შორის გაჩენილი უფსკრულის ამოსავლები ყვავილი... მაგრამ ეს ბიჭი ძლიერია, ისევე როგორც არჩილ ქიქოძის სხვა მოთხრობების გმირები, თავიანთი ტკივილების, ხანდახან შეუძლებელთან ბრძოლაში დაღლილი და დაცლილი სულების, გამოუვალი მდგომარეობების მიუხედავად — ძლიერები არიან ყველანი და, რაც მთავარია, ოცნებობენ, უფრო სწორედ, ცხოვრებას იმ მხრიდან უმზერენ, საიდანაც მის საზარელ და პირქუშ ნიაღში უცხო რამ სხივი მაინც ანთია.

ეს სხივია საიდუმლო, კაცს რომ ცხოვრებასთან აკავშირებს. ეს სხივია ის ნამიც, ცხოვრებას სულაც რომ შემოქმედებაში განგაცდევინებს და, ამის თვალსაჩინო ნიშნულია მოთხრობა „კახეთის მატარებელი“. მე მის შინაარსს ვერ მოვყვები, ის უნდა კარგად, დაკვირვებით ნაიკითხო და ერთდროულად ბევრ რამეზე დაფიქრდე, ბევრი რამე იგრძნო... ერთი კია, „კახეთის მატარებელი“ ვიროსმანის ამავე სახელწოდების ცნობილი ტილოს გამო ჰქვია ამ მოთხრობას, პასაჟები აქაც და არჩილ ქიქოძის მთელ პროზაში ხშირადაა ფერწერული, უზადო გემოვნებით და რაც მთავარია, ღრმა შინაგანი ხედვით „ნახატი“ ეპიზოდული და პერსონაჟები, რომელსაც აქვთ ძალა, თანაგანმცდელი იპოვონ მკითხველში.

საერთოდაც, არჩილ ქიქოძის მოთხრობებში რაღაცნაირად „ქართული“ თემებია. ოღონდ, ამ ქართულს ისე ვამბობ — ნაციონალურ კარნაკეტობაში ბრალი არავინ დაგვდოს არც მწერალს და არც მე, არც ის წარმოდგინოს, რომ „ქართული“ ვინრო, ლოკალურ ეროვნულ-ეთნიკურ სივრცეს ნიშნავს მხატვრულ შემოქმედებაში და მეტს არაფერს.

სწორედაც რომ ლოკალური ეროვნულ-ეთნიკური შინაარსის მიღმა არჩილ ქიქოძის მოთხრობების სათქმელიც და პრობლემატიკაც. სამზერი მშობლიური და თითქოს ნაცნობია — ეს საქართველოა, თავისი უახლესი წარსულით დაღდასმული, ტკივილიანი, უიმედოც და იმედიაიც; ეს საქართველოა — სამშობლო, რომელიც ლიტერატურაში უხერხულობას კი არ ინვესს, არამედ პირიქით — ყველაზე ბუნებრივად, შემოქმედება, ამ სამზერიდან მოჩანს; უცხო კი არ არის და საქილიკო, ირონიით, გესლით დასაგმობი (მით უმეტეს

„ისემც გიქნიათ, ყველა ნასულხართ და დალეულხართ, თქვე გოთვერნებო, თქვე-

ნა. მე ამოვბრუნდები აქ თქვენ მაგივრად, ქალ თუ არ ვითხოვე, შვილებ თუ არ ვიყოლიე, მარტო ვასოფლებ სოფელს... მარტო დავხნავ და დავთესავ, საქონსაც მარტო მოვუვლი, იმად რო, აქაურობის მეტ მე სახლი არა მაქვს...“ — ღრიალებს არცთუ გაბრუებული, მთიდან ნანადირევნათრევი, ნახევრად ბრმა ხევსური, უღრიალებს თავის ძმა-ბიძაშვილებს, ეზოში რომ გამოფენილან და ბარში ჩასვლის წინ გამოსამშვიდობებელ სუფრაზე ღრეობენ, მაგრამ არავინ აჩუქებს მას, არც არავინ ეწინააღმდეგება, იმიტომ კი არა რომ ისედაც იცინა, არსად ამომსვლელი არც ეს რომ არაა, იმიტომ რომ, სინამდვილეში, ხმაც კი ვერ ამოუღია ნახევრად ბრმა ხევსურს და ეს სიტყვებიც, ღრიალივით რომ მოესმა თვითონვე, სადღაც მის შიგნით ჩახრიალდა და ჩაიკარგა კლდიდან დაგორებული ქვებივით...

და რა ტკივილითაც ეს „ნასვლა“ აღწერილი, ეს შინიდან აყრა და მასთან დაკავშირებული ადამიანური ვნებები, იმავე სიმძაფრით ეჭიდებიან თავის „შინ“-ს, თავის ალაგს, მოთხრობა „ამანათი“. ეს ამანათიც ძველქართული სიტყვაა და მოსულს, არააქაურს ნიშნავს, პატრიარქალურ ყოფას შეჩვენული ადამიანების საზოგადოებაში კი ძნელია ამანათად ყოფნა, ძნელია დიდი ოცნებების, იდეალების მსახურება იქ, სადაც შენაინად არ გცნობენ, მაგრამ მით უფრო საინტერესოა — საცხოვრებლად და, უკანდაუხვეული — საბრძოლველად. ეს მოთხრობა ამ წინააღმდეგობებზეა, ამ ფარული კანონ-ზომიერების რღვევა-აღდგენაზე („ამანათი“ ჰქვია არჩილ ქიქოძის მოთხრობების ჯერჯერობით ბოლო კრებულსაც). 18 წლის ბიჭი უცხო სოფელში ბავშვთა სახლის ამენებას აპირებს, ააშენა კიდევ, თუმცა სულ შიში ჰქონდა, სოფლებს არ გადაენვათ, თავი ვერავის შეაყვარა, შეაყვარა კი არადა, ვერც კი მოაზნა, ამანათად მიჩნის და ჯერ ძალიან შორსა ჩანს მათ შორის გაჩენილი უფსკრულის ამოსავლები ყვავილი... მაგრამ ეს ბიჭი ძლიერია, ისევე როგორც არჩილ ქიქოძის სხვა მოთხრობების გმირები, თავიანთი ტკივილების, ხანდახან შეუძლებელთან ბრძოლაში დაღლილი და დაცლილი სულების, გამოუვალი მდგომარეობების მიუხედავად — ძლიერები არიან ყველანი და, რაც მთავარია, ოცნებობენ, უფრო სწორედ, ცხოვრებას იმ მხრიდან უმზერენ, საიდანაც მის საზარელ და პირქუშ ნიაღში უცხო რამ სხივი მაინც ანთია.

ეს სხივია საიდუმლო, კაცს რომ ცხოვრებასთან აკავშირებს. ეს სხივია ის ნამიც, ცხოვრებას სულაც რომ შემოქმედებაში განგაცდევინებს და, ამის თვალსაჩინო ნიშნულია მოთხრობა „კახეთის მატარებელი“. მე მის შინაარსს ვერ მოვყვები, ის უნდა კარგად, დაკვირვებით ნაიკითხო და ერთდროულად ბევრ რამეზე დაფიქრდე, ბევრი რამე იგრძნო... ერთი კია, „კახეთის მატარებელი“ ვიროსმანის ამავე სახელწოდების ცნობილი ტილოს გამო ჰქვია ამ მოთხრობას, პასაჟები აქაც და არჩილ ქიქოძის მთელ პროზაში ხშირადაა ფერწერული, უზადო გემოვნებით და რაც მთავარია, ღრმა შინაგანი ხედვით „ნახატი“ ეპიზოდული და პერსონაჟები, რომელსაც აქვთ ძალა, თანაგანმცდელი იპოვონ მკითხველში.

საერთოდაც, არჩილ ქიქოძის მოთხრობებში რაღაცნაირად „ქართული“ თემებია. ოღონდ, ამ ქართულს ისე ვამბობ — ნაციონალურ კარნაკეტობაში ბრალი არავინ დაგვდოს არც მწერალს და არც მე, არც ის წარმოდგინოს, რომ „ქართული“ ვინრო, ლოკალურ ეროვნულ-ეთნიკურ სივრცეს ნიშნავს მხატვრულ შემოქმედებაში და მეტს არაფერს.

სწორედაც რომ ლოკალური ეროვნულ-ეთნიკური შინაარსის მიღმა არჩილ ქიქოძის მოთხრობების სათქმელიც და პრობლემატიკაც. სამზერი მშობლიური და თითქოს ნაცნობია — ეს საქართველოა, თავისი უახლესი წარსულით დაღდასმული, ტკივილიანი, უიმედოც და იმედიაიც; ეს საქართველოა — სამშობლო, რომელიც ლიტერატურაში უხერხულობას კი არ ინვესს, არამედ პირიქით — ყველაზე ბუნებრივად, შემოქმედება, ამ სამზერიდან მოჩანს; უცხო კი არ არის და საქილიკო, ირონიით, გესლით დასაგმობი (მით უმეტეს

დასასრული მე-15 გვერდზე

სინოქსისი მსატრული ფილმის-ათვის ვაჟა-ფშაველას სამი ხევის-რული პოემის - „სტუმარ-მასპინძლის“, „გველისმჭამელის“ და „ალუდა ქეთილაურის“ მიხედვით

კავკასიონის მთაგრეხილზე ხურჯინ-ივით გადაკიდული - აქეთ, სამხრეთით ფშაველურეთი და იქით, ჩრდილოეთით ქისტეთ-ლეკეთი ერთიანი და თავისი ძველთაძველი ადათ-წესებით თავისებურად ჩამოყალიბებული სისტემაა, სადაც მტრობასაც თავისი კანონები აქვს, ძმადნაფიცობასაც და სტუმარ-მასპინძლობასაც.

სწორედ ამ სისტემის გასაუკეთესებლად იბრძვიან ვაჟა-ფშაველას ხევისურული პოემების გმირები და, მიუხედავად იმისა, რომ დასამარცხებლად არიან განწირულნი, ამ გზაზე მანც არ უშინდებიან თავიანთი დროის საზოგადოების კანონების დარღვევასაც.

ფილმიც სწორედ ამაზეა - „სულის ცხენით“ შეკრული პიროვნებებისა და საზოგადოების დაპირისპირებაზე.

სამივე პოემის გმირები ერთმანეთის თანამედროვენი არიან და სამივე ამბავს აერთიანებს „სულის ცხენი“.

რა არის „სულის ცხენი“? კარგ ცხენს მორთავდნენ, შეკაზმავდნენ, უნაგირს ტახტაზე ანთებულ სანთელს დააკრავდნენ და მათრახს ჩამოკიდებდნენ. უნაგირზე ხურჯინს გადაკიდებდნენ მკვდრის საგზლით - პურ-არაყით. „სულის ცხენს“ მიცვალებულის იარაღს და ნაბადს აჰკიდებდნენ. ასე მოკაზმულ „სულის ცხენს“ მიცვალებულს თოკით გამოაბამდნენ ხელზე. „სულის ცხენი“ აღვირით მიცვალებულის ცოლს, დედას ან დას ეჭირა. სულის ხუცესი ამ აღვირს ხელს ჩაჰკიდებდა, მეორეთი არყით სავსე ჭიქას დაიჭერდა და აკურთხებდა „სულის ცხენს“ (მკვდარს მიმართავდა): „შენი სახმარი არის ეს შეკაზმული ცხენი, შენი საფერხე იყოს, სადაც დაგჭირდეს, გამაიყენე და აჯიროთე. უცხენომც ნუ იქნები. ეს უნაგირი, ხურჯინ-საგზალი შენ გეხმარების“. ამის შემდეგ სულის ხუცესი ლუდს ან არაყს მიასხურებდა ცხენის ფაფარს და უნაგირს, მათრახს სამჯერ ფრთხილად გადაჰკრავდა და ასევე სამჯერ ნაღმა შემოატარებდა მიცვალებულის გარშემო. სულის ცხენს სასაფლაოზე არ წაიყვანდნენ. ასე შეკაზმულს ვინმეს გადაულოცავდნენ, რომ მიცვალებულის სახელზე ჰყოლოდა და შემხვედრებისთვის მიცვალებულის ხსოვნისა დაეღვივებინა.

სწორედ ამგვარ „სულის ცხენს“ დაუყენებენ ქისტეთში დაკლულ ზვიადურს, რომელიც ქისტების მიცვალებულს არ შეენირა, ხოლო იმის ცხენს „სულის ცხენად“ აღკაზმევენ და მიხდნიან (გველისმჭამელს) გადაულოცავენ.

ხოლო როცა დამარცხებული და ბუნების ენის დაკარგვით გამწარებული მინდია თავს მოიკლავს, ამ სულის ცხენს ალუდა ქეთილაურს გადასცემენ.

ალუდა ქეთილაურიც მისდაუნებურად დაუპირისპირდება საზოგადოებას - მანამდე გაუგონარ საქციელს ჩაიდენს - კურატს შესწირავს თავისგან მოკლულ მუცალს და ამის გამო ხევისბერი რომ მოიკვეთს და შატილიდან მიდის მთელი ოჯახით, მაშინ წამოეწევა პატარა ხევისური ბიჭი და „სულის ცხენს“ იმას უტოვებს ალუდა - იმისი საქმის გამგრძელებელი ბაღლი მანც რჩება შატილში...

სულ ეგ არი.

ქირითაღი მოქადაგები „სულის ცხენისათვის“

დილით სანადიროდ წავიდა იდუა ზვიადურის ძმა, სახელად კაგა, ჯიხვი დათოფა ჭიუხებში. ამ დათოფილ ჯიხვს რომ ზურგზე მოიკიდებს კაგა, ამას ხედავს ჯოყოლა ალხასტაიძე მეორე კლდიდან და თავად სხვა მხარეს გასწევს სანადიროდ.

ჩამოვიდა თავის ბინაზე კაგა, ჯიხვი გაატყავა, აქნა... ჯერ კიდევ დღეა და „კალ-მახობა“ დაიწყო, დაიჭირა თევზი, შევიდა სახლში, ცეცხლი დაანთო, მიაყუდა სიპი და ზედ კალმახი უნდა შეწვას.

ამ დროს შემოვიდნენ ქისტები. ერთს ალბერდი ჰქვია, რომლის ძმა ანდურაყო ზვიადურს ჰყავს მოკლულად.

კაგა არ შეშინდა, მიიპატიჟა ქისტები - დასხედითო. აი, ღვთის მოცემული ჯიხვის ხორცი და კალმახიო.

ალბერდი - ძაღლო, მე შენთან პურს არა ვჭამ, თოფი აიღე, დიაცურად არ დამიხვედე!

კაგა - მე ზვიადური ვარ, არ ვიტყვებ და არ შეგეხვენი, ძაღლი მამიშენისად იყოს!

ალბერდი - იმიტომ მოკლა მამაჩემი ანდურაყო შენმა ძმამ, იდუამ?

კაგა - გინდა, რომ თავი ისახელო, ვითომ იარაღი მომეცი, მაჯობე და დიაცივით არა მკლავე! მე უიარაღო ვარ, ან გარეთ უნდა მოგვეკალი, ან მომპარებოდი და თოფსაკევიდან დაგეკრა!.. მე ხომ სტუმრად მიგიღე, ძაღლო!

ალბერდი - ჭალაზე რომ დარლა მაგვიკალით, იმას სხვას შავნირავთ, შენ კი მამაჩემ ანდურაყოს შავნირები!

მიხო მოსულიშვილი

სულის ცხენი

A film treatment



ალბერდი თოფს დაჰკრავს კაგას.

კაგა ისევე ფეხზე დგას. — ვირ და ძაღლ იყოს მამაშენისადა! — ამოიხრიალებს კაგა.

თოფს დაჰკრავს ცოტემციც, მუცალის ძმა.

კაგა პირქვე ჩაემხოზა.

ალბერდი და მუცალი გარეთ გამოდიან, ხანჯლებით წნელებს დაჭრიან, დაგრეხენ, მკვდარ კაგას შეაბამენ წელზე, დიდ კლდეს მიაბამენ და მოდიდებულ მდინარეში ჩაუშვებენ. ალბერდი კაგას ლურჯას გამოაბამს თავის ცხენს და მიჰყავს - ეს ლურჯა ძალიან ლამაზი და ჯიშინი ცხენია, ჯარეგომი მისულ ალბერდს და ცოტემს გარს ქისტები შემოერტყმებიან, ჰკითხ-

ავენ ბრძოლის ამბავს და თან მონონებით ათვალეობენ ზვიადურის ლურჯა ცხენს - ეს არის ჩვენი ფილმის „სულის ცხენი“.

სოფელში ეძებენ კაგას. ვერსად უპოვნიათ.

თავის ძმას დაეძებს იდუა ზვიადურიც და ამ ძებნა-ძებნაში ისე გადადის ქისტეთისკენ, ვერც იგებს.

ლამით, მდინარე მეში-ხის (მდინარე ჩანტი-არლუნის მარცხენა შენაკადი) პირზე ერთმანეთს შეხვდებიან ზურგზე ჯიხვიმოკიდებული ჯოყოლა და გზადაბნეული იდუა ზვიადური.

გაცნობის შემდეგ ჯოყოლა მიიპატივებს ზვიადურს სოფელ ჯარეგომში, სადაც უდგას ქვე-ციხე.

მივლენ ჯარეგომში, შევლენ ჯოყოლას სახლში. გამოიხედავს ალაზა, სტუმარს ჩამოართმევს თოფ-იარაღს და შიგნით

ალხასტაიძის სახლში მოყურიადედ, რომ გაიგოს, სად დაიძინებს სტუმარი.

ცოტემციც მიდის ზვიადურთან, სადაც ჯიხვის მწვადს სწევს ალაზა, იქიფებს იმათთან ერთად და გაიგებს, რომ ზვიადური დერეფანში წევა იმ ლამით. ცოტემციც ბრუნდება იარდაზე და ამას ყვება.

ლამით ჯოყოლას სახლის დერეფანში ქისტები სადღოს მეთაურობით ზვიადურს თოკავენ.

იარაღმომარჯვებული ჯოყოლა გამოობის სახლიდან და მიუხედავად იმისა, რომ ეტყვიან, შენი ძმა უმარალი ამან მოკლა არყიანებში თოფითაო, მაინც არ ანებებს ქისტებს ზვიადურის შეპყრობას.

მუსა საყვედურობს: თემის პირს რად სტეხ, თავხედო! - და ჯოყოლასაც უპირებენ შეპყრობას.

ჯოყოლა ხანჯვალს გაუყრის მუსას და მოკლავს.

ჯოყოლას გათოკავენ და ისე დააგდებენ დერეფანში.

ზვიადური მიჰყავთ.

სადო - დარლასამც შავნირების!.. საიქიოში წყალ უზიდოს და ჯღანს გაუბანდავდეს მორჩილად!

გათოკილ ზვიადურს მიიყვანენ ჯარეგოს სასაფლაოზე.

წამოაქცევენ ზვიადურს და ყელზე აბჯენენ ხანჯვალს.

მოლა ლოცვას ამბობს.

სადო - დარლასამც შავნირები!

ზვიადური - ძაღლ იყოს თქვენის მკვდრისადა!

ზვიადურს ისე დაკლავენ ქისტები, რომ იმათ მკვდარს მაინც არ ეწირება და სულ ამ სიტყვებს იმეორებს ბოლომდე, სანამ მოკვდება.

წაწყენი ქისტები ხანჯლებით გაინევენ კიდევ აფართხალებული მკვდრისკენ, მაგრამ მუცალი შეაჩერებთ.

ქისტები თავ-თავის სახლებში მიდიან, ზვიადურს დაუმარხავად დატოვებენ.

ალაზა სოფლის წყაროზე ზის, ელანდება ზვიადურის სიკვდილის სცენა და ტირის.

ალაზა მიდის სასაფლაოზე, ზვიადურის გვამთან, გვამს მუხლ-მოყრით დაეყრდნობა და ქვითინებს. მერე დანას ამოიღებს, წვერდანი სამ ბალანს ააჭრის მკვდარს და ჩიქილის ტოტში ინახავს.

ალაზა ხედავს, რომ საფლავებიდან ამოდიან მკვდრები:

- 1. ჯოყოლას ძმა, უმარალი.
- 2. ალაზას ძმა, ებარი.
- 3. დარლა.
- 4. ანდურაყო

მკვდრები საყვედურობენ, ეს როგორ შეგვარცხვინო!

ალაზა გაიქცევა. ძლივს მიაღწევს სახლამდე და ზღურბლზე გადაიქცევა.

ჯოყოლა მოასულიერებს ცოლს. ათქმევინებს, რამ შეაშინა ასე. მერე ეუბნება, რომ - კარგია, თუ იტირე ზვიადურიო.

ქისტები მუსას მარხავენ და ყველა იმის კუბოს მიჰყვება.

ალაზას ძროხები გამოურეკავს, თან ვითომ ქსოვს და ზვიადურის გვამს შესეულ ყორნებს და სვავენს აფრთხობს კენჭების სროლით.

სასაფლაოზე შემოდიან მუსას დამკრძალავი ქისტები.

— ჩემი ძმის სისხლს არ შევარჩენ ჯოყოლასა! - ისე ყვირის მუსას ძმა, რომ ალაზამ გაიგონოს...

ხევისური ბაღლი აბიკა ძროხებს აძოვებს და უცებ წინ დაუდგება ჯოყოლა.

შეშინებული აბიკა გაქცევას დააპირებს, მაგრამ ჯოყოლა დაიჭრის და ეუბნება, იდუა ზვიადური მოკლეს ჯარეგოელებმა და დაუმარხავად აგდია სასაფლაოზე.

აბიკა ძროხებს მიატოვებს და შატილ-ისკენ გარბის.

ხორგაის მინდი კლდეზე დაკიდულ წნელს ხედავს, ჩააყოლებს თვალს და ხედავს, რომ წყალს დაუკლია და წნლების ბოლოში დაკიდული კაცის ჩონჩხი მგლებს მოაქვთ ნაპირისკენ. ხორგაის მინდი თოფის სროლით დააფრთხობს ნადირს და მდინარის პირზე ჩარბის. გვამს ხელ-ფეხი აქვს დაგლეჯილი. ხორგაის მინდი თავის ცხენს აჰკიდებს მკვდარი კაგას ნარჩენებს და სოფლისკენ მიაქვს. ზვიადურების დედა დაიტყრებს კაგას. ყველანი იდუას ელოდებიან, რომ უმისოდ არ დამარხონ ძმა.

შეუძღვება.

სახლში ცეცხლისპირს ზის მოხუცი ქისტი სადო, ფანდურს უკრავს და ქისტურად მღერის. სტუმრად შემოსულ ზვიადურს ფეხზე წამოუდგება, მაგრამ სახე შეეცვლება.

სადო გადის გარეთ, მიაბიჯებს სოფელში და გულში მჯილს იცემს. იარდაზე (ეს არის ჩვენებული „საფიხნოს“ ქისტური ანალოგი) იკრიბებიან ქისტები: ალბერდი, მუსა, მუცალი, მუცალის ძმა - ცოტემცი, მოლა და სხვები.

იარდაზე გადაწყვეტენ, რომ ზვიადური შეიპყრონ და შატილში ახლად მოკლულ თავიანთ მკვდარს, დარლას შესწირონ. ამ-შს გარს ქისტები შემოერტყმებიან, ჰკითხ-

შატილიში ხატობაა. ღრეობენ შატილი-
ინგები.

ზის ხორგაის მინდი და ლუდს სთავა-
ზობს ალუდა ქეთელაური.

საქალაქში სხედან შატილიონი ქალე-
ბი: სანდუა, შვენა, მზია (მინდიას ცოლი)
და ლაპარაკობენ, რომ მინდი ქაჯებს ჰყო-
ლიათ ტყვედ და იქ უსწავლია ბუნების ენა,
მკურნალობა.

ალუდას ჩუა მიეპარება, არყით გავსე-
ბულ ყანს პირთან მიუტანს და ძალით
უნდა შეასვას. ალუდა ნახევარ არაყს
დააქცევს.

ჩუა გაბრაზდება, როგორ თუ შენ არაყ
დამიღვარე, შე ამანათოო (შე შემოკედლე-
ბულოო!) და ხმაზე გაივლებს ხელს.

ალუდაც შეუტევს და იმართება შულ-
ლი. ხმალობენ და და ისე კი, რომ მთელი
ძალით არ დაჰკრან ერთმანეთს.

— არიქა, მეშველი, მეშველი, თორი
ამაჰხოცენ ერთუცს! — იყვირებს ხევის-
ბერი ბერდია.

მოშუღარებს გააშველებენ.

ჩუა სისხლიანი არ არის, ალუდას კი
ნაიარევი აქვს შუბლზე და სისხლი სდის.

ჩუა — უნცროსიმც ხარ ჩემის მკვდრისა,
თორღვანისი! ტაბლაზედამც უზიხარ, ნყ-
ალთამც უზიხარ, ჯღანთამც უზიხარ, ნყ-
ელ-პირსამც აბანიებ, უნცროსადამც ჰყე-
ვიხარ!

ალუდა — ვირ იყვეს შენის მკვდრის უნ-
ცროსი, ძალღ, ციცაი, ჯორაკაი! ძალღ არ
იქნების შენის მკვდრის უნცროსი, მე კი არ!
სად ნამიხლო, ისი გონავა, რა შამარჩინ-
სავ? კარში გამასავალს დაგიღევ, დიაცის
უბეში ჩაგაყოფიებ მაგ თავს, თავ-ფლა-
სიანო, დედის მეძლეო, ნისქვილის მხვეტ-
ელო, მირგვლივ მავალო! რა გგულავ, რა?
ქვე რა მეკიდ შენი მკვდართად შასანირი?

ბერდია — არიქათ, შავარიგნათ, თორე
ერთუცს დახოცენავ!

ხორგაის მინდი — (ალუდას) შალრი-
გდივ!

ბერდია — ხარს დავაკლევთავ, საკ-
ლავით მაგვერივთავ შინა!

ალუდა — არ შავლიგდებოვ! რაზე შამ-
ნირავ, რა მმართავ? შულღ წესიავ, მკვ-
დართად შანირვას რაღას მემართლებო-
დავ?

ბევრს ეხვეწებიან ალუდას. ხელს ჩამო-
ართმევენ.

ბერდია — შენ ხელზე დავგიბრძანებავ
წმინდის გივარგის ღთიშვილის ძალივ!
როგორც დაინდობ, აისრ დავინდვასავ
ხთიშვილმავ!

ამ დროს მოვარდება ის ჯოყოლასგან
გაფრთხილებული ბალღი და ამბობს, რომ
ჯარეგოლებს მოუკლავთ ზვიადაური.

მოთქმით ტირის სანდუა — ზვიადაურის
დედა.

საფიხვნოში იკრიბებიან შატილივინები.
დაადგენენ, რომ ქუდზე კაცი უნდა ნა-
ვიდეს სალაშქროდ.

მინდიას რჩევას ეკითხებიან და ისიც
ურჩევს, რომ ჯარეგოს სასაფლაოზე ილა-
შქრონ და შინ ნამოსახეწონ ზვიადაურის
ძვლები მაინც.

შატილივინების ლაშქარი მოემზადება
და მიდის ჯარეგოში. მედროშედ ხორგაის
მინდი მიუძღვის.

ალაზა ეუბნება ქმარს — ნახე, რამდენი
ხალხი შემოერთა ამ ჩვენი მთების წვერებ-
სო.

ჯოყოლა გაიხედავს და ხედავს მათკენ
მომავალ შატილიონ მოლაშქრეებს.

ჯოყოლა ხმაღს აიღებს, ქისტების
ლაშქარში არ ჩადგება, მარტო ეომება ხე-
ვსურებს ერთი კლდის თავზე და თავს შეა-
კლავს მტერს.

ბრძოლა გრძელდება.

ქისტების ლაშქარი გარბის და კომპებს
შეაფარებს თავს.

ხორგაის მინდი, ალუდა და სხვა ხე-
ვსურები ხურჯინში აგროვებენ ზვიადაურის
ძვლებს.

ხევსურთა ლაშქარი ჯარეგოდან გამ-
ოირეკავს ქისტების ცხვარ-ძროხას და
ბრუნდება შატილიში.

ალაზა ნახავს მოკლულ ჯოყოლას, ტი-
რის. მიდის ჯარეგოლებთან, სთხოვს,
ჩამომატანინეთ მკვდარი, რომ დავმა-
რხოო.

არავინ მიყვება — შენმა ქმარმა თემს
ულალატაო.

ალაზა მარტო წავა, მარტო გაუთხრის
ჯოყოლას საფლავს და მარტო დამარხავს
იმ კლდის თავზე, რომლის ძირშიც
მდინარე მემიხი მიშხუის.

ალაზას მთელმა ჯარეგომ აქცია ზურ-
გი. ალაზა მიდის იმ კლდის თავზე, სადაც
ქმარი დამარხა და იქიდან გადავარდება
მდინარეში.

ხურჯინს, რომელიც ზვიადაურის ძე-
ლებით არის სავსე, სანდუას შინ მიუტანენ.
იმართება „ჭირის წყენა“.

ზვიადაურს დაიტვირთებენ, „სულის ცხ-
ენს“ შეუკაზმევენ, დოღს გამართავენ და
მერე სულის ცხენს ზვიადაურის დედიძას,
ხორგაის მინდის აჩუქებენ, რომ იმან იარ-
ოს ამ ცხენით.

მზიას ძმას, ჩუას ხმლით დაუხვდება
მინდი, ცოლად უნდა გამატანო შენი დაო.

მუცალი ხედავს სიზმარს, რომ ჯოყო-
ლა საფლავიდან ამოდის კლდის თავზე,
დაუძახებს ზვიადაურს, მერე მათთან მი-
დის ალაზაც და ლხინობენ.

ამ სიზმარს მუცალი უყვება თავის ძმას,
ცოტეშს. ცოტეში ეუბნება, სიზმარს რა
ჭკუა აქვს, ნამოდი, იარდაზე, ყველა იქ
ვიკრიბებით, ლაშქრობა უნდა დავგვემოთ
შატილიში, იმათი ჯავრი უნდა ვიყაროთო.

ხორგაის მინდის ყვავილები და მცენა-
რები ელაპარაკებიან.

ხორგაის მინდი ყანას მკის და თავთავე-
ბი ეხვეწებიან — არა, მე მომჭერი, — არა
მეო.

ხორგაის მინდი ცულობთ მივა ხის მო-
საჭრელად, ხე ეხვეწება, არ მომკლაო.

ხორგაის მინდი ყველას ასწავლის, რომ
ხე არ მოსჭრათ, ისიც ცოცხალიაო.

ჩუა ეჭვობს, რა ცოდნა აქვს მინდიას
ამისთანაო.

მინდია ეუბნება — აგერ იმ ჩიტებს
ყურს ვუგდებ, ერთი მეორეს უამბობს
შვილების სიკვდილის ამბავსო. მართლაც,
ხევსურები ხედავენ, რომ ერთი ჩიტი მკვ-
დარი ვარდება სიბიდან.

ხევსურები არ უჯერებენ ხორგაის მინ-
დის — ბალახსაც თიბენ, ხესაც ჭრიან.

მინდია და მზია კამათობენ. ცოლმა
მოსთხოვა ოჯახის მოვლა. მინდიას სარ-
ჩოს მოტანა არ შეუძლია, რადგან იცის,
რომ ხის მოჭრით ან ჯიხვის მოკვლით
დაკარგავს ბუნების ენის გაგების ნიჭს.

მაინც მივა და ხის მუდარის მიუხედა-
ვად, მოჭრის.

ბერდია საფიხვნოზე შეყრის კაცებს.
დიდი ლაშქარი მოდის ქისტებისაო. გაიმ-
ართება მზადება. საქონელს კომპებსში
ერეკებიან და ხალხიც კომპებსში შედის.

ხორგაის მინდი სამხვერპლო კურატს
მიიყვანს ხატის კარზე. ბერდია დაუკლავს
და დალოცავს. თან ეკითხება, მეათეს რა-
ტომ ჰკლავ წელსაო? გაიგებთ, რაც მჭირ-
სო — მიუგებს ხორგაის მინდი.

კომპეში ქალები სხედან და ლაპარა-
კობენ, ხევსურნი გაიმარჯვებენ თუ ქისტე-
ბი. მზია შეშინებულია. ქალებს უხსნის, მინ-
დია ცუდ სიზმრებს სინჯავდაო. დიდი
საუნჯე დავკარგეო. თმა-წვერი სულ
გაუჭაღარავდაო.

მერე მზია ჰყვება თავის ნანახ ავ სიზ-
მარს: ციხე დაუნგრია ზვავმა, წყალში ჩა-
ყარა ყველანი. ამოვან წყლიდან და შავ-შავი
კაცები უკანვე ჩააგდებდნენ, წყალს გაჰყე-
ვო. წყალმა ნამილო შვილებიანადო. თან
მინდია მეხვეწებოდა, მაპატიე, რაც
გავაბრაზეო.

ხორგაის მინდის ხევსურები რჩევას
ეკითხებიან, — ვაკეზე დავუხვდეთ ქისტებს
თუ სერზე მივეგებოთო?

ხორგაის მინდი ეუბნება, რომ მე რჩე-
ვის მომცემად აღარ ვივარგებ, მარტო
საომრად თულა გამოვდგებიო.

მაინც ძალით ათქმევიანებენ, რომ
მონამლულ ხეში დაუხვდნენ ქისტებს.

ინყება ომი ქისტებსა და ხევსურებს
შორის.

ხევის წყალი წითლად მოდის.

ალუდა ქეთელაურს და კიდევ რამდენ-
იმე ხევსურს ხელფეხშეკრული ხორგაის
მინდი გამოჰყავთ და ვაკეზე დააგდებენ —
თავს რად იკლავ, ძალად რად ინვე მტრის
ჯარშიო? ჩვენ გვაცალე, იქნებ რამე მოვახ-
ერხოთო, — და ისევ საომრად გარბიან.

ტყვე წვალობს, ცდილობს ხელები გაიხ-
სნას.

დაუნდობელი ბრძოლა გრძელდება.

ხევის წყალი უფრო წითლად მოდის.

ხორგაის მინდი, როგორც იქნება საღ-
ამოსკენ გაიხსნის ხელებს, ნამოდგება.
დაინახავს, რომ შატილს ცეცხლი უკიდია.

ხორგაის მინდი ხმაღს ამოიღებს,
წვერს გულზე მიიბჯენს და ორივე ხელით
დაანყება.

ქისტები მიერეკებიან ცხვარ-ძროხას

და მიდიან.

სამალავებიდან და კომპებიდან გამო-
დიან ხევსურები. მდინარიდან სოფლამდე
გამსკრივდებიან, ერთმანეთს სათლებით
წყალს აწვდიან და ცეცხლს აქრობენ.

ყველა თავის მკვდარს მარხავს.

ხორგაის მინდის დაიტვირთებენ, „სულის
ცხენს“ შეუკაზმევენ, დოღში არბოლებენ,
სანიშნის დათოფავენ, მიცვალებულს დამ-
არხავენ და „სულის ცხენს“ ალუდა ქეთე-
ლაურს არგუნებენ.

ჯარეგოელი ქისტები ხევსურეთიდან
მორეკილ საქონელს აბინავებენ. ცოტეში
დარდობს, რომ იმ რჯულზალღი ზვიადაუ-
რის ლურჯა ნადავლში არ მოხვდა. მუცა-
ლი ეუბნება, შატილის ქალაში ვნახე ის
ლურჯა, მწყემსებს მიჰყავდათო.

ჰოდა, დავეცეთ მწყემსებსო.

მწყემსებს დავეცემიან ცოტეში და მუ-
ცალი, დახოცავენ და ცხენებს წაასხამენ.
ერთი მწყემსი მივარდება შატილიში.

ქისტებმა ცხენები წაასხესო.

ალუდა — ხორგაის მინდის სულის ცხენ-
იც?

მწყემსი — ისიც!

ალუდა დაედევნება ქისტებს — გუმანი
აქვს, რომ არხოტის თავზე გადაივლიან.
გააჭენებს ნათხოვარ ცხენს და ერთ კლ-
დეზე ჩაუთავრდება ქისტებს.

მოდინ მუცალი და ცოტეში, ცხენებზე
სხედან.

ალუდა თოფს დაუმიზნებს, გაისვრის
და ცოტეში გადმოვარდება ხორგაის მინ-
დის სულის ცხენიდან.

მუცალი თავისი ცხენიდან ჩამოხტება,
ლოღს ამოეფარება და თოფს მოიმარ-
ჯვებს.

სამ-სამჯერ, რიგრიგობით ესვრიან
ერთმანეთს მუცალი და ალუდა. ბოლოს
ალუდა აჯობებს და მოკლავს.

ალუდა მიდის მოკლულებთან, ჯერ
ცოტეშს მოსჭრის მარჯვენას, მის ხმაღ-
ხანჯალს აიღებს, თოფსაც ცხენზე
დააკრავს.

მერე მუცალთან მივა, ხანჯალს მოიმა-
რჯვებს, მაგრამ ჩერდება. დაფიქრებული
დგას. მერე ნაზადს გადაახურავს, ზედ
თოფს დაადებს, ცხენებს გამოირეკავს და
უკან ბრუნდება.

ალუდა ქეთელაური თავის კომპზე
აჭედებს ცოტეშის მარჯვენას.

გამოვლენ მეზობლები, ეკითხებიან
ბრძოლის ამბავს.

ალუდა — იმ ცხოვებულსა მუცალსა
რკინა სდებიყო გულადა.

ძალღიკა — რას ამბობ, ქისტის ცხონე-
ბა არც რჯულად დაწერილ ას და არცა
ანდრეზად თქმულა ხევსურეთს.

ბერდია — (მოღუშული) თუ მარჯვენას
არ მასჭრიდი, უკან რაღად მისდევდიო!

ჩუა ამბობს, ადვილად აუფს ნუ ამბობთ,
წავალ და ვნახავ, როგორ იყოო.

ღამეა. ალუდას საჭმელს სთავაზობენ
დედა და ცოლი. ალუდას ეჩვენება, რომ

კაცის წვენ-ხორცი, წვერ-ულვაშით
შენელებული და უარობს. არ მინდა ჭამა,
ცუდი სიზმარი ვნახეო.

მეორე დიღას ჩუა ბრუნდება უკან,
მოაქვს მუცალის მარჯვენა.

ალუდა — მკლავის მოჭრა რომ მდომო-
და, განა ვერ მავსჭრიდი თავადა?! წაიღე,
მოუნათლავი გმირის მარჯვენა არის!

ჩუა ხევეში მოისვრის მუცალის მარჯვე-
ნას.

ხატობაა. ბერდია საკლავს ამწყალობ-
ნებს.

მოდის ალუდა, მოჰყავს კურატი.

ბერდია — ვისა სწირავ?
ალუდა — მუცალსა!
ბერდია იუარებს.

ალუდა გაბრაზდება, ფრანგულს
გაიძრობს და თავად დაკლავს მოზვერს.

ამ დროს ბალღებს მოაქვთ მკლავის ძე-
ლები. ჩალხია ამბობს, ისარი ვესროლე
ყორანს და იმას გავაგდებინე ეგ მკლავიო.

მკლავს მიუგდებენ ძალღს და ისიც კი
არ შეჭამს — ძალღი ძალღის ხორცს არ
მიეკარებაო, — ამბობენ ხევსურები.

ალუდას მიუვარდება გაბრაზებული
ხევსურები, დაუნგრევენ სახლს და თემი-
დან მოიკვეთენ — ძალღს ესვრიან,
მოკლავენ და ისე მოიკვეთენ.

ზამთარია.

ალუდა, ბერდია (ალუდას დედა) და
ლეღა (ალუდას ცოლი) მიდიან თოვლში.

წინ „სულის ცხენი“ მიუძღვით.

ბერდია სწყველის თემს იმიტომ, რომ
მოიკვეთეს.

ჯვარს არ აწყინოთ, ნუ სწყველითო, —
ალუდა ეუბნება.

მიდიან შატილიდან მოკვეთილები და
წინ ხვდებიან: ჯოყოლა, ალაზა, ზვიადაუ-
რი, მინდია, მუცალი...

ალუდა ხვდება, რომ ეს ლანდები
ეჩვენება.

წინ მინდიას ბალღი უდგას — აბიკა.

ალუდა — რაი მოხდ, აბიკავ?
აბიკა — ეგ სულის ცხენ მე დამიტოვ,
შენ სახსოვრადაც ვარბოლბე...

ალუდა დაფიქრდება.

აბიკა — ჰა, ძიავ, ხვარ გენანებისა?
ალუდა — ანდრეზად არ დაწერილა
მთელ ხევსურეთს, რო სულის ცხენი ცოცხ-
ალ კაცზე არბოლო, ბალღო!

აბიკა — ეს სულის ცხენ, მარტო შენ ხო
არ არისავ? ზვიადაურის სულის ცხენ იყვ,
ჯოყოლას სულის ცხენ იყვ, ალაზაისიც
იყვ, მემრ ხოგაის მინდის და ეხლ შენიც
იქნებისა და ისრ ვარბოლბავ!

ალუდა შეფიქრიანებულია.

ალუდა — რაიღაცას მიედ-მაედებოვ,
ბალღო!

აბიკა — იმათიც ას ეს სულის ცხენი,
ალუდავ, სამივესივ ას...

აბიკა ცხენის ლაგამს გამოართმევს,
სულის ცხენს ცოტა გაატარებს, მერე ზედ
შეჯდება და შატილისკენ მიაჭენებს...



კოედი

დოდო ჭუმბურიძე

„სამხრეთის ზეცა მიხმობს კრიალა, და მიქნევს ქარში ულურჯეს მანდილს, მზე ჩადის, მაგრამ ზღვაში კი არა, ჩემს ათრთოლებულ სხეულში ჩადის“ — ეს სიყმაწვილეში დაწერილი სტრიქონებია. ძალიან ბევრს წერდა და წლების განმავლობაში თავის პოეტურ ნააზრევს გვაცნობდა კრებულებიდან — „გაზაფხული“, „გადაიხედე ჩემი გულიდან“, „სიცოცხლე მეტი“, „მრავალძარღვას ფოთოლი მღერის“, „სანთლები-ის ხეივანი“, „ავტოპორტრეტი მარტის ტირიფთან“, „შემოდგომის ფერები“... ამ წიგნებში ბუნება და ადამიანი ერთი მთლიანობაა, რელიგიური სურათ-ხატები თანამედროვე მკითხველისთვის ცოცხლდება, ისტორიული თემები მდიდარია საგულისხმო ქვეტექსტებით.

ამბობს, ძველბურთი ინტენსივობით აღარ ვმუშაობ. თუმცა, ვფიქრობ, მისი შემოქმედებით პროცესი არასოდეს შენელებულა, უბრალოდ, პოეზიიდან სამეცნიერო ნარკვევებში გადაინაცვლებდა ხოლმე. სხვადასხვა დროს მისი კვლევის საგანი იყო „აჭარის საკითხი 1918-1921 წლებში და ქართული საზოგადოებრივი აზრი“, „განათლება 1918-1921 წლებში“, „ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა XX საუკუნის დასაწყისში“ და ბევრი ის თემა, რომელიც ქართველებისთვის განსაკუთრებით საინტერესო და მტკივნეულია. ნაშრომები აგებულია დოკუმენტებზე, ავტორს უხვად რომ მოუძიებია, ფაქტებს ანალიზი მოსდევს და ამავე დროს ემოციური მუხტითაა გაცოცხლებული.

თავის ემოციებსა და განწყობებზე, მწერლურ ბიოგრაფიაზე პოეტი, ისტორიკოსი და ლიტერატორი დოდო ჭუმბურიძე გვესაუბრება.

— თქვენი პირველი პოეტური კრებული გასული საუკუნის 70-იან წლებში გამოიცა. თუმცა ფიქრისა და შინაგანი განცდის გადმოსაცემად პოეზია ალბათ გაცილებით ადრე აირჩიეთ.

— პოეზიის სიყვარული ჩემში ღრმა ბავშვობიდან, დედის სიყვარულთან ერთად შემოდის და მკვიდრდებოდა. დედის უყვარდა პოეზია. ის საჩხერეში, აკაკის სამყაროში იყო გაზრდილი, მისი ლექსების დიდი ნაწილი ზეპირად იცოდა და საღამოობით, სხვა ლექსებთან და ამბებთან ერთად გვიყვებოდა. პირველად რვა წლის ასაკში დავწერე ლექსი გაზაფხულზე. ბავშვის თვალთ, პრიმიტიულად დანახული სილამაზე აღვწერე. დედამ წაიკითხა, როგორც ჩანს, რაღაც არ მოეწონა და ჩემი სიტყვები თავისებურად გამართა. მახსოვს, ის გასწორებული ტექსტი იმდენად მომეწონა, ჩემი უსუსურობის შემრცხვა, მაგრამ ამის შემდეგაც მომინდა ჩემი ყველა ემოცია ლექსით გამომეხატა, ოღონდ დედას აღარ ვაკითხებდი. უფრო მეტად ბუნებაზე, ისტორიულ ამბებზე, ნაკითხული წიგნების გმირებზე ვწერდი. სასაცილოა, ერთხელ პატრის ლუმუმბაზეც კი დავეწერე, გმირად წარმოვსახე. თუმცა, უფრო შორს აღარ წავსულვარ, იდეოლოგიის სამსხვერპლს ამ პოეტური ნაცოდვილარით დავემშვიდობე. მომდევნო ტექსტებში უკვე ჩემი თვალთ და ნახული და განცდილი სამყარო აისახებოდა. ძალიან ბევრს ვწერდი, განსაკუთრებით — ჩვიდმეტოცი წლისა. იმ დროს ლექსი ჩემი ცხოვრების ისეთი ნაწილი იყო, როგორც წყალი თუ ჰაერი. მერე ამ ექსპრესმა ნელ-ნელა იკლო. ალბათ, მართალიც არის, რომ პოეზია უფრო ახალგაზრდობის კუთვნილებაა, ვიდრე ასაკოვანთა. უმისობა დღესაც ვერ წარმომიდგენია, თუმცა ის ჩემთვის ყოველდღიურობის ნაწილი მაინც აღარ არის.

— ვინ არიან ის პოეტები, თქვენს შემოქმედებით ემოციას იმ წლებში რომ ასაზრდოებდნენ?

— ჩემი ავტორები გალაკტიონი, ტიცინი, პაოლო, ტერენტი იყვნენ. მიყვარდა გიორგი ლეონიძე და ლადო ასათიანი. მაგრამ განსაკუთრებით იმ ოთხი პოეტით ვიყავი გატაცებული. ტიცინი და პაოლო ჩემს სტუდენტობაში ისეთ ავტორებად ითვლებოდნენ, რომ მათი პოეზიისადმი

მიძღვნილი საღამოების გამო, დიდი საყვედურიც კი მივიღეთ რექტორატისგან.

რაც შეეხება ტერენტის ლექსებს, ის ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა და



ფარულად მოვიპოვებდი. კომუნისტურმა შესასვლელად გამზადებული სოციალისტური ქვეყნის ახალგაზრდას პესიმოზმი და კაემანი არ უნდა მოსწონებოდა, მითუმეტეს, აღფრთოვანების საგნად არ უნდა ექცია. ეს არაჯანსაღ გამოვლენად ითვლებოდა და სხვადასხვა ფორმით ისჯებოდა კიდევ. პირველი წიგნი იმ დროს გამოვეცი, როცა აუცილებელი იყო იდეური კლიშეებისთვის გაგენია ანგარიში და წიგნისთვის პარტიულ-კომკავშირული ლექსი წაგემძღვარებინა. მე ასეთი არაფერი მქონია და, საბედნიეროდ, არც არავის მოუთხოვია.

საყვარელი ავტორების სია შემდეგში განივრცო და გასცილდა ქართულ ლიტერატურულ გარემოს. ახლა იმ სიაში შესული ავტორების ჩამოთვლა არც ღირს. როცა ნამდვილს დააგემოვნებ, ვეღარ ჩერდები, იმ სულიერ ნეტარებას მუდმივად ეძებ. ისე კი, ზოგადად, ქართული პოეზია მართლაც შეუდარებელი მგონია.

— „გაზაფხული“ — ასე ერქვა თქვენს პირველ წიგნს. მას შემდეგ არაერთი კრებული გამოეცა. ამბობთ, პოეზია ჩემი ყოველდღიურობის ნაწილი აღარ არისო, მაგრამ მაინც მრჩება შთაბეჭდილება, რომ კვლავინდებურად აქტიურად

მუშაობთ.

— ყოველთვის ჩემთვის ვწერდი. ახლაც ასეა, რადგან, რასაც ლექსად ვაქცევ, ჩემი საკუთარი ემოციაა, გარესამყაროსთან ჩემი დამოკიდებულების ასახვაა. ლექსის წერისას ორნი ვართ, მე და ჩემი ორეული, ერთ არსად ქცეული, და ის, ვისაც ვესაუბრები, ვისზეც ვწერ და ვისაც ან რასაც განვიცდი. მას, ვისაც მსგავსი განუცდია, მოსწონს ეს ემოცია, სხვას, ალბათ — არა.

პოეზია, თავისთავად, აზროვნებისა და შემოქმედების ურთულესი ფორმაა. რუსთაველის მიერ „სიბრძნის დარგად“ გამოცხადებული, ის ფილოსოფიურ აზროვნებას მართლაც მრიცავს. ამასთან, დიდ ემოციურ მუხტს, „ნათლად თქმისა“ და სისადავის აუცილებლობას ატარებს. ამ ყველაფრის სინთეზისთვის, ნიჭთან ერთად, საჭიროა სხვა რაღაც, რაც ერთ პოეტს მეორისგან გამოარჩევს. ლექსში ვირტუალური და რეალური ისე უნდა იყოს ერთმანეთში გადასული, რომ მკითხველმა ისინი ვერ გამოყოს, მათი ერთ სიბრტყეში აღქმა შეძლოს.

ჩემი აზრით, პოეზია ვერ იტანს გამიზნულად აღებულ თემებს, ანდა გამომწვევად დალაგებულ აზრებს, ფილოსოფიურ

ყოველთვის ჩემთვის ვწერდი

სენტენციებს რომ შეიცავენ. სამწუხაროდ, დღეს შესამჩნევი ინტერესია ზედაპირულ, თუ გნებავთ გამომწვევი თემების, „სალალობოდ, სათრეველად“ დანერგილი პოეტური ტექსტების მიმართ. ზოგჯერ ეს იაფფასიანი ტექსტი უფრო იტაცებს ადამიანებს, ვიდრე ის, რაც ღრმა და ემოციური მუხტის გასაჩენად აზროვნების დაძაბვას ითხოვს. მხატვრული სიტყვის მიმართ ამგვარი დამოკიდებულება ალბათ წიგნის კითხვის კულტურის უკუსვლისა, თუ პრაგმატული, ცხოვრებისეული ტენდენციების წინამორწინების პრობლემებს უკავშირდება. რა მიზნითაც უნდა იყოს ლექსი შექმნილი, ესთეტიკური სიამოვნების მომხრებისა თუ, უბრალოდ, გართობის მიზნით, თუ ის კარგადაა დაწერილი, მაინც იძლევა ეფექტს. ლექსი გაცილებით ძლიერად მოქმედებს ჩვენზე, ვიდრე ერთი ნაკითხვისა და პირველი შთაბეჭდილების შემდეგ ჩანს: ის ცვლის რაღაცას და წარმოქმნის ახალს ჩვენს სულში.

მოგესხებებათ, ისტორიკოსი ვარ, პროფესიით ვმუშაობ და გარკვეული სამეცნიერო-კვლევითი ინტერესები გამაჩნია. ამიტომ ბევრი დრო აღარ მრჩება პოეზიისთვის. მიუხედავად ამისა, რასაც უნდა ვაკეთებდე, მიღმიერ ცნობიერებაში მოვ-

ლენების პოეტური აღქმა არ მცილებდა, თითქოს დროს ველოდები, როცა შევძლებ ფურცელზე ემოციის გადატანას. ვახერხებ კიდევ, ოღონდ არც ისე ხშირად. ჩემი ბოლო წიგნი 2005 წელს გამოვიდა. ბოლო ორი წლის მანძილზე „ლიტერატურულ გაზეთში“ გამოქვეყნებული ლექსები ავარჩიე და კრებულში მოვამზადე — „წვიმა მოთიბულ მდელოზე“.

— ბუნების განცდა ძალიან ინტენსიურია თქვენს ადრინდელ ლექსებში, შენარჩუნებულია ადამიანისა და სამყაროს პირველადი ერთობა, რომელიც ტექნოლოგიურმა საუკუნეებმა დაარღვია.

— ბუნება ადამიანის ნაწილია და მასთან სიახლოვე ზოგჯერ იმაზე მეტია, ვიდრე ადამიანებთან ურთიერთობა. ბუნების ინტენსიური განცდა ჩემთვის ჩვეულებრივი ამიტომაცაა. თემები და მოტივები, როგორც უკვე ვთქვი, თვითმიზნური ვერ იქნება, ის თავისთავად მოდის იმ ემოციასთან ერთად, რაც ამა თუ იმ დროს, სხვადასხვა დროს მოვლენისა და მდგომარეობის შესაბამისად, სპონტანურად იბადება.

— წერს ლექსებს, იკვლევს ისტორიულ საკითხებს. პროზაში მუშაობა არასოდეს გიცდიათ?

— დღეს ხშირია პროზაიკოსების გადასვლა პოეზიაში და პირიქით. თუმცა სიტყვა „დღეს“ გადაჭარბებულია, რადგან მეცხრამეტე საუკუნიდან ასე მოდის. მწერალი რამდენიმე ფანრში ცდის ბედს და თუ ის ნიჭიერია, ცდა წარმატებით სრულდება. მწერლობაში დაოსტატებულებს აქვთ შემოქმედებითი სინთეზის უნარი, მათ შეუძლიათ თავიანთი ემოციები, ინტელექტი ისე მიმართონ, რომ ერთნაირად საინტერესო იყოს მათი ლექსი, რომანი, ლიტერატურული ესეე თუ პიესა. ამის კლასიკურ მაგალითად ოთარ ჭილაძე გამოდგება. ის წარმატებულია ლიტერატურის ყველა ფანრში. მისი რეაქცია ლიტერატურულ თუ ისტორიულ მასალაზე იმდენად ემოციური და ინტელექტუალურია, რომ საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე, თუნდაც ეს თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების ამსახველი წერილი იყოს.




თუმცა გადასვლა ერთი ფანრიდან მეორეში ყოველთვის როდია წარმატებული. ზოგჯერ ახალი ამპლუა იმდენად უსუსურად წარმოაჩენს ავტორის ინტელექტუალურ და შემოქმედებით შესაძლებლობებს, რომ გული გიცრუვდება მის მიმართ.

ჩემთვის პროზაში გადასვლის მაპროვოცირებელია საისტორიო წყაროებში ნაპოვნი ის უამრავი მასალა, რაც წინა საუკუნეების ქართულ საზოგადოებას, მის მისწრაფებებს, ცხოვრების სტილს, მტერთან თუ მოყვარულთან დამოკიდებულებას გვაცნობს, მის იდეალებს წარმოაჩენს. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით გამორჩეული და საინტერესოა მეცხრამეტე საუკუნე. ეს კი წარსულის არა მარტო დოკუმენტური, არამედ მხატვრული რეკონსტრუქციის ცდის კენ მიზიდულებს.

— არაერთი ისტორიული ნაშრომის ავტორი ბრძანდებით. ისტორია ერთ-ერთი მთავარი თემა თქვენს პოეზიაშიც.

— ერთი ასეთი ლექსი მაქვს: „ელენე ორბელიანის წერილი. XIX საუკუნე“. ქალი მიმართავს რუსეთის არმიის ქართველ გენერალს, რომელიც კავკასიის მთებში თავგანწირვით იბრძვის, უყვება მას თბილისური სალონების ჭორებს. სთხოვს, გაუფრთხილდეს თავის სიცოცხლეს, მაგრამ იქვე უტყდება, რომ მის თვალში გმირად მაინც შამილი რჩება. ლექსში ისტორიული ქვეტექსტი ჩავდე. ამავე დროს, მკითხველს გავახსენე ორი ქალბატონი — ორი ელენე ორბელიანი, რომლებიც რუსი მეფისნაცვლების სასიყვარულო თავგადასავლებად იქცნენ. ისინი XIX საუკუნის ქართულ არისტოკრატობას წარმოადგენდნენ. ერთი ერეკლე მეორის შვილთაშვილი, დიმიტრი ორბელიანის ქალიშვილი იყო, მეორე კი — ასული ლუარსაბ ორბელიანისა, რომლის სახლშიც 1832 წლის შეთქმულების მთავარი ნაწილი — რუსი სამხედროების ამოწყვეტა და აჯანყების დაწყება დაიგეგმა. მომავალი დამოუკიდებელი საქართველოსთვის, ასე რომ ნატრობდნენ შეთქმულების მონაწილენი, ეროვნული დროშა ელენემ მანანა ორბე-

დასასრული მე-10 გვერდზე



აოთხი

ლელა ცუციურიძე

„ლელა ცუციურიძე ნამდვილი ესთეტი, მოაზროვნე პოეტი, ტრადიციებისადმი ერთგული და სიბნელის განცდით სავსე... ისეთი შემოქმედია, რომელსაც ხელნაწი ნეროს არა მხოლოდ ლექსი და არა მხოლოდ ლირიკა... იგი ავტორია საბავშვო ნაწარმოებებისა, წერს მოთხრობებს და ყოველნაირ იმედს აჩენს, რომ არ არის შემთხვევითი მგზავრი იმ დიდებულ სამეფოში, ლიტერატურა რომ ჰქვია სახელად...“ — ეს ერთი პოეტის სიტყვებია მეორე პოეტზე. ასე აფასებს მარიამ ნიკლაური ლელას მწერლობას. ყველაზე მეტად „შემთხვევითი მგზავრი“ მენიშნა. დღეს, როდესაც მხატვრული სიტყვის სამყარო სავსეა შემთხვევითი გამვლელებით, ძნელია, იპოვო შემოქმედები, ვისთვისაც ლიტერატურა ჭეშმარიტი ნავსაყუდელია.

თავად ამბობია არ აქვს. წერს საკუთარი სიამოვნებისთვის და თუ ვინმეს მისი ნათქვამი სიტყვა გულს შეუტოვებს, ბედნიერი იქნება. ორი წიგნის ავტორია: პოეტური კრებული „ლილოჭრელი“ უფროსებისთვისაა განკუთვნილი, „გულდნაღარას და გულდუ-გულდუს თავგადასავალი“ — პატარა მკითხველისთვის. დიდებისთვისაც და პატარებისთვისაც ერთნაირი ვატყობთ წერს, იმ განსხვავებით, რომ როცა რაღაც აწუხებს, პოეზიას მიმართავს, კარგ ხასიათზე კი საბავშვო ტექსტებს ქმნის. საკუთარი შემოქმედებით გზის დასაწყისს ღიმილით იგონებს...

— პატარაობისას ვწერდი. როგორც ჩემი თაობის ბევრი თბილისელი, მაშინდელ პიონერთა სასახლეში ნორჩ შემოქმედთა წრეზე დავდიოდი ფაცია პაიჭაძესთან. ეს იყო საოცარი ქალბატონი, სიტბოსა და სიკეთის განსახიერება, რომელმაც არაერთი ნიჭიერი ადამიანი აღზარდა. სასახლემ ძალიან ბევრი რამ მომცა. მთელი ჩემი ბავშვობა იქაურ შემოქმედებით გარემოს უკავშირდება, თუმცა სკოლის დამთავრებისთან ერთად ეს ყველაფერი შეწყდა.

ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაბარების შემდეგ წერას ჩამოვშორდი. უნივერსიტეტი ფოლკლორის განხრით დავამთავრე, მაგრამ მოგვიანებით ეს ძაფიც განწყდა. ძალიან დიდხანს კალამი ხელში არ ამიღია. ამ საქმიანობას 6-7 წლის წინ დავუბრუნდი, როდესაც ჩემი შვილისთვის დავიწყე ლექსებისა და სასაცილო ამბების შეთხზვა. შემდეგ ყველაფერი ბუნებრივად გაგრძელდა. როგორც ჩანს, წერის სურვილი ქვეცნობიერად მაინც მქონდა და როგორც კი პატარა ნაპერწკალი გაჩნდა, თავისით განახლდა. ძირითადად ლექსებს და საბავშვო ლიტერატურას ვეჭიდები. მიგადაშიგ მოთხრობებსაც — გააჩნია რა ხასიათზე ვარ.


— მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წელია წერს, ლექსების პირველი კრებული მაშინ გამოვიტო.

— ამ კრებულს უცნაური ისტორია აქვს. მის გამოცემას ნამდვილად არ ვაპირებდი. მოხდა ისე, რომ ცოტა ხნით ადრე ჩემი მეუღლე — ნუკრი ფირცხალავა გარდაიცვალა. მძიმე პერიოდი გამოვიარე. გადაამარჩინა იმან, რომ ინტენსიურად დავიწყე წერა.

ნუკრი მხატვარი იყო. ძალიან საინტერესო ესკიზები და ჩანახატები დარჩა. მათი ყურებისას ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ჩემი ლექსებისთვის იყო განკუთვნილი, არადა, სრულიად დამოუკიდებლად შეიქმნა. როგორც ჩანს, ადამიანებს შორის სულიერი კავშირი არსებობს. სულ ვფიქრობდი, თუ ოდესმე რამეს გავაკეთებდი, ნუკრის ნახატებით გავაფორმებდი. ნუკრისაც ძალიან უნდოდა, წიგნი გამომეცა, თუმცა ფინანსები არ გვიწყობდა ხელს. სწორედ იმ პერიოდში გამოჩნდა ქართველი ემიგრანტი, რომელმაც ჩემი ლექსები ინტერნეტში ნახა და კრებულის გამოცემა შემომთავაზა. მაშინ დავრწმუნდი, რომ შემთხვევით არაფერი ხდება. ნუკრი ივნისში გარდაიცვალა, ნოემბერში უკვე წიგნი გამოვიდა. „ლილოჭრელი“ მისი წიგნია, მის

უკვდავსაყოფად გაკეთებული, თუმცა ერთი „ნაკლი“ აქვს — ნაჩქარევად მომზადდა. მეტი დრო რომ მქონოდა, უფრო მშვიდად ვიმუშავებდი და ბევრ რამესაც შევცვლიდი.

— მხატვრულ მხარეს გულიხმობთ? — რა თქმა უნდა. ზოგ ლექსს ჩავასწორებდი, ზოგს — სულ არ შევიტანდი.



საერთოდ, საკუთარ ნაწერს იშვიათად ვკითხულობ. კარგა ხანს ვეღარ ვუბრუნებდი, მაგრამ თუ წავიკითხე და ვიგრძენი, რომ შესაცვლელია, აუცილებლად ვცვლი. ძირითადად ეს ფინალს ეხება. ხანდახან ვწერ და მაშინვე ინტერნეტში ვდებ, მაგრამ ვამბობ, რომ ხელის შევლება აუცილებლად სჭირდება. არის ლექსები, რომელსაც ვერც ვცვლი და ვერც ვერაფერს ვუხერხებ — ისე სწრაფად და ერთი ამოსუნთქვით იწერება, თავად მივიკვრის.

— უცნაურად ლამაზი სახელი აქვს კრებულს — „ლილოჭრელი“.

— ლილოჭრელი გაზაფხულზე აჭრელებულ მინდორს ნიშნავს. ძალიან მიყვარს ეს სიტყვა, თუმცა მკითხველის გამომხაურებით მივხვდი, რომ ბევრს არც-კი გაუგია. დღეს აღარაა აქტუალური. წიგნში შესულია ამავე სახელწოდების ლექსი, რომელიც ჩემს ბებოს ეძღვნება. ბებია ძალიან კარგად ქსოვდა ყაისნალით. თოვლით ნახევრადდაფარული მწვანე მინდორი სწორედ მისი მოქსოვილი თავსაფრის ასოციაციას მიჩენდა. ამაზეა ლექსიც, რომლის სახელი შემდეგ კრებულს დაერქვა. ესეც უცნაურად მოხდა: მხატვარმა

თინათინ ჭუმბურიძემ ჩემგან დამოუკიდებლად გააკეთა ყდა და მაჩუქა — ასეთი წარმოდგენია ლელას წიგნით. ტრადიციული ქართული ლურჯი სუფრის ფერი და ორნამენტები გამოიყენა. ძალიან ლამაზი გამოვიდა. სათაურიც თვითონ შეურჩია.

— ინტერნეტი ახსენეთ. რამდენადაც ვიცო, სალიტერატურო ინტერნეტ-სივრცეში აქტიურად ხართ ჩართული.

— ადრე უფრო ვიყავი, ახლა — ნაკლებად. მაინტერესებდა, როგორ მიიღებდა მკითხველი ჩემს ლექსებს, რომელთა ნაწილი წლების განმავლობაში უჯრამში იდო. მინდოდა, ვინმეს ეთქვა, რა იყო კარგი და რა — ცუდი. ურიგო გამომხაურება ნამდვილად არ ყოფილა. მოკლე დროში სხვადასხვა ლიტერატურული საიტის თავფურცლებზეც მოვხვდი. იყო დადებითი შეფასებაც და კრიტიკული წერილებიც, რაც შემოქმედებით ზრდაში ძალიან დამეხმარა. სხვათა შორის, დღეს ეს პროცესი შეჩერდა, თითქოს ინტერნეტი დაიკარგა, არადა, ინტერნეტ-სივრცე ავტორებისთვის ძალიან საჭირო და მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს.

— საინტერესოა, რა არის მიზეზი, რადგან ერთი პერიოდს ლიტერატურულ



პორტალებს ბექდური გამოცემების სერიოზულ კონკურენტადაც მოიაზრებდნენ. ინტერნეტ-საიტები ვაცილებით მეტ შესაძლებლობას აძლევდა მწერალს, მკითხველისთვის გაეცნო თავისი შემოქმედება, მით უმეტეს, დამწყებ ავტორებს და მათაც, ვინც ამა თუ იმ მიზეზით ბექდურ გამოცემებში ვერ ხვდებოდა.

— მიზეზებზე ვერაფერს გეტყვით. ფაქტია, რომ დღეს ლიტერატურული პორტალები ისეთი სიცოცხლისუნარიანი აღარ არის. „ფეისბუქზე“ ვდებ ტექსტებს, მაგრამ იქ კრიტიკულ აზრს ნაკლებად გამოთქვამენ. თუ მკითხველის შეფასება მაინტერესებს, მეგობრებს ვთხოვ დახმარებას. პროფესიონალ კრიტიკოსებს რაც შეეხება, ისინი დუმან. დღეს ჩვენთან კრიტიკა არ არის ისეთი აქტიური, როგორიც უნდა იყოს.

— ეს განსაკუთრებით თანამედროვე მწერლებთან მიმართებაშია თვალშისაცემი. თითო-ორი კრიტიკოსის გარდა, მიმდინარე პროცესებს თითქმის არავინ ეხება. არ ვიცი, რისი ბრალია — საკუთარი ყურადღების ღირსად არ მიიჩნევენ ამ ავტორთა შემოქმედებას თუ კიდევ სხვა მიზეზით.

— მე თუ მკითხავთ, ძალიან ბევრი საინტერესო ავტორი გვყავს პოეზიაშიც და პროზაშიც. მშვენიერი მასალაა ანალიზისთვის და თავისუფლად შეიძლება კარგი წერილების შექმნა. შესაძლოა, ის გარემოება აფერხებდეს, რომ მწერლების ნაწილი კრიტიკას მტკივნეულად იღებს, მაგრამ ამ ტალღაში ხვდება ის, ვისაც ობიექტური შეფასება სჭირდება და პროფესიონალის შენიშვნებს სიამოვნებით იღებს.

— რადგან ამ საკითხს შევხებით, პოეტ ნინო დარბაისელის მოსაზრებას შეგახსენებთ, რომელიც თქვენს ლექსებთან დაკავშირებით გამოთქვა. მისი თქმით, ფორმა, რომელიც ყველაზე უკეთ ერგება თქვენს შემოქმედებით ნატურას და ყველაზე კარგად გამოვლით, არის ბალადა. ეთანხმებით?

— რა გამომდის უკეთ, ვერ გეტყვით, თუმცა ამ სიტყვების ავტორს ბევრ რამეში ვეთანხმები. საინტერესო შენიშვნებს მაძლევს, რისთვისაც მისი მადლობელი ვარ. ცოტა ხნის წინ ლიტერატურული კონკურ-

სი „ლიტბუნიობა“ გაიმართა, რომლის ფორში იყო ნინო დარბაისელი. მან თავად შეესაფარა მონაწილეებს, გამოეთქვა საკუთარი მოსაზრება იქ წარმოდგენილ ლექსებზე. ეს შეფასებაც მაშინ დაინერა.

— იქნებ უფრო დანერგვით გვიამბოთ ამ კონკურსის შესახებ?

— „ლიტბუნიობას“ წელიწადში ორჯერ ატარებს ლიტერატურული პორტალი „ურაკპარაკი“ — შემოდგომისა და გაზაფხულის ბუნიობის პერიოდში. შემოდგომა პოეზიას ეთმობა, გაზაფხული — პროზას. უკვე მესამედ იმართება და ყოველთვის ჰყავს ძალიან საინტერესო ჟიური. თუნდაც იმის გამო, რომ ნამუშევრებს პროფესიონალები აფასებენ, სიამოვნებით მონაწილეობ. ამჯერად ჩემს ლექსს მეორე ადგილი ერგო, პირველი არ გათამაშებულა.

— ცოტა ხნის წინ კიდევ ერთ კონკურსში მიიღეთ მონაწილეობა. ეს არის პოეტ ქალთა კონკურსი „ხვარამზე“, სადაც თქვენს ლექსს ასევე მეორე ადგილი მიანიჭეს.

— ეს კონკურსი, რომელიც ცნობილი ფშაველი მელექსე ქალის, ხვარამზეს სახელს უკავშირდება, მეორე წელია სანათას, იგივე მარიამ ხუცურაულის იდეითა და ორგანიზებით იმართება. მონაწილეები თიანეთში, სოფელ არტანუში იკრიბებიან, სადაც გადმოცემით გათხოვილი იყო ხვარამზე. ორივეჯერ წარვადგინე ლექსები. წელს მეორე ადგილი მერგო, შარშან — პირველი, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს. საერთოდ, კონკურსების მიმართ ჩემი დამოკიდებულება მაქვს. მიუხედავად ამისა, ხშირად ვმონაწილეობ და ზოგიერთში ვიმარჯვებ კიდევ, მიმაჩნია, რომ ეს უფრო ილბალია და გამართლება, რასაც ბევრი ფაქტორი განაპირობებს.

— თუმცა მთლად ილბალსაც ვერ მივინდობთ. გამარჯვების საფუძველს ტექსტიც უნდა იძლეოდეს. მითუმეტეს, თუ ნაკლებად ცნობილ ავტორზეა ლაპარაკი.

— თუ კონკრეტულად ჩემზე ვსაუბრობთ, ყოველთვის ვამბობ, რომ არანაირი ამბიცია არ მაქვს. ვწერ, რადგან სხვაგვარად არ შემიძლია. თუ ამას ვინმე კითხულობს, ჩემთვის დიდი საჩუქარი და ბედნიერებაა, თუმცა, პირველ რიგში, მაინც საკუთარი სიამოვნებისთვის ვქმნი.

— ეს არ გამორიცხავს, რომ ამ პროცესში მკითხველიც მოიაზრებოდეს, რადგან ნებისმიერი ტექსტი, რომელსაც ავტორი აქვეყნებს, თავისთავად გულისხმობს მკითხველის არსებობას.

— რასაკვირველია, უბრალოდ ლაპარაკია იმაზე, რომ წერის დროს არ ვფიქრობ, ვინ წავკითხავს ამა თუ იმ ნამუშევარს, თორემ თუ მკითხველი ადეკვატურად აღიქვამს ჩემს შემოქმედებას, ამაზე დიდი ბედნიერება არაფერია.


— მაშინ ერთ კონკრეტულ ლექსზე ვილაპარაკოთ, რომელმაც გარკვეული ემოცია აღმოძრა. ეს არის „ბოცალი“. ძალიან მომწონს ჯუჯა ხეები, თუმცა ამ ოპუსის წაკითხვის შემდეგ პროტესტის გრძნობა გამიჩნდა ხელოვნურად დამახინჯებული მცენარეების მიმართ.

— ხეებზე ბევრს ვწერ, რადგან ეს პრობლემა მანუხებს. საერთოდ, ეკოლოგია ჩემი ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული ნერტილია. რაც შეეხება ამ ლექსს, მარტო ბონსაი არ მიგულისხმია, ეს არის პროტესტი გამოყვანილი მცენარეებისა და რასაკვირველია, ადამიანების მიმართ, როდესაც მავანნი ცდილობენ კონკრეტული პროფუნებისგან დამტანული არსებები შექმნან. ხელოვნური ჩარევა არასოდეს ამართლებს. ეს ყველაფერი ძალიან ცუდად მოქმედებს ადამიანზე, ყულფივით უჭერს და საბოლოოდ შეიძლება დაახრჩოს კიდევ. სწორედ ამაზეა ეს ლექსი.

— რადგან პროტესტი ახსენეთ, კიდევ ერთ ლექსს, „მოქალაქის“ შეგახსენებთ, რომელიც პირადად მე თქვენს სამოქალაქო პროტესტად აღვიქვი.

— გეთანხმებით. ეს იყო პროტესტი. სამწუხაროდ, რაღაცით ვგავარ მის გმირს, ჩუმად მყოფ მოქალაქეს, რომელსაც არ შეუძლია აქტიური პოზიციის დაფიქსირება. როგორც ჩანს, ამას ძალიან განვიცდი, რადგან მოგვიანებით კიდევ დავწერე ამ ტიპის ლექსები. საერთოდ, ტკივილს ყოველთვის ლექსში გამოვხატავ, როცა კარგ ხასიათზე ვარ — ბავშვებისთვის ვწერ. ზემოთ ვთქვი, რომ ძალიან მანუხებს

დასასრული მე-10 გვერდზე



დასასრული

ლიანთან ერთად შეკერა. საგულსხმოა, რომ ასეთი სულსკვეთებით აღზრდილ ქართველ მანდილოსნებს რუსი მეფის-ნაცვლები: მიხეილ ვორონცოვი და ალექსანდრე ბარიატინსკი შეუყვარდათ. ბარიატინსკისა და ელენე დიმიტრის ასულ ორბელიანის სასიყვარულო ურთიერთობა იმდროინდელ საქართველოში მითქმამოთქმის მიზეზად იქცა. უცოლო გენერალმა უარი თქვა სამხედრო კარიერაზე, ელენე ქმარს წაართვა და მასთან ერთად პოლონეთში გაიქცა. მართალია, ბარიატინსკის რუსეთში აღარ ჩაეხვედრებოდა, მაგრამ არც პოლონეთში დაჰკლებია ფუფუნებით ცხოვრება. ელენეს ბიძაშვილი, მარიამ ჯამბაკურ-ორბელიანი მათ ოჯახში სტუმრობას იგონებს. ბიძაც, დიმიტრი ორბელიანი, იქ დახვედრია. ამ ისტორიაში ქართველი ერის ტრაგედიის მიზეზები შეიძლება ამოვიკითხოთ. სამწუხაროდ, ბევრი ქართველი მამულშვილი ვიცით, კოლაბორაციონისტებად, კომფორმისტებად რომ იქცნენ და ფუფუნებით ცხოვრობდნენ იმ რუსი გენერლების გვერდით, ლამის მთელი კავკასია რომ ჰყავდათ დაჩოქებული. ეს ლექსი ამგვარი კომფორმის მიმართ შინაგანმა პროტესტმა დამანერინა.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების კვლევა თქვენს განსაკუთრებული ინტერესის საგანია.

ჩემი ისტორიული ნარკვევები იმ თემებს ეხება, რაც მუდმივად აღელვებს ქართველ კაცს, მისი განსჯის საგანი და მომავალზე ორიენტირების საფუძველია. XX საუკუნის გერმანელი ფილოსოფოსი პერმან ჰედკე ამბობს, რომ ისტორიული ცოდნის მოპოვების შემდეგ ადამიანი აზროვნებასა და მომავალზე ფიქრს იწყებს. ისტორია ბევრ რამეს გვასწავლის, თუმცა ჩვენ, სამწუხაროდ, არაფერს ვსწავლობთ მისგან. ამის მიუხედავად, ისტორია მაინც ტოვებს ჩვენში დანალექს, რომელიც პატრიოტიზმის, თავმოყვარეობის გამაღრმავებელი თუ გამღვივებელია და სირცხვილისა და სინანულის გრძნობას გვიჩენს. მხოლოდ განათლებულსა და მორალურად ჯანსაღ პიროვნებებს შეუძლიათ სწორი ხედვების ჩამოყალიბება იმ მოვლენებზე, რომელიც მათ სამშობლოსაც ეხება და კაცობრიობასაც. ძლიერი სოციალური კატასტროფების დროსაც კი ქართველობა არ გატყუბილა, ეროვნული პრობლემები არ დაეინწყინა.

ისტორიულ ნარკვევებში განსაკუთრებულ ყურადღებას არა მარტო იმ საფრთხეებს ვაქცევ, დიდი იმპერიებიდან, ან მე-


დოდო ჭუმბურიძე:

„ყოველთვის ჩემთვის ვნარდი“

ზოგელი პატარა სახელმწიფოებიდან რომ მომდინარეობს, არამედ — იმ სულიერ კატასტროფებზეც, ერისთვის უფრო საშიში რომ არის, ვიდრე გარეშე ფაქტორი. ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ საფრთხეების დიპლომატიური გზებით აცილებაზე, ქვეყანაში მშვიდობის გამყარებაზე, თუმცა რის ფასად, ნაკლებად გვანტერესებს. ადამიანები, რომლებიც სამშობლოს მთავარი იდეალის საპირისპირო ცხოვრების წესს ირჩევენ, ვერაფრით ასაზრდოებენ სულს და ბედნიერები ვერ ხდებიან. ყველა ისტორიული შემთხვევა ამას გვიდასტურებს. მსურს, ზნეობრივი პრინციპებისა და ფუნდამენტური ღირებულებების პრობლემა გამოვკვეთო, ამიტომაც ვწერ ალექსანდრე ბატონიშვილსა და ივანე ანდრონიკაშვილზე, გიორგი სააკაძესა და ქაქუცა ჩოლოყაშვილზე, იასე ფალავანდიშვილსა და გრიგოლ ლორქიფანიძეზე.

— რამდენად ვიცით, თქვენ ისტორიაში სასკოლო საკითხავი ნიგნის შეადგენთ.

— როცა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ამსახველი სასკოლო საკითხავი ნიგნის შექმნაზე კონკურსი გამოცხადდა, იმ სურვილით მივიღე მასში მონაწილეობა, რომ ახალგაზრდობისთვის ევროპული არჩევანის მართებულება და აუცილებლობა მიმეთითებინა, მათთვის ჩვენს ახალ და უახლეს ისტორიაზე, ჩვენს ყველაზე აქტიურ მეზობელზე სიმართლე შეთქვა. ნიგნი დოკუმენტურ მასალებზე ევაგეტო, და-ვურთეთ შესაბამისი წყაროები, რუკები,



აუდიო და ვიდეო მასალა. რეცენზენტებმა დადებითად შეაფასეს, მაგრამ შემდეგ ნიგნის გარშემო კამათი დაიწყო. ნუხდენე, რაც საქართველოს მტრები ჰყოლია, ყველაზე თითო ნიგნი დავენეროთო?! ფიქრობდნენ, რომ უმჯობესი იყო ასეთი ნიგნის ავტორები საზოგადოებისთვის ცნობილი ისტორიკოსები ყოფილიყვნენ. გამოითქვა მოსაზრებაც, ნიგნის შემდგენელი მეცნიერი კი არა, პოეტი, შემოქმედებითად მოაზროვნე ადამიანი იყოსო. გულში პასუხი ყველასთვის მქონდა.

დასაბუთებად გამზადებული ნიგნი შეაჩერეს. არ ვიცი, დადგება კი ოდესმე საქართველოში დრო ამგვარი ნიგნების გამოცემისა? სახელმძღვანელოს ვგულისხმობ, თორემ ამ თემაზე ბევრი კარგი ნაშრომია დაწერილი და გამოქვეყნებული.

— ისევ ლიტერატურას და ვებურუნდეთ. ვფიქრობ დროა, თქვენს ლიტერატურულ ნერილებზე გვიამბოთ.

— ლიტერატურულ ნერილებს იშვიათად ვწერ. მიმაჩნია, რომ პირადი შეხედულებებისა თუ განცდების წარმოჩენა, ამა თუ იმ ლიტერატურულ ტექსტზე, ადვილი პროცესი არ არის. ის უდიდეს ინტელექტუალურ ძალისხმევასთან ერთად, საკუთარ შემოქმედებით ხედვას, ლიტერატურული მასალის სიღრმეების წვდომის უნარს, გულწრფელობას მოითხოვს. ლიტერატურული ესსეს ავტორმა შეიძლება მარტივი გზა — ტექსტის პოპულარიზაცია — აირჩიოს, მაგრამ უფრო ძნელ მისიას შეე-




ჭიდება, თუკი ტექსტის იდეას ახალი იდეების შექმნის პროვოცირებისთვის გამოიყენებს. ასეთი ლიტერატურული ნერილები თავად იქცევიან მხატვრულ ტექსტებად. სიამოვნებით კითხულობ ასეთ ტექსტებს და ნამდვილ ლიტერატურასთან ზიარების ბედნიერებას განიცდი. განსაკუთრებულია, როდესაც საინტერესო მწერალი სხვის ტექსტზე წერს. მისეული შთაბეჭდილება შეიძლება იმდენად განსხვავებულად ემოციისგან, რომელიც იგივე ნაწარმოების წაკითხვისას მიიღე, რომ სრულიად ახალი სამყარო აღმოგაჩინოს. მაგალითად, ჩემთვის უფრო მიმზიდველია პოეტ ვახტანგ ჯავახიძის ლიტერატურული ნერილები, ვიდრე რომელიმე პროფესიონალი ლიტერატურათმცოდნის მსჯელობა გალაკტიონის ლექსის ვერსიფიკატორულ ღირსებასა თუ ემოციურ დატვირთვაზე. ასევე თამაზ ჭილაძის, ემზარ კვიციანიშვილის და სხვათა ლიტერატურული ნერილები.

ესეისტს, ყველაფერთან ერთად, „შორსმჭვრეტისა და წინმსწრების“ ნიჭი და ხედვა უნდა ჰქონდეს, ის რაღაც დროით მკითხველზე წინ უნდა იყოს, შინაგან შემოქმედებით მუხტს თავად უნდა ატარებდეს. ამას ყველა ვერ შეძლებს.

ლიტერატურულ პრესაში თითქმის ორი ათეული წერილი მაქვს გამოქვეყნებული. ჩანიშნული მაქვს ბევრი შთაბეჭდილება ეროვნული თუ უცხოური ლიტერატურის ტექსტებზე. ოდესმე, თუ საჭიროდ ჩავთვლი, მივუბრუნდები. თუ არადა, იმდენი კარგი ესსეისტია საქართველოში, ისინი ამ საქმეს თავს თავად გაართმევენ.

ესაუბრა თამარ ჟურული



ლელა ცუცქერიძე:

„ტკივილს ლექსში გამოვხატავ“

დასასრული

ეკოლოგიური საკითხები, ბუნებრივი კატაკლიზმები. ერთი პერიოდი ვფიქრობდი, მეგობრებთან ერთად გამეკეთებინა პოეტური მწვანე აქცია ამ ყველაფერთან დაკავშირებით, მაგრამ ისევ ჩემმა პასიურობამ შემაჩერა.

— თქვენი შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილია საბავშვო მწერლობა. მიუხედავად იმისა, რომ არაერთი საბავშვო ლექსისა თუ მოთხრობის ავტორი ხართ, ამ ყველაფერს ჯერჯერობით ნიგნის ფორმა არ მიუღია. ნიგნად მხოლოდ „გუდანდარას და გუდუ-გუდუს თავგადასავალი“ გამოვიდა, რომელიც გამოცემულ „დიოგენემ“ დაბეჭდა. როდის დაიწყო ეს ყველაფერი? გვულისხმობს დაინტერესებას საბავშვო ლიტერატურით.

— ბავშვებისთვის წერა რამდენიმე წლის წინ პატარ-პატარა ზღაპრებით დაიწყო. გარკვეული პერიოდის საბავშვო გაზეთშიც ვმუშაობდი. ვაკეთებდი სასაციო კომიქსებს, რომლებიც დიდი მონონებით სარგებლობდა. ამ მიმართულებით დღესაც ვაქტიურობ. ჩართული ვარ USAID-ის ერთ-ერთ საინტერესო პროექტში, რომელიც ბავშვებში ნიგნიერების დონის ამაღლებას ისახავს მიზნად. რამდენიმე მწერალი დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის შემეცნებით და მ-

ატვრულ ტექსტებს ვქმნით. მომდევნო ეტაპზე ისინი მცირე ზომის ნიგნებად გამოიცემა, სკოლებში შევა და დაეხმარება მოსწავლეებს, შეიყვარონ კითხვა.

— კიდევ თუ გაქვთ საბავშვო პროექტები?

— ვასილ გულეურთან ერთად გავაკეთე „ანბან-მატარებელი“ — პატარ-პატარა სახალისო ლექსები, რომლებიც, ვფიქრობ, ბავშვებს მოეწონებათ. ასევე ვმუშაობ „გუდანდარას და გუდუ-გუდუს თავგადასავლის“ მეორე ნაწილზე. ეს არის თოვლის კაცუნების ისტორია, რომელიც ჩემს შვილს დავუწერე. თავიდან კომიქსებად იყო ჩაფიქრებული, მაგრამ ნიგნად ქცევა ვარჩიე. შარშან გამოსცა „დიოგენემ“. გაფორმებულია თინა ჩხიკვიძელის არაჩვეულებრივი ილუსტრაციებით. ამ ადამიანმა ზუსტად დაიჭირა ჩემი კაცუნების ხასიათი, რომლებიც ძალიან სასაცილოდ იქცევიან — ხან ჩხუბობენ, ხან ბუზღუნებენ, ტრაბახებიც არიან, მაგრამ კეთილები. აქვე, ჩვენს ახლოს ტყეებში ცხოვრობენ და თავიანთ მეგობრებს, ლიზიკოს და ანდრიას გუდანდარეთში ინვევენ. ეს იქნება „გუდანდარეთის ამბები“, რომელიც ახლა იწერება. მარტივი ტექსტია, პატარებისთვის იოლად აღსაქმელი. ძალიან მინდოდა სანტა-კლავს ქართული „კონკურენტი“ ჰყოლიოდა. მართალია, ჩემი გმირები სანტას რეალურ კონკურენციას ვერ გაუწევენ, მაგრამ ხომ შეიძლება

ქართველ ბავშვებსაც ჰყავდეთ თავიანთი თოვლის კაცუნები?

— სამწუხაროდ, ზოგადად თანამედროვე ქართული საბავშვო ლიტერატურა ვერ უწევს კონკურენციას უცხოელ ავტორებს. აქ გაცილებით ცუდადაა საქმე, ვიდრე პოეზიაში, პროზაში ან თარგმანში. ამ უანრში არჩევანი ძალიან მწირია. ხომ არ ვფიქრობთ მიზეზებზე?

— ვერ გეტყვით. გარკვეულწილად ამას შეიძლება საგამომცემლო პოლიტიკაც განაპირობებდეს. გამომცემლებს თარგმნილი ნიგნები უფრო იაფი უჯდებათ, ვიდრე ქართველი მწერლების ორიგინალური ნაწარმოებები. შესაძლოა, ჩვენ ვერ ვაკმაყოფილებთ მათ გემოვნებას. კიდევ ერთი საკითხია — სასკოლო ნიგნებში თანამედროვე ავტორებს თითქმის ვერ შეხვდებით. ბავშვებმა მათი სახელები თითქმის არ იციან.

— შესაძლოა იმიტომ, რომ რეზონანსიზებისა და არჩილ სულაკაურის ტექსტები უფრო მაღალი მხატვრული ღირებულებისა და მავანი ამჯობინებს სკოლაში სწორედ მათი ნაწარმოებები ისწავლებოდა?

— არ ვიცი. ინანიშვილი მეც ძალიან მიყვარს და დღემდე სიამოვნებით ვუკითხავ ჩემს შვილს, თუმცა დღესაც არიან საინტერესო სახეები, რომელთაც მკითხველი ნაკლებად იცნობს. იგივე თუა თოფურია, თუა ლომაძე ან ნატო დავითაშვილი. ჩვენ რაც უნდა ვილაპარაკოთ, მთავარი შემფასებლები მაინც ბავშვები არიან, ვისთვისაც ეს ნიგნები იწერება. ჩემმა გოგონამ, რომელიც 11 წლისაა, ამ ზაფხულს ერთი ამოსუნთქვით წაიკითხა ასტრიდ

ლინდგრენის „ჩვენ სალტკროკელები ვართ.“ იმდენად გაიტაცა და ჩაერთო ამ ამბებში, რომ მათი ენით წერდა წერილებს, მათი ცხოვრებით ცხოვრობდა, ერთი სიტყვით, ყველანაირი ფანტაზია გაეხსნა. ვუყურებდი და მიხაროდა. საკუთარი ბავშვობა გამახსენდა, როდესაც სიამოვნებით ვკითხულობდი საინტერესო ნაწარმოებებს.

— სწორედ ამ ტიპის კონკურენციაზეა საუბარი. იმაზე, რომ დღეს ქართულ ენაზეც შეიქმნას ნიგნი, რომელსაც ბავშვი იძულების გარეშე, სიამოვნებით წაიკითხავს. სხვათა შორის, ასეთია ზაზა თვარაძის „მონტეპელსუ ანუ ელის საოცარი მოგზაურობა“, რომელიც, სამწუხაროდ, ბევრისთვის ჯერ კიდევ უცნობ ტექსტად რჩება. შესაძლოა იმის გამოც, რომ თავად ზაზა თვარაძე არ იყო საბავშვო ავტორი, თუმცა დანერა ძალიან კარგი სათავგადასავლო ნიგნი, რომელიც ერთი ამოსუნთქვით იკითხება.

— ბავშვები მართლაც ყველაზე კარგი შემფასებლები არიან. სწორედ ამიტომ ყურადღებით ვუსმენ ხოლმე ჩემი შვილის მოსაზრებებს, რომელიც ძალიან დამეხმარა „გუდანდარას და გუდუ-გუდუს თავგადასავალზე“ მუშაობისას. სხვათა შორის, ახლა ვწერ ზღაპრების კიდევ ერთ ნიგნს. ეს არის სასაცილო ამბები სამზარეულოს ნივთებზე. ლიზიმ მიჩრჩია მაცივარზე მისაკრავი ზღაპრების გაკეთება, რომელთაც ერთ ყუთში მოვათავსებ. იქიდან რომ ამოიღებს ბავშვი, ნახე, როგორ წაიკითხავსო და მეც სიამოვნებით დავეთანხმე. ვნახოთ, რა გამოვა.

ესაუბრა ნანა კობაიძე

გათენებისას მივატოვე სიზმრები,
რომელშიც შენ იყავი...
სიზმრებში გითხარი: მეყოფა სიზმრები!
პირის ნაბან წყალს გადავყავოლე ჩემი ეჭვები —
იქნებ არ ღირდა...
სარკეში იმას... ჩემს მეორეს ვუთხარი:
მე გაენწყვიტე შიშის ყულფი,
შენ თუ გინდა, დარჩი სარკეში,
მე წავედი...
ვერაფერმა შემაჩერა:
ვერც შავმა კატამ გზაზე,
ვერც ამინდის პროგნოზმა, რომ დღეს ქალაქში
მოსალოდნელია ისეთი სიცხე,
თუ გარეთ გახვალთ,
თქვენ მაგივრად დარჩება ჩრდილი...
მოვატყუე ყველა, ვინც გზაზე შემხვდა...
მოვატყუე ყველა,
საკუთარი თავის გარდა...
როგორც იქნა, მოვედი შენამდე
და გეკითხები:
გუშინ აქედან რომ გავედი,
შენ გვერდით თავი დავკარგე
და ხომ არ გიპოვია...?

არაფერსაც არ გადავდებ —
მე ვიქნები ასეთი:
მოულოდნელი და უეცარი —
გაზაფხულის წვიმასავით...
არ გადავდებ შენთვის სათქმელ
არცერთ სიტყვას,
არ დავაჭკნობ, არ გავახმობ, არ დავამწიფებ...
გუშინდელ სათქმელს
ხვალ ისე ვერასდროს გეტყვი...
უდროო სიტყვებიც დროში იბადება...
და როცა გაფრთხილები,
ნიშნავს, რომ სათქმელი არაფერი მაქვს.
არ გადავდებ სათქმელს, „რომელიც მოიცდის“...
„ეს მოიცდის...“, „ის არ მოიცდის...“
აბა, ჰკითხეთ სიტყვებს და სათქმელს,
თავად გიპასუხონ... რომელი იტყვის:
მე მოვიცდი...
არასდროს არაფერი არ იცდის.
ერთხელაც გახდები ისეთი შეშლილი,
საკუთარ თავს გამოუცხადებ:
არაფერია, გადავდებ საკუთარ თავს,
„ის მოიცდის...“
თავ-გადადებულეობ და თავ-დადებულეობ,
გამოგელვათ ოპიუმი...
უთაოვებს ჭკუა აღარ მოგეკითხებათ...
მე დღეს გზაში შემხვდა ჩემი თავი
და დავიბრუნე...

როცა მოწყენილი ხარ...

წამოკრიფე ფოთლები ქუჩაში და დააბრუნე ხეებზე,
დათვალე ვარსკვლავები და დაიძინე,
ადი მაგიდაზე და იყვირე: ვირი ვარ და ვყვირი...ვარ!
მისწერე მეგობარს შემაშფოთებელი წერილი და იცინე...
შედი ფეისბუქში — გამოიცვალე სახელი, გვარი,
სქესი, იმიჯი —
და დანერე სტატუსი: რა ბედნიერი ხარ...
როცა მოწყენილი ხარ...
თუ მორწმუნე ხარ, უარყავი ღმერთი...



დარწმუნებული იყავი, არ ეწყინება...
გახდი ათეისტი და საკუთარი შიშების დასაძლევად
ხმამალა გამოაცხადე, რომ ღმერთი დაამარცხე,
რაკი უარყავი...
თუ შენს ჩაქოლვას დაინწყებენ,
ამით მხოლოდ ფასი მოგემატება
საკუთარ თვალში...
თუ უკვე ათეისტი ხარ, გახდი მორწმუნე
და მღვდლის კალთაში
თავმიდებულმა მორჩილად იქვითინე
ამა სოფლის ამოებაზე,
ღმერთს მიენდე და ყველაფერი დააბრალე ბედისწერას,
რომელსაც ქრისტიანობა უარყოფს...
ან გახდი ამბიციური და თქვი,
რომ სამყარო შენ გარშემო ბრუნავს...
გააკეთე სიზმრების კონსპექტი და ყოველდღე გაიმეორე...
მერე დაიწყე ფსიქოანალიზი და არ დაამთავრო...
თუ მოწყენილი ხარ,
გამოიცვალე ან გადაცვალე პოლიტიკური პარტია,
ცოლი (ან ქმარი),
შპალერი გამოცვალე სამზარეულოში...
თუ არაფერმა არ გიშველა...
თავი დაანებე, ეჭვის ჭიას... გაუშვი,
ბოლომდე გამოგხრას...

მე არა ვარ ის, რასაც ვწერ...
არ ვგავარ ჩემს ნაწერებს...
მე ვერ გამომიცნობ ჩემი მეგობრებით, —
არ მყავს...
ვერ გამომიცნობ ჩემი წაკითხული წიგნებით, —
ყველა დამავინწყდა...
აღარ მაქვს პრინციპები,
დავკარგე —
ხანდახან ვიგონებ,
ადამიანებს უპრინციპო რომ არ ვეგონო...
დესკტოპზე დაყენებული ფოტო
ჩემს საიდენტიფიკაციოდ ვერ გამოდგება, —
ხშირად ვიცვლი...
ფეისბუქ-პროფილი ანტი-მე ვარ...
ყავა არ მიყვარს,
მაგრამ ხშირად ვსვამ...
ამ ნაწერთაც ვერაფერს გაიგებ...
მე ხომ არ ვგავარ ჩემს ნაწერებს...

დავიტირე ყველა უპატრონო მკვდარი, —
თვალის უბეებში ცრემლი მაინც ვერ ამოვასრე...
გამოვფინე ყველა გამოუძინებელი ღამე და
ლუსტრაცია მოვუნყე სიზმრის პერსონაჟებს —
გონება კი არ იშლის თავის დაზეპირებულ თამაშებს.
ლოდინის ჭაში წყალი ამოვასრე,
შენც არ მომიკვდე, — ყოველ ცისმარე
სავსე მხვდება...
ვინყებ თავიდან ყველაფერს:
ვტირი უპატრონო მკვდრებს,
ვრეცხავ და ვაშრობ სიზმრებს,
წყალს ვუცვლი ლოდინის ჭას...
წყალს ვუსხამ ყვავილებს...
ვითვლი ვარსკვლავებს ცაზე...
ვითვლი ძილის წინ...
ყოველდღე გკლავ...
ყოველდღე იბადები...

ვაუქმებ შუქნიშნებს გადასასვლელზე,
ჭალარას — თმებში...
რისხვას — გულში...
ვაუქმებ სიყვარულის სამკუთხედებს
და ვტოვებ წრფეებს...
ასე უფრო წრფელია.
ვაუქმებ დამარცხებებს და გამარჯვებებს,
ვაუქმებ გამოცდებს სიყვარულში...
და ვაუქმებ ცხოვრებას, როგორც გამოცდას...
ნეტა როგორ იცხოვრებენ ადამიანები...?



იუმორი

მოკლედ, საქართველოში ოპოზიციამ, როგორც ყოველთვის, ქუჩის გამოსვლებითა და სხვა საშუალებებით გაიმარჯვა და ქვეყანა საპარლამენტო სახელმწიფოდ გამოაცხადა. თუმცა ამ მოვლენამ ქვეყნის საგარეო თუ საშინაო პრობლემებს ვერაფერი უშველა და ყველაფერი კიდევ უფრო აირია. ამის გამო ყოფილი ოპოზიციონერები დაკომპლექტებული პარლამენტი საგანგებოდ შეიკრიბა და დახურულ პლენარულ სხდომაზე, ამჯერად უკვე, კანცლერის არჩევა გადაწყვიტა. ყოველ ყოფილ ოპოზიციონერს და ამჟამად კი პარლამენტარს ერთმანეთისა ძალიან ეშინოდათ. ჰოდა, ამიტომაც თითქმის ერთხმად გადაწყვიტეს, დიქტატორად აერჩიათ ომპორტუნისტული პარტიის უცვლელი ლიდერი შავლეგ გურჯისტანაშვილი – როგორც ყველასათვის შესაფერისი და ყველაზე უსაფრთხო.

ჭკპა, გონება და შეგნება მცენარეებს შეიძლება არ გააჩნდეთ, მაგრამ გრძობები ნამდვილად აქვთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, რატომ აბრუნებს დიდ და თავმოწმონე თავს მზესუმიზირა მზის მიმართულებით, ან ვაზი რატომ ეჭიდება თავისი პატარა, მაგრამ მჭიდრე რქებით ტოტებსა და მავთულებს ასე გულმოდგინედ. ან იმ მომთაბარე ხეებზე რაღა ითქვას, რომლებიც სადღაც თბილ ქვეყნებში ასობით მეტრზე გადაადგილდებიან, ვინაიდან წყლის სიახლოვეს უყვართ ყოფნა. მათ ფესვები სანახევროდ ამოყოფილი აქვთ მიწიდან და ფხვიერი ქვიშაანი გრუნტიდან ამოუსვლელად დღემდე რამდენიმე მეტრით გადაადგილდებიან გამომშრალი ხრიოკებიდან წყლიანი ადგილებისკენ, ხოლო როცა წვიმების პერიოდი იწყება, ისევ წყლით დამბალ ხრიოკებს უბრუნდებიან.

აი, განკერსონის არქიპელაგზე გავრცელებული ცალკეული მცენარეები კი მართლაც გასაოცარ მოხერხებულობას ავლენენ და შენიღბვის მიზნით არამარტო იცვლიან ფერსა და ზნეს, არამედ პატარ-პატარა მწერებზე, ფრინველებსა თუ ცხოველებზეც ნადირობენ. ამ მცენარეთაგან ზოგიერთს თითქმის არ აქვს ნიადაგში ფესვები გადგმული და მსხვერპლის დასაჭერად ხტებიან კიდევაც და რამდენიმე ათეული სანტიმეტრით მოსწყდებიან ხოლმე დედამიწას, ქარსაც მიჰყვებიან და წყლის დინებებსაც.

აი, ზემოთხსენებული არქიპელაგის კუნძულ ჯამპლიზე გავრცელებული ზუმფიკალური ტრანსცუა (transcuos zumfikales) კი თავისი გასაოცრად გონივრული თვისებებით მართლაც უნიკალური მცენარეა. ის არამარტო ნადირობს მწერებზე, არამარტო იცვლის ფერსა და ზნეს შენიღბვის მიზნით, არამედ რაოდენ დაუჯერებელიც უნდა იყოს, გულისხმიერებასაც იჩენს თავისი სახეობის საპირისპირო სქესის მცენარეების მიმართ. დამტვერვის წინ მამრობითი სქესის ზუმფიკალური ტრანსცუა რაიმე მწერს – პეპელას, ტკიპას ან ციცქნაჭუპრს მიაერთებს ხოლმე მდებარე და მხოლოდ ამის შემდეგ მტვერავს მას. დაუჯერებელია, მაგრამ დამტვერვის მოსურნე მამრი მდებარის მოშობლებს, ანუ სასიამოროს და სასიდედროსაც არ სტოვებს უყურადღებოდ და მათთვისაც მიაქვს მსუყე მწერები.

საქმე ისაა, რომ ტრანსცუები პატარ-პატარა კოლონიებად ცხოვრობენ. მათი ყოფა პატრიარქალურია და ამიტომაც კოლონიის „თავკაცი“, როგორც წესი, ძლიერი და „ფესვმაგარი“ მამრობითი სქესის ზუმფიკალური ტრანსცუაა. მას ჰყავს ბევრი (ათობით ან ასობით) ცოლი, რომლებსაც ის მტვერავს. და, ჰყავს კიდევ მათგან მდებარობითი თუ მამრობითი შვილებიც, რომელთაგან ის მდებარებს იტოვებს, ხოლო მამრებს აძევებს უცოლოთა უბეში. ეს უბე კუნძულის ჩრდილოეთითაა და იქ უამრავი მამრობითი სქესის ტრანსცუა თავმოყრილი. ისინი, როგორც წესი ჯერ ახალგაზრდები და სუსტები ანდა არცთუ ახალგაზრდები, თუმცა, როგორც წესი, სუსტები არიან. და ამიტომ ბუნებაც შესაბამისად მათ არ, ან ჯერ არ აძლევს გამრავლების საშუალებას. ეს რომ მოხდეს, მათ ჯერ ადგილი უნდა დაიმკვიდრონ კუნ-ზულზე და „პარემიც“ შეიქმნან. ამის გაკეთება კი არცთუ იოლია, რადგან კუნძულ

ჯამპლიზე ადგილები მამრთა შორის უკვე დიდი ხნის დანაწილებულია და ჰარემიანი მამრები უბრძოლველად არ სთმობენ დამკვიდრებულ ადგილებს. ერთი სიტყვით ჯამპლიზე იგივე ხდება, რაც მთელ დედამიწის ზურგზე, ოღონდ იმ საოცარი განსხვავებით, რომ იქ მცენარეები აკეთებენ იგივეს, რასაც აკეთებენ დედამიწის სხვა ნაწილებში ცხოველები და homo sapiens...

ზურაბ ლეყავა

ქორორა კაცი



...ხალხი ბრძენია და შესაბამისად ხალხური სიბრძნეც, მაშდამე, უტყუარია, მაგრამ ყოველ ბრძნულ ანდაზას, რომ თავისი საპირისპირო ანდაზა, იდომა ან გამონათქვამი აქვს? ალბათ, ზემოაღნიშნულ ადგილში თმასთან დაკავშირებულ ანდაზასაც აქვს თავისი საპირისპირო გამონათქვამი. თუ არ აქვს და უნდა ეთქვას ამის ცინიკოს მთქმელს – თუნდაც მრავალი საუკუნის წინ მოხუნჯეს: შე დალოცვილო, თმაც არის და თმაც! შენ შეიძლება თმა კიარა ჯაგნარიც გეზრდება მაგ შენი გამოქვავულის გარშემო და საბორცვთასშორისო ხეობაში; იმ გამოქვავულში კი, რომელსაც გარს ჯაგნარი არტყია, გარეული ღორი ცხოვრობს. ეს ღორი იკვებება ჯაგებში აქა-იქ შერჩეული შარშანშინდელი ნაბლით; ხოლო, რადგან ღორი იკვებება ნაბლით, ალბათ, იმ ჯაგებში შესანიშნავი მასალა: რამდენიმე ძირი ნაბლიც ჩაგრჩენია მოუჭრელი და დაუხერხავი, გაუჩეხავი და გამოუხშირავი; რათქმაუნდა, ალბათ, რკოც გექნება მანდ, ხოლო სადაც რკოა, იქ ხომ მუხნარიცაა; ნუ, ეს ჯაგნარი ვინძლო არაა ისეთი მსხვილმუხიანი, როგორც სამეგრელოსა და აფხაზეთში გვხვდება, თითოეულ ძირს სამი-ოთხი კაცი რომ ვერ შემოაწვდენს ხელს, არამედ ხრიოკის ჯუჯა მუხა ხარ-

...ხალხი ბრძენია და შესაბამისად ხალხური სიბრძნეც, მაშდამე, უტყუარია, მაგრამ ყოველ ბრძნულ ანდაზას, რომ თავისი საპირისპირო ანდაზა, იდომა ან გამონათქვამი აქვს? ალბათ, ზემოაღნიშნულ ადგილში თმასთან დაკავშირებულ ანდაზასაც აქვს თავისი საპირისპირო გამონათქვამი. თუ არ აქვს და უნდა ეთქვას ამის ცინიკოს მთქმელს – თუნდაც მრავალი საუკუნის წინ მოხუნჯეს: შე დალოცვილო, თმაც არის და თმაც! შენ შეიძლება თმა კიარა ჯაგნარიც გეზრდება მაგ შენი გამოქვავულის გარშემო და საბორცვთასშორისო ხეობაში; იმ გამოქვავულში კი, რომელსაც გარს ჯაგნარი არტყია, გარეული ღორი ცხოვრობს. ეს ღორი იკვებება ჯაგებში აქა-იქ შერჩეული შარშანშინდელი ნაბლით; ხოლო, რადგან ღორი იკვებება ნაბლით, ალბათ, იმ ჯაგებში შესანიშნავი მასალა: რამდენიმე ძირი ნაბლიც ჩაგრჩენია მოუჭრელი და დაუხერხავი, გაუჩეხავი და გამოუხშირავი; რათქმაუნდა, ალბათ, რკოც გექნება მანდ, ხოლო სადაც რკოა, იქ ხომ მუხნარიცაა; ნუ, ეს ჯაგნარი ვინძლო არაა ისეთი მსხვილმუხიანი, როგორც სამეგრელოსა და აფხაზეთში გვხვდება, თითოეულ ძირს სამი-ოთხი კაცი რომ ვერ შემოაწვდენს ხელს, არამედ ხრიოკის ჯუჯა მუხა ხარ-

და ქაჩლებს კიდევ საქართველოში რა დალევს?! ქართველი მამაკაცების დიდი უმრავლესობა ხომ ქაჩალია, ხოლო თავის მხრივ ქაჩლების უმრავლესობა, ყოველ შემთხვევაში, ქართველი ქაჩლებისა, როგორც წესი, ფულიანია.

ეჰ, ეს ანდაზა უხერხული, მაგრამ ძალზე ზუსტი და შესაფერისია – ამიტომაც მოსატანია: თმას რომ ჭკუა ჰქონდეს, ტრაკში არ ამოვიდოდაო. ძველებს კი უთქვამთ, მაგრამ...

ობს შენში, მუხათვერდული, დაგვაჯული – ნახევრადუდაბნოსი; ან შეიძლება, ისიც ამოგდის – რა ჰქვია იმას? – გიგანტური საქვოია, მაგალითად; არა! მივხვდი – უძველესი ბანიაანის ტყვრი გაქვს კისტასავით მოდებული! ბოლოსდაბოლოს, ეგებ ბაობაბიც გეზრდება ემანდრე, მაგ ტრაკში. ბაობაბი – რომლის გარშემოც მარტორქები, ლომები და ანტილოპები დაიარებიან და ჩასუქებულ კაფრულ კამერთა მთელი ჯოგები დაზულუქობენ, ხოლო საბორცვებშორისო დამშრალ, მაგრამ ჯერაც ტალახიან ხეობაში კი მზეს ნილოსის ნიანგები და ამაზონის ალიგატორები ეფიცებებიან... ეგებ ეს ყველაფერი შენ გაქვს და ეგებ ეს ყველასფერი შენ ხარ, მაგრამ სხვებს რას ერჩი, მაიმუნო, ნეტავი? იქნებ იმ სხვას ერთი ღერი თმაც კი არ ეზრდება აღნიშნულ ადგილას და ის აღნიშნული ადგილი მუდამ ახლად განმენდილი მონიტორივით სულ გაკრიალბებული აქვს. შენ შენს თავზე და შენს ტრაკზე ილაპარაკე, ვირიშვილო. ხალხის სახელით კი საკუთარი სიბრძნეების გავრცელებას თავი ანებე და იყურე. თუ არა და ჩვენც ხალხი ვართ და აჰანდე ჩემი (ჩვენი) პასუხი შენს ანდაზაზე და უკბილო ოხუნჯობაზე...

...მაგრამ მაინც ცოდაო ქაჩალი კაცი. კაცს ხომ (მითუმეტეს ქართველს) თავი ყველას ბრძენი ჰგონია. ჰოდა, ამ „ტვინით სასვე“ თუნდ გაქაჩლებულ თავს, ეს უტვინო, მაგრამ ხუჭუჭი და აბრეშუმით ნაზი, ან თუნდაც უხეში და ეკალივით ნვეტიანი თმები უხდება, განა?!

მოკლედ, იჯდა ბატონი ივლიანე და ნრუპავდა ძვირიან ლუდს, უხასიათოდ მიერთმედა ხიზილადაკარაქნასმულ ჭვავის პურს, უყურებდა პირქუშად ტელევიზორს და ანდა რატომ არ უნდა მოქცეულიყო ასე, როცა ყველაფერიც ჰქონოდა მას: რამდენიმე ბოთლი კარგა ჩაცვიებული ძვირიანი ლუდი და ხიზილალანი ქილები მაცივარში, ჭვავის პური საპურეში; ჰყავდა ლამაზი, ჭკვიანი, მოვლილი და სექსუალური ცოლი; ასეთივე მოვლილი და კარგად ჩაცმულ-დახურული, კარგ, პრესტიჟულ სასწავლებლებში მეცადინე შვილები; ფულიც ჰქონდა ბანკში და პარალელური ბიზნესიც – იქ ავტოსაზინკლო საამქროო, აქ რამდენიმე ბინა უცხოელებზე გაქირავებული... მაგრამ საშინელი ჭმუნვისა და უზომო დაღრეჯილობის საბაბიც ჰქონდა ნუქერიძეს იმჟამად.

მას წინ პატარა საჭურნალე მაგიდა ედგა. ამ მაგიდაზე თავახდილი ლამაზი ზარდახშა იდო, ხოლო ზარდახაშიდან ნეკზე უწვრილესი ლამაზად შეკრული მოსალათისფრო ნაზი მასალისგან დაგრეხილი თოკი მოჩანდა. ეს ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში, ბენჯი-ბაიდაშის პროვინციაში დამზადებული უმაგრესი, უმსუბუქესი, უელსატიურესი თოკი იყო, კანცლერის მიერ პირადად მისთვის თავის ჩამოსახრჩობად გამოგზავნილი – სწორედ ისეთი, როგორც თავის დროზე ხონთქარმა მურადმა თავის ჩამოსახრჩობად გაუგზავნა თავის ოდესლაც ერთგულ, შემდეგ კი მტრადმოკიდებულ ფაშა გაგაუზს... და ახლაც კანცლერ შავლეგ გურჯისტანაშვილის, ამ ჯერარნახული ტირანისა და პირსისხლიანი დიქტატორის აზრით ივლიანე ნუქერიძეს – არც მეტი არც ნაკლები – თავი უნდა ჩამოეხრჩო საკუთარი ხელით. და რისთვის არ იკითხავთ?! იმისთვის, რომ მან, ანუ ნუქერიძემ, იგი — კანცლერი, ვერ განკურნა.

აბა, კი!

ან რა სჭირდა გურჯისტანაშვილს განსაკურნავი, ნეტავი? კანცლერი ორმოცს გადასცდა და მის თავსაც, როგორც ქართული თავების უმრავლესობას, დაეწყო ნაადრევი ფოთოლცვენა. თავიდან ფოთოლცვენის პროცესი ნელა, ნაკლებ-შესაგრძნობად და შემპარავად ვითარდებოდა, შემდეგ და შემდეგ კი ერთობ შესამჩნევი და საგრძნობი გახდა, ხოლო ბოლოს ბატონი კანცლერი თითქმის სულ გაქაჩლდა. აი, სწორედ კანცლერის თავზე წარმოქმნილ ამ ინტენსიურ ფოთოლცვენას მოჰყვა ყველაფერი.

გურჯისტანაშვილმა თავის რეზიდენციაში დაიბარა დოცენტი ნუქერიძე და სასწრაფოდ მოსთხოვა თმის გადანერგვა. ნუქერიძე დასთანხმდა სწრაფ გადანერგვაზე, მაგრამ ასევე შეეცადა აეხსნა ხისთავიანი დიქტატორისთვის, რომ ნორ-

მით გათვალისწინებული დღიური 10-15 ღერი თმის გადანერგვა შეეძლო, გაეზარდა და მაქსიმუმ 30-35 ღერამდე, მაგრამ არაუმეტეს ამისა, რადგან უფრო მეტის გადანერგვის შემთხვევაში პროცედურებს შეიძლება მოჰყოლოდა სავალალო შედეგები: დიქტატორს შეიძლება დასწყებოდა განგრენა, ან მიღებული ქალა-ტვინის ტრამვის შედეგად განვითარებოდა რაიმე სერიოზული დაავადება. თუმცა რკინის შავლეგად ნოდებული შავლეგი შეუვალი იყო და, რომ იტყვიან, დიქტატორულად ითხოვდა მინიმუმ 100-150 ღერი თმის გადანერგვას დღეში. საქმე ის იყო, რომ ახლოვდებოდა მორიგი მსოფლიო სამმიტი და ამ სამმიტზე გურჯისტანაშვილს - ჰაი-დედასა - ქორიანს სურდა წარდგომა კაცობრიობის წინაშე.

ის შენობით ელაპარაკებოდა ნუქერიძეს, უყვიროდა და ასევე შენობით და ყვირილით მოითხოვდა მისგანაც უხეშსა და ზოგჯერ უტიფარ პასუხს. დიქტატორი ამით ერთგვარად ლიბერალობდა და საკუთარი თავის უბრალო კაცად წარმოიჩინებოდა. გურჯისტანაშვილი უმტკიცებდა ნუქერიძეს, რომ თავისი ხისტავიანობის გათვალისწინებით იგი ასორმოცდაათს კიარა, ათასსუთასი ღერი თმის გადანერგვასაც გაუძლებდა. მაგრამ ნუქერიძე ბედავდა და უმტკიცებდა საპირისპიროს: მისი აზრით, ხისტავიანობა კანკერისა იყო კარგი მხოლოდ ერთის მხრივ - კერძოდ კი გამძლეობის თვალსაზრისით, მაგრამ მეორეს მხრივ ის იყო ცუდიც, რადგან თმის გადანერგვი პნევმატური პისტოლეტის ძალა შეიძლება აღმოჩენილიყო არასაკმარისი, ისეთი ჯავშნათავიანი ადამიანის თავის კანის გასახვრეტად, როგორც იყო გურჯისტანაშვილი. ამაზე გურჯისტანაშვილმა შესთავაზა ექიმს, ჩაეტარებინათ ექსპერიმენტი, ანუ დაედგინათ თუ რამდენად მაგარი ჰქონდა მას თავისი კანი. ასეც მოიქცნენ: დიქტატორი ჩაჯდა სავარძელში, ხოლო ექიმმა გახსნა საკვოიაჟი. საკვოიაჟით კი მას სამი თუ ოთხი სხვადასხვა სიმძლავრის თმის გადანერგვი პნევმატური პისტოლეტი, რამდენიმე შეკვრა განსხვავებული ფერისა და ფაქტურის გადანერგვი თმა და ერთი ქილა მაჩვზღარბას ქონი წამოეღო.

მაჩვზღარბას ქონი მას შემდეგისთვის სჭირდებოდა: როგორც ცნობილია, მაჩვზღარბა საფრთხის შემჩნევისას იძაგრება და თავის ეკლებს შლის, ხოლო განსაკუთრებული საფრთხისას დაძაგრული მაჩვზღარბა პირდაპირ ესვრის თავის ეკლებს მტერს. ისმის ტკაცანი და ცხოველის სხეულს სწყდება დაახლოებით ორმოცდაათსანტიმეტრიანი ეკალი, რომელიც სხეულში წვერით ხვდება მტერს. ამიტომ იყენებენ ამ ცხოველის ქონს თმის გადამწერველები მთელს მსოფლიოში, როგორც არაილბოიანად გადანერგილი თმის უკან გამოწყვანს. ნებისმიერი სხეული ძნელად იგუებს გადანერგილ უცხო სხეულს და თუ ვერ იგუა, სჯობს, რომ დროულად გამოაძეოს იგი თავისი წიაღიდან, რათა უცხო სხეულის არსებობას არ მოჰყვეს რაიმე თანმდევი არასასურველი მოვლენები. მაჩვზღარბას ქონში ამოვლენებული კაპრონის თმები ორგანიზმის მიერ არმიღების შემთხვევაში ადვილად სცილდება კანს და არათუ სცილდება, არამედ მაჩვზღარბას ეკლის თვისებასაც იძენს და იფოფრება. ხანდახან კი სხეული ან თმაგადანერგილი თავი პირდაპირ ისვრის თმებს, როგორც მაჩვზღარბას სხეული ეკლებს.

მოკლედ, დატენა საშუალო სიძლიერის პისტოლეტი ექიმმა მაჩვზღარბას ქონით გაპოხილი ნატურალური თმებით და დაახალა დიქტატორს რამდენიმე ღერი თმა თავში. თქვენც არ მომიკვდეთ: დიქტატორის ჯავშნავი მავარმა სკალპმა უარი თქვა გზავნილის მიღებაზე და გამოსროლილი თმები წულით აირეკა. მაშინ ექიმმა დატენა კიდევ უფრო ძლიერი თმის გადანერგვი პისტოლეტი და ახლა ამ პისტოლეტიდან დაახალა პაციენტს რამდენიმე ღერი თმა, თუმცა ამჯერადაც უშედეოდ. მერე დაურეკა თავის თანაშემწეს კლინიკაში და იქიდან მოატანინა ფორსირებული თმისგადანერგვი, ჯერარლიცენზირებული, უშველებელი თმისგადანერგვი პისტოლეტი. დაანახვა ის დიქტატორს, მოუღერა იგი მას, მერე ფხებში შორისაც კი ამოიჩარა მის დასანახად და ასე პისტოლეტამოჩრილმა გააკეთა რამდენიმე მეტად ვულგარული მოძრაობა წე-

ლის წინ და უკან განევ-გამონევით. თან დაიქანდა, რომ ამით გაუხვრეტდა თავს კანცლერს, თუკი ეს უკანასკნელი არ მოისვენებდა. ეს ფორსირებული თმისგადანერგვი პისტოლეტი, ჯერ არ იყო ლიცენზირებული არცერთი ქვეყნის ჯანდაცვის სამინისტროს მიერ და იმდენად ძლიერი ჩანდა, რომ მისი მეშვეობით თავისუფლად შეიძლებოდა დუბლების ბეტონში ჩაჭედება. გურჯისტანაშვილმა არხეინად ჩაიქნია ხელი და თავისი საშუალოდ მოტვლებილი, მაგრამ ქვასავით მაგარი და ნიანგისტყავისებურსკალიანი ნახევრად პოსლიკა თავი შეუშვრა ექიმს. მკურნალმაც დაახალა და დაახალა პაციენტს პისტოლეტიდან ისეთი ძალითა და ჭახანით, რომ კაბინეტში და მოსაცდელშიც კი დადგა დამწვრის სუნი, ხოლო უჩვეულოდ ძლიერი გასროლების ხმაზე დიქტატორის კაბინეტში შემოიჭრა შეიარაღებული დაცვა. თუმცა ნელმომოხრილმა გურჯისტანაშვილმა მათ ხელით ანიშნა, გადითო და ისინიც გავიდნენ.

პირველი სეანსისთვის ნუქერიძემ 50 ღერი თმის გადანერგვა აკმარა პაციენტს, რადგან შეატყო, რომ ამაზე მეტს ის ვერ აიტანდა. მეორე დღეს კი გადაუნერგა 60. შემდეგ კიდევ მოუმატა და გადაუნერგა უკვე 90, მაგრამ კანცლერს გონებაარეულობა დასჩემდა. თან - ჯერ ერთი: თმებიც სათანადოდ ვერ მოიმრავლა თავზე და მეორეც: როგორც სჩანს ზედმეტი და ძლიერი გადანერგვით პროცესის ნიადაგზე განვითარებული გონებაარეულობის გამო მოხდა ერთი ინციდენტი.

დიქტატორს გასვლითი ტური ჰქონდა რეგიონებში. ის ტრადიციისამებრ რეგიონების მცხოვრებლებს ხვდებოდა და მათ პირად ქვეყნის თუ საკუთარი წარმატების შესახებ ესაუბრებოდა. გარდა ამისა, ის, როგორც პრეზიდენტიც და სხვა ქვეყნის მმართველებს სჩვევიათ ხოლმე - ხან მშენებლობებში რომ მონაწილეობენ და ხანაც რთველსა და მკაში - კანცლერი მოხუც ცოლ-ქმარ ბუცხრიკიძეებს ესტუმრა. ბუცხრიკიძეები დიქტატორს სიხარულით შეხვდნენ: კანცლერს შემწვარი წინილით, ნიგვზიანი ნიორწყლით, პრასით, პრასის წინილით, ჭადით, ღობით, წითელი ღვინითა და ჭაჭის ორნახადაი არყით გაუმასპინძლდნენ. სტუმარს ეამა ნუგბარი და რეკლამებით გათვალისწინებული გარდა, ორი ასგრამიანი ჭაჭუნელაც გადასცხო. მერე კი პრეზიდენტებმა და სხვა მმართველებმა რომ იციან ხოლმე, ხეების დარგვა და ეგეთი რაღაცები, მაგ თვალსაზრისით დაავლო ცულს ხელი და შემის დაპობას შეუდგა. თუმცა ჭაჭის არაყმა და თმისგადანერგვი პისტოლეტიდან წინა დღით ნასროლმა, თავში ჩაჭედებულმა თმებმა თავისი ქნეს და და შედეგმაც არ დააყოვნა - კანცლერმა შემის დაპობისას შემთხვევით ყვერი მოიჭრა.


ჰო, რა იყო, რა მოხდა, ან რა არის აქ სასაცილო? ჩეხავდა კაცი ნიფლის შემას დინამიურად და საიდან უნდა სცოდნოდა, ქალაქში გაზრდილს, რომ ნიფელში რცხილის ჯირკებიც ერია. ან რომც სცოდნოდა, რომ ნიფელში რცხილა ერია, ის საიდანაღ უნდა სცოდნოდა, რომ რცხილა ნიფელზე ძნელი დასაპობია? თანაც იმ სახედისნერო ჯირკს, რომელზედაც გურჯისტანაშვილს ის ავბედითი ცული აუცდა, ბოლოში ნუფრიც ჰქონდა. შავლეგმა პირველად უნუფროში დაჰკრა ჯირკს და მარჯვედაც გააბო, მაგრამ მეორე დარტყმამ ნუფრს უწია და გასაპობი ხე გვერდზე გასხლტა. კანცლერმა მეორედაც დაჰკრა, მაგრამ ჯიუტი და დაგვაჯული ნაჭერი ისევ ასხლტა კუნძიდან. მაშინ კანცლერმა იქმყოფთ გაუღიმა, კუნძზე დადებულ ნაჭერს ბარძაყი შეაშველა და ცული დასცხო. საბედისნერო ნეული ნაჭერი ისევ დასხლტა, კანცლერმა კი ამასობაში ცულით ყვერი მოიჭრა. ის მაშინვე გააქცუნეს მაღალმთიანი სოფლიდან და ვერტმფრენით გადაიყვანეს თბილისში, თავისი ყვერიანად, რომელიც ცელოფნის პარკში ჩადეს ყინულის ნატეხებთან ერთად.

ფიცხელაშრის სახელობის ყვერის გადანერგვის კლინიკაში კანცლერის ყვერი მაცივარის საყინულეში შედეს, ხოლო ნარკოზით მიძინებულ დიქტატორს ჭრილობა დაუმუშავეს. მერე კი მოვლენები, რომ იტყვიან, ჩვეულებრივი ქართული



სცენარით განვითარდა. ვიღაც მეზობელი „სვარკას“ ამუშავებდა, ჰოდა, გადინვა რამდენიმე მაცივარი უბანში - მათ შორის ის მაცივარიც საავადმყოფოში, რომლის საყინულეშიც კანცლერის ყვერი ინახებოდა. გალღვა ის ყინული, გაფუჭდა კანცლერის ყვერი - სუნი გაუშვა. ქირურგმა ეს რომ გაიგო, ცუდად გახდა და ძლივს მოასულიერეს. მერე გასცა განკარგულება, მოეტანათ თუშური ცხვრის ყვერი, რადგან სწორედ ცხვრის, და სწორედ, თუშური ცხვრის ყვერი ესისხლბორცება ყვერდაკარგულ მამაკაცს. თითქოსდა რა მნიშვნელობა აქვს, ცხვარი თუშური იქნება თუ იორკშირული, მაგრამ აი, ჰქონია თურმე, და... და კლინიკის ადმინისტრატორმა კურნალი აკონინა საქონლის ბაზარზე, რათა ამ უკანასკნელს თუშური ცხვრის ყვერი ეყიდა. მაგრამ თავსდატყვილი უბედურება და ხელმძარულობა ხშირად კომპლექსური შეიქნება ხოლმე და საქონლის ბაზარზე თუშური ცხვარი იმჯერად არ აღმოჩნდა. გაყიდვაში იყო მხოლოდ ანგორული თხა, რომელიც მართალია მაღალი ხარისხის თივთიკს იძლევა, მაგრამ გარკვეულწილად სუნიაინა. თხის ამ სახეობის სუნიაინობა ცალკერძ განპირობებულია მისი სამხრეთული წარმომავლობით - სიცხე, უდაბნო... ცალკერძ კი იმით, რომ თხის ამ სახეობის ვაცები არიან მეტად ხურუმიანები და მდებრების დანახვისასვე უშვებენ სპეციფიურ სუნს, რომელითაც ერთის მხრივ აფრთხობენ სხვა ვაცებს, ხოლო მეორეს მხრივ ხიბლავენ მდებრებს. ჰოდა, ისევედასევე, ქართულ ამბავში, აილო ქირურგმა და არათუ ის იკმარა, რომ კანცლერს თავისი საკუთარის ნაცვლად თუშური ცხვრის ყვერი არ მიაკერა, არამედ თავიც კი არ შეინუხა, რომ ამგვარი ცხვრის ყვერი ეშოვნა. აილო და ამხელა ბუმბერაზ პოლიტიკოსს - საქართველოს ფედერალურ კანცლერ შავლეგს ანგორული თხის ყვერი მიაკერა - აქაოდა კანცლერის სპეც.სამსახურები მაინც ვერაფერს შეიტყობენ - ერთი მაგათი დედაცო...

ამის შემდეგ გაემგზავრა ჩვენი კანცლერი ნიუ-იორკში მსოფლიო ლიდერთა სამმიტზე ქორთომიანი და თხისყვერა. გადანერგილი თმა სკალპის სიმკვრივის გამო კარგად შეხორცდა და არ ყანყალბდა, ხოლო კანცლერის ორგანიზმში ანგორული თხის ყვერის გადანერგვით გამოწვეული გენეტიკური ცვლილებები თითქოს სასიკეთოდ აღმოჩნდა: ანგორული თხის ძძლავრმა გენებმა გურჯისტანაშვილს თავზე შერჩენილი და პისტოლეტით გადანერგილი უხეში თმები, მართალია, მთლად თივთიკივით არ გაუხადეს, მაგრამ შედარებით გაუნაზეს და გაუტალღოვნეს. შემდეგ კი მოხდა კატასტროფა: სამმიტზე სხვადასხვა ქვეყნების ლიდერებმა, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე, დასცხეს, ანუ იჩხუბეს. ამ ჩხუბში, ასევე, როგორც ყოველთვის, ჩვენი კანცლერიც ჩაერთო. ის მეტად გაცხარდა და რადგანაც თმები ახლადგადანერგილი ჰქონდა, ხოლო ეს ახლადგადანერგილი თმები მაჩვზღარბას ქონით ჰქონდა გაპოხილი, მისმა თავმა, ისე დაიწყო თმების სროლა, როგორც მაჩვზღარბას კანმა იცის ეკლები სროლა. ჩვენი კანცლერი სხვა ქვეყნის მმართველებს მუშტებს გამეტიტებით ურტყამდა, ხოლო ახლადთმაგადანერგილი მისი თავიდან წულით გამოსროლილი თმები ზოგ ლიდერს სად ესობოდა და ზოგსაც - სად. ჩხუბი რომ დამთავრდა, ახლა, ყურნალისტები დაესვენენ მოჩხუბრებს. შავლეგი აქტიური მონაწილე იყო ჩხუბისა და ამის გამო მას ბევრი ფოტოკორესპონდენტი და ყურნალისტი შემოეხვია. ამ ფოტოკორესპონდენტებში კი ერთი იმისთანა ქერათმიანი ერია - მ-მ-მ, თითქოს ჩაიკვნეტდა კაცი... ამ მანდილოსანს მოკლე კაბა და ჩახსნილი ბლუზი ეცვა, საიდანაც მეტად ჩათქვირებული ძუძუები მოუჩნდა; ცხენივით ჯანმრთელი კბილები და უძიროდ ცისფერი თვალები... მოკლედ, რომ იტყვიან, რქეს ფსავდა, რა... ეს ფოტოკორესპონდენტი სულ ცდილობდა, ეფექტური ფოტო გადაეღო ტემპერამენტიანი კანცლერისთვის და ამიტომაც უჩვეულო პოზებს იღებდა - ხან წვებოდა



და იტმანებოდა, ხანაც ლამის ზედ ასკდებოდა რესპონდენტს. ჰოდა, გადანერგულმა ანგორული თხის ყვერმაც არ დააყოვნა და თავისი ქნა: გადარეულმა შავლეგმა ფოტოკორესპონდენტს ფეხებშორის ხელი ამოსდო და ილღიბიდან იმისთანა თხის სუნი გაუშვა, რომ გარშემო მყოფი ხალხი სულ დაფანტა. თეთრყინობა ჩათქვირებულიძულებიანი დაბნეული ჩრდილოელი ქალი დიქტატორს თავიდან თითქოს დაჰყვა, გაუყურდა, მაგრამ შემდეგ მალევე მოეგო გონს, შავლეგის მიერ სამკვდროსასიცოცხლოდ ჩაბლუჯული ბიკინიდან ამოხტა და გაიქცა, თუმცა ფოტოკამერაც დააზიანა, მაკიაჟიც გაიფუჭა და მზის სათვალევ დაკარგა. ამის შემხედვარე მეორე, მართალია, შედარებით ნაკლებსექსუალურმა, მაგრამ სამაგიეროდ თავის საქმეში მეტად გამოცდილმა ჟურნალისტმა დელი-ნიუსონის კორესპონდენტმა ვივიანა ადამსმა ჩვენს კანცლერს, რაც შეიძლება სწრაფად (რომ გამოეტყუებ) ჰკითხა, იყო თუ არა მისი მხრიდან ეს ფოტორეპორტიორის გაუპატიურების მცდელობა და თუ იყო, რატომ გააკეთა მან ეს. გამოცდილი ჟურნალისტი ზოგჯერ ბაძავენ გამოძიებლებს და სწრაფ, სხაპასხუპით დასმულ შეკითხვაზე ასევე სწრაფად და სხაპასხუპით აიძულებენ რესპონდენტს გასცეს პასუხი. კანცლერმა ხელში ჩაბლუჯული ქათქათა ბიკინით დაუფიქრებლად და, როგორღაც, მაშინაურად შეიმშრალა ოფლიანი პირისახე. აი, ამ დროს გაიჩხაკუნა დელი-ნიუსონის კორესპონდენტის ფოტოაპარატმა და უნიკალური კადრი დააფიქსირა. კანცლერის მიერ სწრაფ ტემპში გაცემული პასუხი კი ასეთი იყო: „დიხაც, აბა, რა! ჩვენთან საქართველოში ასე ამბობენ: მოსაკლავი უნდა მოიკლას, ხოლო მოსახმარი უნდა მოხმარებულ იქნას, აბა, რა!“ მეორე დღეს დელი-ნიუსონის წინა გვერდზე დაიბეჭდა ამავე გაზეთის კორესპონდენტის ვივიანა ადამსის ფოტო, რომელზედაც ჩვენი კანცლერი ცალი ხელით ეძიძგილავებო-

და ჟურნალისტებს, ხოლო მეორე ხელით ქათქათა ბიკინით იმშრალებდა გაოფლიანებულ პირისახეს. კიდევ ერთხელაა აღსანიშნავი, რომ ფოტო იყო ახლო პლანში შესრულებული, მეტად მაღალკვალიფიციურად გადაღებული და ძალიან ეფექტური. არ იყო განსაკუთრებით დაკვირვებული თვალი საჭირო იმის დასანახად, რომ ბიკინიზე, რა მოსატანია და, შერჩენილიყო ცოტადენი „თივთიკი“, რომელიც ჩათქვირებულიძულებიანმა ფოტოკორესპონდენტმა დატოვა საკუთარ ბიკინიზე ამ სამოსიდან ამოხტომისას კანცლერის მიერ ჩაფრენის დროს – ნუ, როგორც ხელიკი ტოვებს ხოლმე თავის კუდს, რა... ჰოდა, ეს თივთიკი ცოტათი მიჰკვროდა გურჯისტანშიველი ტურზე. ფოტოზე ის თითქოს რაღაცის გადმოპურჭყებას ლაპობდა. ფოტოს ქვეშ კი იყო კომენტარი: „საქართველოში ფედერალურმა კანცლერმა, მისტერ შავლეგ გურჯისტანშიველი ჯერ მსოფლიო სამიტიზე გამართულ ჩხუბში მიიღო მონაწილეობა და კოსტა-ბენიტოს პრეზიდენტს გამოთხარა თვალი, ხოლო მონღოლეთის დიდი ჰურალის თავმჯდომარეს ბატირ-ყო-ჯლუნს ჩაუტყუა ყბა, ხოლო გურჯისტანშიველი უბრალოდ გამოძიებლებმა აჰკიდეს ეს დანაშაულიც...“

რალა დარჩენოდა ცოტაარყოფი ფიცხსა და ცერცვეტ და ზედმეტად ქარიზმატულ კანცლერს – ის დაუყოვნებლივ დაბრუნდა საქართველოში. განწყობა დიპლომატიური ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან, კოსტა-ბენიტოსთან და კიდევ რიგ ქვეყნებთან, ხოლო ხაჟომიას სახელობის თმის გადანერგვისა და ბიომეტრიული კორექციის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ-თანამშრომელს აბრეშუმის თოკი გაუგზავნა თავის ჩამოსახრჩობად.

— აი, ეგრე!

— აბა, კი!

მეტი საქმე არ ჰქონდა, ახლა, ივლიანე ნუქერიძეს, აელო და ჩამოეხრჩო თავი თუნდაც აბრეშუმის თოკით ამ დაცენტრილი კანცლერის ნებასურვილის გამო. მეორეს მხრივ კი სამიშროება იყო რეალური: ნუქერიძე თუ თავს არ ჩამოიხრჩობდა, ის შეიძლება საჯაროდ ჩამოეხრჩოთ კოლმეურნობის მოედანზე დამონტაჟებულ სახრჩობელაზე. ხოლო განაჩენს, ალბათ, საკუთარი ხელით მოიყვანდა სისრულეში თავად ფედერალური კანცლერი შავლეგი. ჰო, რა იყო? რა მოხდა? რა, ჭკუა დაუშლიდა თუ თანამდებობა – აიღებდა და ჩამოახრჩობდა. ასე არ ჩამოახრჩო ცნობილი ფეხბურთელი გურგენიძე საერთაშორისო მატჩში საკუთარ კარში გოლის გატანის გამო? აიღო და ჩამოახრჩო პირდაპირ ტელეკამერების წინ: თოკი გასანთლა, ყულფი გააკეთა, გურგენიძეს თავზე ჩამოაცვა და ტაბურეტს რომელზედაც იდგა ფეხბურთელი, ნიხლი გაჰკრა, შემდეგ, მართალია, მსჯავრდებულს ფეხები თავადვე დაუჭირა და თოკიც თავადვე გადაჭრა დანით, ყულფიც თავისი ხელით შეხსნა, ფეხბურთელი ხელში აიტატა და შიშისაგან გულგახეთქილს შიგ სულში ჩასძახა: „ჭი-ტააა!“ ამის შემდეგ უთხრა, გაგებშიყო, გაიცინა სულელივით, ჰალსტუხი გაისწორა, უკანალი მოიფხანა და ნაბრძანდა. სანამ ლიმუზინში ჩაჯდებოდა, უაზროდ იმზირებოდა შიზოფრენიული მზერით და თან სულელივით ხითხითებდა. ლიმუზინშიც კი არ მოისვენა: აქეთ-იქით მსხდომ დაცვის თანამშრომლებს იდაყვებს ურტყამდა გვერდებსა თუ მუცლებში, შტერივით ხითხითებდა და ალაონაჭამივით გაიძახოდა: „ჭი-ტაა! ჭი-ტაა!“

როცა გიჭირს და საფრთხე გემუქრება, სწორედ მაშინ უფრო გამოიგონებ რამეს და ამიტომაცაა ნათქვამი: ზოგი ჭირი მარგებელიაო. იჯდა კაცი, სვამდა ლუდს, უხასიათოდ ლეჭავდა ბუტერბროდს, უყურებდა ტელევიზორში შემეცნებითი ხასიათის გადაცემას განკერსონის არქიპელაგის კუნძულ ჯამპლიზე გავრცელებული მსტუნავი და მცოცავი მცენარეების, ზუმფიკალური ტრანსცუების შესახებ და უეცრად სახე გაუცისკროვნდა. ნუქერიძეს ზუმფიკალური ტრანსცუას ადამიანის თავზე გადანერგვის იდეა დაებადა. თუკი ამ მსტუნავი და მწერებზე მონადირე მტაცებელი მცენარის ადამიანის თავზე გადანერგვა მოხერხდებოდა, მაშინ მელიტ თავებზე თმის გადანერგვის სრულიად ახალ მეთოდს ჩაეყრებოდა საფუძველი და თმების გადასანერგადაც აღარ იქნებოდა საჭირო ტვინის ამრევი პისტოლეტები, დონორის თმა და მაჩვენებლები. რადგან მცენარე ისედაც თითქმის მთლიანად იკვებებოდა ორგანული საკვებით და გადაადგილებოდა კიდევ, მაშინვე მისით ანუ მისი დნმ-ის მეშვეობით შეიძლებოდა ადამიანის სხეულზე განთავსებული თმების გენეტიკური მოდიფიცირება და მაშინ შესა-

ძლებელი გახდებოდა სხეულზე გადაადგილებადი თმების გამოყვანა. თანაც ზუმფიკალური ტრანსცუა ფესვებს ღრმად არ იკიდებდა ნიადაგში და მაშინვე ასევე ღრმად არ მოიკიდებდა ფესვებს ადამიანის სხეულშიც. მოკლედ, ქაჩალ მამაკაცთა უმრავლესობა ხომ ჭარბთმინია. მათ თავები აქვთ მოტვლეპილი, თორემ თმები სხეულზე იმდენი აქვთ, რომ თუ გაპარსავ და ამ ნაპარსს კარგად გაჩეჩავ და თითისტარზე დაართავ – ერთ კარგ სვიტრს მოიქსოვ კაცი. მარტოვად რომ ითქვას, საჭირო იყო ადამიანის თმისა და მტაცებელი, გადაადგილებადი მცენარის, ერთმანეთთან შეჯვარება ანუ დამყნობა და თუკი ეს მოხერხდებოდა, მაშინ ამგვარად მოდიფიცირებული, დაუშვავთ, ზურგზე ამოსული გადაადგილებადი თმები შესაბამისი პროცედურების ჩატარების შემდეგ პაციენტის ზურგიდან გადაინაცვლებდნენ მის თავზე. აი, ასეთი იყო ხაჟომიას სახელობის თმის გადანერგვის ინსტიტუტის უფროს მეცნიერთანამშრომლის დოცენტ იორამ ნუქერიძის რევოლუციური იდეა.

ჰომალ, მიუხედავ კომპიუტერს დოცენტი ნუქერიძე და დაიწყო გადაადგილებადი მცენარეებისა და განსაკუთრებით ზუმფიკალური ტრანსცუის შესახებ ინფორმაციის მოძიებას. ის აცნობიერებდა, რომ თუ ის მოახერხებდა და თავის იდეას განახორციელებდა, ანუ შექმნიდა სხეულზე გადაადგილებად თმებს, მაშინ იგი გადაურჩებოდა დიქტატორისა და პირსისხლიანი კანცლერის შავლეგ გურჯისტანშიველის რისხვას და რკინის შავლეგს კარგ ბუჭუჭქოროს დაუმშვენებდა. ამ შემთხვევაში რისხვა, კიარადა, სახელმწიფო პრემიასაც გამოკრავდა, ალბათ, მეცნიერი ხელს.

მოკლედ, გაემგზავრა მეცნიერი კანცლერის კანცელარიაში, ჩაენერა მიღებაზე და საკმაო ლოდინის შემდეგ (შავლეგმა შეგნებულად ალოდინა) შევიდა დიქტატორთან. მან იცოდა, რომ ამ გიჟმაჟს პირდაპირი და ცოტათი აგდებული ლაპარაკი და შინაურული ტყემლის არაყი ყველაფერს ერჩია. ამიტომ ერთი ბოთლი წაულო და მოსაცდელში მორჩილად დაჯდა სკამზე. კანცლერმა მას შეგნებულად ალოდინა ძალიან დიდხანს და კიდევ დიდხანს ალოდინებდა, მაგრამ ნუქერიძემ მოულოდნელად მისაღებში შესძახა გურჯისტანშიველის საყვარელი სიმღერა:

— ბიჭო, რა მოგიტანე-ე-ე, ბიჭო, რა გაგახარე-ე-ე-ე, ვოხოხოია მრავალჟამიერ!

აქ კი ვეღარ გაუძლო გურჯისტანშიველს გულმა. ის მაშინვე მიხვდა, რომ ნუქერიძე რალაც სიურპრიზს წარუდგენდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თავის ჩამოსახრჩობად თოკგაგზავნილი კაცი ამდენს ვერ გაბედავდა. მან მდივანს დაურეკა — ნუქერიძე შემოუშვით და ბატონმა მეცნიერმაც კანცლერის კაბინეტში შეაბიჯა. მათ ემოციურად ისაუბრეს და ერთმანეთს ლამის აგინეს. ნუქერიძე, რათქმაუნდა, კრიტიკულ მომენტებში უთმობდა, თვალებს მორჩილად ხრიდა და დიქტატორს ყვირის აცლიდა, რადგან იცოდა, რომ ეს თამაში იყო და თუ თამაში ზღვარს გადაცდებოდა, მაშინ კანცლერიც ნებისმიერ რამეს მოიმოქმედებდა. მას შეეძლო უბრალოდ ამოელო პისტოლეტი და პირდაპირ საკუთარ კაბინეტში დაეხვრიტა ნუქერიძე. თუმცა ამ უკანასკნელმა თავისი თანდაყოლილი დიპლომატიური ნიჭის წყალობით შესძლო დაემშვიდებინა დიქტატორი და აეხსნა მისი იდეის არსი. მათ ტყემლის არაყი ბოლომდე ჩაცალეს და შეთანხმდნენ: ნუქერიძეს თავისი პროგრამის განხორციელებისთვის გამოეყოფოდა ნებისმიერი თანხა, მიეცემოდა მივლინებები, მათ შორის დედამიწის ისეთ შურეულ ქვეყნებში, როგორცაა განკერსონის ნახევარკუნძულზე ნასვლის საშუალება, მაგრამ სამაგიეროდ მაქსიმუმ ექვსი თვის განმავლობაში ნუქერიძეს თავზე უნდა ჰქონოდა თმები. ნუქერიძის ოჯახის წევრები კი დარჩებოდნენ საქართველოში მეთვალყურეობის ქვეშ და ჩაითვლებოდნენ დიქტატორის მიველებად.

დოცენტი ნუქერიძე თავის საქმიანობას შეუდგა.

ის კუნძულ ჯამპლიზე გაემართა და პირდაპირ ჯუნგლებში მოიწყო ლაბორა-



ტორია. მას თან ჰყავდა რამდენიმე ასისტენტი და ისინი საკუთარ თავზე, ზოგჯერ კი მოხალისე ახორციელებდნენ თმის გადანერგვის, ანუ უკეთ რომ ითქვას, ადამიანის სხეულზე მოძრავი მცენარეების გადანერგვას. ოლონდ, რალათქაუნდა, ისეთი გენეტიკური ცვლილებებით, რომ მცენარეებს ჰქონოდათ თმის იერსახეც და, რაც მთავარია, ყოფილყენენ მხოლოდამხოლოდ მცოცავნი და არავითარ შემთხვევაში მხტუნავნი. მარტივად რომ ითქვას, საჭირო იყო ადამიანის თმისა და ზუმფიკალური ტრანსცუას ერთმანეთზე დამყნობა ამ ორი ცოცხალი ორგანიზმის ქსოვილის ერთ ქსოვილში გაერთიანება გენეტიკური მოდიფიცირების საფუძველზე.

უამრავი ექსპერიმენტის, უძილო ღამეების, წარმატებებისა და წარუმატებლობების შემდეგ დოცენტმა და მკვლევარმა ნუქერიძემ მაინც მიაღწია სასურველ შედეგს, მაგრამ რამდენიმე მეტად დელიკატური დეტალის გათვალისწინებით. და, აი, რა იყო ეს:

ზუმფიკალური ტრანსცუა, როგორც ცნობილია, არის გადაადგილებადი ანუ მცოცავ-მხტუნავი მტაცებელი მცენარე. მისი ფესვები არ ეჭიდება ნიადაგს ღრმად, ისინი ერთგვარი საცეცები უფროა, რაც მცენარეს სწრაფი ცოცვის საშუალებას აძლევს. გარდა ამისა, ამ საცეცებს აქვთ უნარი, ნიადაგიდან მოწყვეტისა და დაახლოებით 20-25 სანტიმეტრის სიმაღლეზე ახტომის, რაც საშუალებას აძლევს მცენარეს, დაიჭიროს მწერები. ნუ, რატომ მათუნდა, მაისის ხოჭოებს და მისი ზომის სხვა უხერხემლოებს ზუმფიკალური ტრანსცუა ვერ იჭერს, მაგრამ ქინქვებს, კოლოებს და ბუზებს იჭერს და ძალიანაც კარგად. ეს მწერები, რასაც ჰქვია, საკვებაა ზუმფიკალური ტრანსცუისა და რაგინდ ნოყიერიც უნდა იყოს ნიადაგი, ნიადაგ მაინც სჭირდება ამ მცენარეს ცხოველური საკვები. ჰოდა, ნუქერიძის მიერ შექმნილ გენეტიკურ პროდუქტსაც ეს ტრანსცუას ინსტინქტი ბოლომდე ვერ მოუსპეს. ასეთი სახის თმა დროდადრო ითხოვს არაორგანულ საკვებს და თუ ასეთი საკვები დროულად არ მიეწოდა, ის თავად მოიპოვებს მას და აკეთებს ამას ისევე, როგორც ტრანსცუა ანუ მარტივად რომ ვთქვათ, ასეთი გზით გადანერგილი თმა, თუ მოვიდა, შეიძლება მოსწყდეს მამაკაცის თავს, ახტეს 20-25 სანტიმეტრის სიმაღლეზე და დაიჭიროს ბუზი. ეს კი, რალათქაუნდა, საშინელი დისკომფორტი იქნებოდა თმაგდანერგვისის და მითუმეტეს ისეთი პაციენტისთვის, როგორც კანცლერი იყო. აბა, როგორია? რალაც მნიშვნელოვან შეხვედრას კანცლერი ან, ნუ იქნება კანცლერი და, დაუშვავთ, ნებისმიერი მაღალი თანამდებობის პირი, მისი თმები კი ამ დროს 20-25 სანტიმეტრის სიმაღლეზე ხტებიან და ბუზებს იჭერენ.

აი, ეს ერთი შეხედვით მარტივი პრობლემა ნამოიჭრა ნუქერიძის მეცნიერული ჯგუფის წინაშე და ლამის გადაუჭრელი შეიქნა: პაციენტი თავს კარგად გრძობდა, გადანერგილი თმა მას არ ანუხებდა. ფაქტიურად ამ თმას გადანერგილი არც ეთქმოდა, რადგან ეს პაციენტისვე თმა იყო, რომელიც მისი სხეულის სხვადასხვა ადგილებიდან იყო ცოცვით წამოსული და თავზე ამოსული. ეს თმა სალად გამო-

იყურებოდა, მომხმარებელს უხდებოდა, შეჭრის შემთხვევაში ჩვეულებრივ იზრდებოდა, მაგრამ ჰქონდა ერთი დიდი ნაკლი — საკმარისი იყო, ამ თმას ცოცხალი მოვიდებოდა, რომ ის პაციენტის თავიდან სწყდებოდა, 20-25 სანტიმეტრის სიმაღლეზე ხტებოდა და ჰაერში ბუზებს იჭერდა. აი, ხათაბალა!

თუმცა ნუქერიძემ აქაც იპოვა გამოსავალი და გადანერგვა პაციენტის სხეულზე მოემრავლებინა ტილები. ამ მეტოდმა გაამართლა მხოლოდ ნაწილობრივ, რადგან პაციენტებს არ უჩნდებოდათ საკმარისი რაოდენობის ტილები და თანაც ეს მწერები ბუზებდნენ არამარტო პაციენტის თავზე, არამედ უფრო ქვედა ადგილებში. აქედან გამომდინარე, გადანერგილი თმები ხშირად ინაცვლებდნენ განთავსების ადგილს და ხოხვით, ზოგჯერ კი ხტუნვით ინაცვლებდნენ იმ ქვედა ადგილებისკენ, სადაც მათ ეგულებოდათ ტილები — ანუ დადიოდნენ, ასე ვთქვათ, სანადიროდ ქვედა ადგილებისკენ. ჰოდა, აბა, რალა აზრი ჰქონდა ასეთ თმის გადანერგვას, როცა კაცს თავზე ქოჩორი ეგულება, ეს ქოჩორი კი ტილებზე სანადიროდ ტრაკისკენ მიდის? ამიტომ ნუქერიძემ მოიგონა ასეთი რამ — მან ერთ-ერთ პაციენტზე ჩაატარა ცდა: ზუმფიკალური ტრანსცუასა და ჩვეულებრივი თმის ჰიბრიდით გამშვენიერებულ ერთ-ერთ პაციენტს ნაუსვა განავლის ექსტრაქტზე დამზადებული სპეციალური საცხი. ვინაიდან საცხი დამზადებული იყო არაუშუალოდ განავლისგან, არამედ ამ ნივთიერების ექსტრაქტიდან, მისი სუნის იყო მძაფრი და არასასიამოვნო, მაგრამ განავლის სუნისგან განსხვავებული. ეს სუნი, რომელიც ასდობდა პაციენტს, იზიდავდა ბუზებს და პაციენტსაც, რომელსაც უტარდებოდა აღნიშნული პროცედურა. ამ საცხის წყალობით ესეოდა უამრავი ბუზი, რომლებსაც ყოველგვარი გადაადგილებისა და ახტომა-დახტომების გარეშე მაშინვე შეეცაპადნენ ხოლმე გენმოდიფიცირებული თმები. ასე და ამგვარად, ხანგრძლივმა მეცნიერულმა კვლევამ სასურველზე სასურველი შედეგი გამოიღო და დიდი გამარჯვებითა და მეცნიერული ტრიუმფით დასრულდა.

საქმიანის სახელობის თმის გადანერგვისა და ბიომეტრიული კორექციის კლინიკის უფროს მეცნიერთანამშრომელს ნუქერიძეს განუული მუშაობისა და მეტად საჭირო მეცნიერული აღმოჩენისთვის მიანიჭეს კანცლერის პირადი მკურნალის საპატიო წოდება და დაჯილდოვდა ოქროს საწმისის ორდენით. გადანერგვის ეს მეთოდი კი გასაიდუმლოებულია დღემდე და მისით ჩვენი სასიქადულო კანცლერი, ჩვენი საყვარელი დიქტატორი სარგებლობს მხოლოდ. ის თამამად დაიარება ნებისმიერ მსოფლიო დონის ფორუმზე და მთელს მსოფლიოს ანცვიფრებს თავისი ტალღოვანი, ხშირი და თივითიკვით რბილი თმით. ერთი ეგაა მხოლოდ — მისი სახელოვან მჯდომ პრეზიდენტებს, მონარქებს, კანცლერებს და სხვა სახის ძლიერთ ამა ქვეყნისა, ვერაფრით დაუდგენიათ თუ რატომ ესევიან ჩვენს კანცლერს ბუზები და დღემუდამ რისი სუნი ასდის, ასეთი მძაფრი, თავზე ამ კაცს.



ავტორის ილუსტრაციები

დასასრული

მაშინ, როცა უკვე ნათქვამია ფრაზა „ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველო“, და მისი ხელახლა გამეორება შენგანვე სულ მცირე, იმაზე მეტ ქართველობას მოითხოვს, იმაზე მეტ შინაგან პასუხისმგებლობას, ვიდრე ამ ფრაზის ავტორისგან, არამედ სიყვარულით, გნებავთ გულწრფელი ბრაზითაც დასაფიქრებელი და თანამგრძობელი. ამ მოთრობებში არავის დასცინიან. აქ ვაუჯაცობაზე, ჯერ კიდევ შემორჩენილ ამ ადამიანურ მდგომარეობაზე, სიკეთეზე და ცხოვრებაზე ყვებიან.

„ჩვენ, ძირითადად, ზამთრობით ვიხოცებოდით...“ — ამბობს ერთი მოთხრობის („სამოველი“) გმირი და ამ ფრაზაში ჩვენი უახლესი წარსულის ყველაზე მძაფრი ფერი ჩანს. მამამისზე, ზაალ ქიქოძეზე დაწერილ წერილშიც, არჩილ ქიქოძე იმ წლებს იგონებს, როცა თვითონაც თავის მეგობრებთან, მამასთან და მის მეგობრებთან ერთად, ან დევნილები გადმოყავდათ ჭუბურზე, ან სამოქალაქო ომში, აალებულ თბილისში, წითელი ჯვრის ნიშნებით ქუჩიდან ქუჩაზე გადაბრუნდნენ და დაჭრილებს ან ცეცხლსაკიდებულ სახლებს შველოდნენ.

ნინო სადღობელაშვილი

ცხოვრება შემოქმედებაში და პირიქით

ეს მძიმე წარსულია, ახლა, აქედან რომ ვუყურებ, მგონი მოუნებელიც კი, რადგან ამ სიმძიმემ, აგერ უკვე მესამე ათეული წელი იწყება და, ვერ იქნა და ლიტერატურიდან ვერ გააღწია, უფრო სწორედ, იმ თაობის შემოქმედებაში სამუდამო ფერად ჩაილექა და აღიბეჭდა. თაობაც როგორი პირობითი სიტყვაა და, მარადისობის თავბრუდამხვევ ტრიალში როგორ გინდა, მეტაფიზიკური სიზუსტით მიუდგე მას, მაგრამ მე მაინც ერთ კონკრეტულ თაობას ვგულისხმობ — აი, არჩილ ქიქოძის თაობას, იმ ძალიან კარგ, ნათელ ბიჭებს, რომლებიც, ან იმ ომებში ჩაიხოცნენ, ან საშინელი ზამთრებიდან ვერ გამოაღწიეს, ან კი — მწერლებად, პოეტებად იქცნენ და თავიანთ ტკივილს და სიხარულს ასე ამღერდნენ. ალბათ კიდევ საუკუნეც რომ გავიდეს, ამ თაობის მთავარი თემა მაინც ეს იქნება — ეს, დაბადების შემდგომი პირველი დიდი ელდა — სამოქალაქო ომის (როცა ათი მართალიც აღარ დადის ქალაქში), მოპოვებულ-მოსაპოვებელი თავისუფლებისთვის ბრძოლის, ამ ბრძოლაში კიდევ ისტერიის და ზომიერების ჭიდილის, ადამიანობის გადარჩენის, დამსხვრეული იდეალების და ათასჯერ გაუცხოებული სამშობლოს სინანულის ელდა.

ეს ყველაზე გულნატკენი თაობაა, ერთი ცნობილი პიესის არ იყოს — მათ ბევრი გასცეს და ცოცხა მიიღეს, მათში იმდენი დიდი ოცნებაა ჩარჩა, როგორც ქვაში შენახული საიდუმლო და, როგორც ყველა საიდუმლოს წესია — შეინარა კიდევ თავისი ნავსაყუდელი.

როცა ამ წერილს ვწერდი, თითქოს ბედად, შოთა იათაშვილის ახალი ლექსი ნავიკითხე. ლექსს „თაობა“ ჰქვია და ზუსტად იმაზეა, რასაც ახლა ვგულისხმობდი. შოთაც ამ თაობის შვილია, და პოეტური მგრძობლობის რეგისტრში ძალიან ღრმად განიცადა რალაც, კრიზისის მსგავსი. ალბათ ამიტომაც თქვა:


„შენ უყურებ მხოლოდ „თაობას“, რომელიც უკვე აღარ არის, ანდა თითქმის აღარ არის, და შენს თავს ხედავ, მხოლოდ და მხოლოდ ამ შემზარავი სიტყვის შიგნით მოფართხალეს და იმის მიღმა არანაირად აღარ არსებულს“.

თაობა კი, მაინც არის, და რაც ყველაზე მთავარია, ის მუდამ ისწრაფოდა, ეპოვა გამოსავალი. ეპოვა გამოსავალი კრიზისიდან, პასუხგაუცემელი, ეგზისტენციალური პრობლემებიდან, ეპოქალური გაუგებრობებიდან, უბრალოდ, ცხოვრების აჯაფსანდლიდან. და ის ამ გამოსავალს შემოქმედებაშიც ეძებდა.

არჩილ ქიქოძის პროზა ამ მხრივაც მნიშვნელოვანია — აქ არის გზები, რომლებითაც შეიძლება ადამიანმა სიბნელიდან სიცხადისკენ იაროს. „კარგად გატკეპნილ სიკეთის გზაზე მიაბიჯებს“ — ამბობს მისი ერთი მოთხრობის გმირი მეორეზე და ეს სწორედ ის გზაა, მთავარი, ერთდროულად ხილული და უხილავი გზა, რომელიც მანამდეც ტკეპნეს მამებმა, პაპებმა და დიდმა პაპებმა. გზა, რომელზეც მარტო არა ხარ და ძალიანაც რომ მოინდომო, მაინც ვერ იქნები, რადგან სულ მცირე სამი ძვირფასი ნივთი მაინც გაახლოვებს იმათთან, ვისაც შენი სიყვარული ჰქვია. მარტო თუნდაც იმდენი ვერ იქნები, რომ ბუნება შენი მოკავშირე, ბუნება — თავისი განუმეორებელი გამოვლინებით, თავისი არანორმალურად ძლიერი სიყვარულის ენერგიით. არჩილ ქიქოძის მოთხრობებში ეს სიყვარული ხან ცხენის, ხან ჯიხვის, შუშის და ათასი სხვა სახით გვხვდება. ისეთი მძლავრი კავშირებით ადამიანთან, რომ უნებლიედ სიხარულით იესები და ნუგეშიც გეძლევა.

ნუგეში დიდი რამეა და, ის არსად გტოვებს, როცა ამ მოთხრობებს კითხულობ.

ერთი დეტალიც — ამ მხატვრულ სამ-



ყაროში ტელე-სინამდვილის ადგილიცაა. რამდენიმე მოთხრობაში, პერსონაჟები ან სატელევიზიო გადაცემაში მონაწილეობენ, ან, უბრალოდ აქტიური ტელემყურებლები არიან და გარედან ერთვებიან, მაშინ, როცა პარალელურად მიდის მათი დრამატული ცხოვრება. ტელე-სინამდვილეც დღევანდლობის სახეა და კარგად გამოხატავს ცხოვრების ბანალურობას, ამ სინამდვილის ვირტუალურობასაც, რომელიც თანამედროვე ადამიანის არსებობის ლამის მთავარ სივრცედაც იქცა. სად ცხოვრობენ ადამიანები? სად არიან ისინი ყველაზე ნამდვილები? ტელე-ვირტუალური სარკის მიღმა თუ ამ სარკეში?

ადამიანი რთული არსებაა და მას მრავალგან უწევს ყოფნა, ბრძოლა — არსებობისთვის და გამარჯვებისთვის. მწერლობის დანიშნულება კი, ათასჯერ და ათასი ჭკვიანი კაცის ენით დადასტურებული ჭეშმარიტებისა არ იყოს, ყველა დროში და სინამდვილეში მაინც ისაა — ადამიანს ყოფა გაუადვილოს, თავისი შესაძლებლობების ლაბირინთებში შეახედოს და დაარწმუნოს. იმაში დაარწმუნოს, რომ სამყაროში ცუდი კი ბევრია, მაგრამ უფრო მეტი კარგია და ეს, დიდნილად, მისი დამსახურებაა.

აი, ასეთი რწმენა გიჩნდება საკუთარი თავის მიმართ, როცა არჩილ ქიქოძის მოთხრობებს კითხულობ. ეს რწმენა გადადებიცაა და ყველაზე მარტივი გზა კი ისაა, შენს გვერდით მყოფსაც ურჩიო, წაიკითხოს, იმან — თავის გვერდით მყოფს და ასე.

სიკეთის სახელით შეკრებილი ადამიანების ერთობას კი, ჯერ სახლი, მერე სამშობლო და ბოლოს მთელი დედამიწა ჰქვია.



ზაალ სამადაშვილი

მეექვსე წელიწადია, თბილისობის დღესასწაულს ლიტერატურული ზეიმი ახლავს თან. თბილისის საკრებულოს მიერ დაარსებულ „გალას“ სხვადასხვა დროს მასპინძლობდა მუსიკისა და დრამის თეატრი, დედაენის ბალი... უკვე მეორე წელია, რაც ამ პრემიის ორგანიზატორები, ნომინანტები და სტუმრები თავს ეროვნული მუზეუმის ეზოში იყრიან. „გალას“ დაწყების მოლოდინში ლიტერატურით „მონამლოლი“ ადამიანები სწორედ აქ ხვდებიან ერთმანეთს და კამათობენ, მსჯელობენ, ამა თუ იმ ნომინანტის გამარჯვებას წინასწარმეტყველებენ. „გალა“ უკვე იქცა თანამედროვე ლიტერატურის „მოსავლის აღების“ ორგანიზატორად, მოსავალი კი წლიდან წლამდე უფრო და უფრო უხვია.

7 ოქტომბერი. 19 საათი და 30 წუთი. ეროვნული მუზეუმის ეზო ხალხითაა სავსე. თბილისის ბიგ-ბენდი ბოლო რეპეტიციას გადის. „გალას“ იდეის ავტორი და დამაარსებელი, საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილი ყველაზე მეტად ნერვიულობს. რამდენიმე წუთში დაჯილდოვების ცერემონიალი დაიწყება, მას კი, ბევრ ორგანიზატორულ საქმესთან ერთად, კიდევ ერთი დიდი მისია აკისრია — სწორედ ის უნდა გაუძღვეს ლიტერატურულ ზეიმს.

სალამოს 8 საათიც გახდა. ბიგ-ბენდი პირველ კომპოზიციას უკრავს. სცენაზე ზაალ სამადაშვილი ადის. ყველასათვის ცნობილია, რომ პოეტები გაცილებით უკეთ კითხულობენ ლექსებს, საკუთარსაც და სხვისასაც, ამიტომ, ვიფიქრე, ურიგო არ იქნებოდა, წიგნებსა და მწერლებზე თავად მელაპარაკე, — ამბობს საკრებულოს თავმჯდომარე და ასე ხსნის იმ ფაქტს, რომ სალამოს წამყვანი სწორედ ის არის. ზაალ სამადაშვილი „გალა 2012“-ს გახსნილად აცხადებს.

წლებიდან გალაზე 2011-2012 წლების სექტემბრიდან სექტემბრამდე დაწერილ კინოსცენარებსა და წიგნებს აფასებენ. ჟიურის გადამწყვეტილება უკვე მიღებული აქვს, თუმცა გამარჯვებულთა ვინაობა ამ წუთამდე ნინო ქაჯაიას, ნინო კუხალაშვილის, ზურაბ სამადაშვილის, დიმიტრი ერისთავისა და მამუკა ხერხეულიძის გარდა არავინ იცის. ჟიური ახლა უკვე გვერდიდან აკვირდება მოვლენების განვითარებას. ისინი, ვინც მათ საუკეთესოთა შორის საუკეთესოებად მიიჩნიეს, სულ მალე სცენაზე ავლენ.

შეკრებილი საზოგადოება შვიდ ნომინაციაში გამარჯვებულის დასახელებას ელოდება. თუმცა მანამდე კიდევ ერთ სიახლეს იგებს — საპრიზო ფონდი გაზრდილია. 2007 წელს, როცა პირველად გაიმართა „გალას“ დაჯილდოვების ცერემონიალი, გამარჯვებულს კოლხურ ცულთან ერთად ფულად ჯილდოდ 2500 ლარს გადასცემდნენ, დღეს კი ეს თანხა 5000 ლარამდე გაიზარდა.

როგორც ზაალ სამადაშვილი აღნიშნავს, „გალაზე“ წიგნებს და მწერლებს აფასებენ. აფასებენ მათ, ვინც არ იყო ან არ არის ყურადღებით განებივრებული და ვისაც დიდი სიამოვნების მინიჭება შეუძლია მისი უდიდებულე-



მარიამ ხაჭვანი და ნიკოლოზ გურუშია



ჟიური

2012 წლის ლიტერატურული მოსავალი

სობა მკითხველისათვის. სწორედ ასეთი ავტორების ბენეფისად იქცა 2012 წლის „გალა“.

7 ნომინაცია — 7 გამარჯვებული

წლის კინოსცენარი — გამარჯვება მარიამ ხაჭვანის „დედემ“ — ეს არის სცენარი სვანურ ტრადიციებზე, რომელიც ვინც კუთხურ ჩარჩოებში არ ჯდება. მას აქვს პოტენციური იქცეს ფილმად, რომელსაც ერთნაირად გაიგებენ იაპონელები, ჩინელები და, რა თქმა უნდა, ქართველები, — აღნიშნა კულტურის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა და ამ ნომინაციის დაარსების იდეის ავტორმა ნიკოლოზ გურუშიამ, რომელმაც გამარჯვებული სცენარისტი დააჯილდოვა.

წლის ლიტერატურული პრიოქტი — გამარჯვება გამომცემლობა „დიოგენე“ მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშების თარგმანთა სერიით — „დიოგენეს ბიბლიოთეკა“. სერია ჯერჯერობით 7 წიგნისგან შედგება და წარმოადგენს ცნობილ ავტორთა მნიშვნელოვან ნამუშევრებს, რომლებიც აქამდე ქართულად არ თარგმნილა. მათ შორისაა ჩაკ პალანიკის, ედით უორტონის, უილიამ ფოლკნერის, პ.გ. ვუდჰაუსის, პოლ ოსტერის, ორჰან ფამუქის და უმბერტო ეკოს ტექსტები.

წიგნის მხატვრობა — გამარჯვება თამარ ბაქრაძემ, რომელმაც რუდოლფ რასპეს ცნობილი ნაწარმოები — „ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი“ („ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“) დაასურათა. საინტერესოა, რომ ჯილდოს მისაღებად სცენაზე ასულმა მხატვარმა მადლობა თავის კოლეგა ლევან ხარანაულსაც გადაუხა-



თამარ ლებანიძე

და, რომელიც მისეული მიუნჰაუზენის პროტოტიპი აღმოჩნდა.

საბავშვო წიგნი — გაიმარჯვა თეა თოფურიას „გასალვიძებელმა ზღაპრებმა“ („დიოგენე“). თეასთვის ეს რიგით მეორე საბავშვო წიგნია. პირველი — „პარადის არდადეგები“ ორი წლის წინ იხილა მკითხველმა და მონონებაც დაიმსახურა. რამდენიმე თვის წინ საქართველოდან ასტრიდ ლინდგრენის პრემიაზეც წარადგინეს, რომლის დაჯილდოება მომავალ წელს გაიმართება. ვივარაუდოთ, რომ თეა შეძლებს ამ პრესტიჟული პრემიის მოპოვებას და იმედია, „გალა“ გახდება ტრამპლინი ევროპისკენ მიმავალ გზაზე.

თარგმნილი წიგნი — გამარჯვება ჯეიმზ ჯოისის „ულისემ“ („ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“). ნიკო ყიასაშვილის ბრწყინვალე ნამუშევარი აბათილებს მთარგმნელ ფრანკს ლიტერატურის უთარგმნელობის შესახებ. ჯოისის საკულტო რომანი ქართულ ენაზე პირველად 1983 წელს გამოვიდა. ეს იყო „ულისეს“ რამდენიმე თავი, რომელიც მაშინვე აიტაცა საზოგადოების ინტელექტუალურმა ნაწილმა. მთარგმნელმა გააგრძელა მუშაობა ტექსტსა და მის კომენტარებზე, მაგრამ ბოლომდე ვერ მიიყვანა. ეს საქმე მაია ყიასაშვილმა დაასრულა და ქართულ ენაზე რომანის პირველი სრული გამოცემაც მოამზადა. „ლიტერატურის თარგმნა შესაძლებელია, თუ ადამიანი მთელ თავის სიცოცხლეს შესწირავს, როგორც ეს ბატონმა ნიკომ გააკეთა. გვეამაყება, რომ გვაქვს ასეთი ქართული თარგმანი“ — თქვა ამ წიგნის წარდგენისას გამომცემლობის წარმომადგენელმა ნინო გოგალაძემ და ძნელია, არ დაეთანხმო მას.

საბავშვო წიგნი — გამარჯვება ბესიკ ხარანაულის „ლექსებმა, პოემებმა“ („ინტელექტი“). სხვათა შორის, ამ ავტორს ზაალ სამადაშვილმა მაგარი მკითხველების პოეტი უწოდა.

წლის წიგნი — გამარჯვება ბაადურ ბალარჯიშვილის პოეტურმა კრებულმა — „კიპარისები“ („ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“). სამწუხაროდ, ამ გამარჯვებას თავად ავტორი ვერ მოესწრო. ჯილდო პოეტის შვილს გადასცეს, ზაალ სამადაშვილმა კი დასძინა — მინდა ყველას ვურჩიო, ნაიკითხეთ ბაადურის ლექსები და მიხვდებით, რომ ქართული პოეზია გაცილებით მრავალფეროვანია, ვიდრე თითოეულ ჩვენგანს ჰგონია.

ამ ნომინაციით და ამ სიტყვებით „გალას“ დაჯილდოვების ცერემონიალი დასრულდა.

სალამოს 9 საათი ხდება. ერთმა საათმა ძალიან სწრაფად გაირბინა. დაჯილდოვებულები ემოციებს ხმაამაღლა გამოხატავენ, ნომინანტებიც გამარჯვებულებად გრძობენ თავს, რადგან დღეს ყველა ერთად დიდი ლიტერატურული ზეიმის მონაწილეები არიან. ერთი წლის შემდეგ ლიტერატურის მოყვარულები ისევ ერთად მოიყრიან თავს და მომავალი „გალას“ უხვ მოსავალს დაელოდებიან.



თამარ ბაქრაძე



თეა თოფურია



ბესიკ ხარანაული

ლიტერატურული გაზეთი

გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
ჟურნალისტიკა ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობახიძე, თამარ ყურული
ტელ.: 2292196; მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com